



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ბიზნესმენ ნიაზ ხალვაშის საქმე

BUSINESSMAN NIAZ KHALVASHI'S CASE

სამართლებრივი დასკვნა და რეკომენდაციები
Legal Research and Recommendations

თებერვალი, 2026 წ. ქ. თბილისი
February, 2026. Tbilisi



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ბიზნესმენ ნიკო ხალვაშის საქმე



სამართლებრივი დასკვნა და
რეკომენდაციები

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
თბერვალი, 2026 წ.
ქ. თბილისი

**კვლევის პროცესში მონაწილეობდა
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი**

*არჩილ კაიკაციშვილი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი
ანი კესარელი, უმცროსი იურისტი,
თეკლა მაჭავარიანი, უმცროსი იურისტი
მელანო სურმანიძე, უმცროსი იურისტი
ქეთევან თანდაშვილი, მკლევარი იურისტი,
მარიამ ხიზანიშვილი, ფინანსური მენეჯერი*

☐ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

ორგანიზაციის საქმიანობისა და განხორციელებული/მიმდინარე კვლევების, პროექტებისა და ახალი ამბების შესახებ, ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.barristers.ge

FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi

<http://www.youtube.com/youngbarristers>

მისამართი: საქართველო, თბილისი, დიღმის მასივი, მე-6 კვარტალი, მე-20 კორპუსი, ბინა N4

ორგანიზაციასთან კომუნიკაცია – 599 291202

ელექტრონული ფოსტა: Pryoungbarristers@gmail.com

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094

დაარსების თარიღი: 09 ივლისი, 2012 წელი

მომსახურე ბანკი: სს საქართველოს ბანკი,

ანგარიშის ნომერი: GE31BG000000161544925GEL



**ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS**

კვლევის შინაარსი:

| | |
|--|----|
| 1. შესავალი | 5 |
| 2. ქარხნის ისტორია და შექმნის საფუძვლები | 15 |
| 3. ქონების დაკარგვა – დავა შპს „მეგაკოსა“ და შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ შორის..... | 23 |
| 4. ნიაზ ხალვაშის მიერ ქონების ხელახლა შექმნისა და ქონების ხელახლა დაკარგვის პროცესი – დავა შპს „ბიზონსა“ და შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ შორის..... | 31 |
| 5. საერთო სასამართლოებში წარმოებული, მიმდინარე და დასრულებული საქმეები შპს „ბიზონსა“ და შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ შორის | 45 |
| ➤ ყადაღის გამოყენება შპს „ბიზონის“ საბანკო ანგარიშებსა და უძრავ ქონებაზე (2020 წელი) | 45 |
| ➤ შპს „ბიზონის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციაზე ბრძანება (2020 წელი) | 52 |
| ➤ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სარჩელი შპს „ბიზონის“ მიმართ, დავის საგანზე: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა, ზიანის ანაზღაურება, მესაკუთრედ ცნობა (2017-2022 წლები) | 53 |
| ➤ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სარჩელი შპს „ბიზონის“ მიმართ, დაუსრულებელი გადანყვეტილება დავის საგანზე: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (2022 – მიმდინარე)..... | 59 |
| ➤ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სარჩელი შპს „ბიზონის“ მიმართ, დავის საგანზე: ზიანის ანაზღაურება (2023 – მიმდინარე)..... | 63 |

- შპს „ბაზალტ ტრანსის“ სარჩელი შპს „ბიზონის“ მიმართ, დავის საგანზე: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და უკანონო ხელშეშლის აღკვეთა (2021 – 2025)66
- შპს „ბიზონის“ სარჩელი შპს „ტრანსკავკასიის კრისტალისა“ და სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ, დავის საგანზე: ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავალი (2022 წელი – მიმდინარე) ..69

6. სადავო ქონების უფლებრივი მდგომარეობა წლების მიხედვით78

7. დასკვნა.....86

8. რეკომენდაციები106

1. შესავალი¹

ორგანიზაცია აქვეყნებს მორიგ კვლევას და სამართლებრივ შეფასებას, რომელიც დაკავშირებულია საქართველოში ბიზნესისა და საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტთან და წარმოაჩენს კომპლექსური საქმის დეტალებს, რომელიც შეეხება ქ. ბათუმში, დაბა ხელვაჩაურში, შესახვევი წერეთელი, მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.35.27.057 ქვეშ, არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 30022.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი: 6971 კვ.მ, არსებული მინის ქარხნის თავდაპირველ მესაკუთრესა და კვლევის გამოქვეყნების მდგომარეობით, მოქმედ მესაკუთრეს შორის სამართლებრივი კონფლიქტის მიმდინარეობას, ნივთის ფლობის კეთილსინდისიერებას, ბიზნესის წინაშე სახელმწიფოს, ბანკის და დაინტერესებულ პირთა მიერ ერთობლივ, შეთანხმებულ თუ დამოუკიდებელ მოქმედებებს, სასამართლო გადაწყვეტილებების შინაარსსა და ფარგლებს, კანონის მოქმედებისა და სამართლიანობის პრინციპების ურთიერთქმედებას და დამდგარი შედეგების მართლზომიერებას სამართლებრივ კონფლიქტში მონაწილე მხარეთა შორის.

ორგანიზაციის კვლევა გადმოსცემს ბიზნესმენ **ნიაზ ხალვაშსა** (შპს „ბიზონის“ დირექტორი) და ბიზნესმენ **მამუკა სხვიტარიძეს** (შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ დირექტორი) შორის წარმოებული ბიზნეს-დავის სრულ ფაქტობრივ და სამართლებრივ პროცესს, რა დროსაც, ცენტრალური ადგილი უჭირავს, როგორც ს.ს. „თიბისი ბანკისა“ და 1992-2019 წლებში, ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძის² ოჯახის წევრებით დაკომპლექტებულ შპს „მეგაკოს“ მოქმედებებს, ასევე 2012 წლამდე მოქმედი ხელისუფლების მმართველობითი ორგანოების უკანონო მოქმედებებს, ასევე საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებს, 2010-2026 წლებში.

კვლევის მიზანია, პასუხი გაეცეს ჰქონდა თუ არა ბიზნესმენ ნიაზ ხალვაშის მიმართ უკანონო მმართველობით ღონისძიებას, რა გავლენა იქონია სახელმწიფოს მხრიდან წარმოებულმა სისხლის სამართლებრივმა მოქმედებებმა ნიაზ ხალვაშის ბიზნესსა და საქმიანობაზე, არის თუ არა ნიაზ ხალვაში სადავო უძრავი და მოძრავი ქონების, მინის ქარხნის კეთილსინდისიერი, მართლზომიერი და ნამდვილი შემძენი და მესაკუთრე,

¹ კვლევის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე: www.barristers.ge

² 2019 წლის 12 სექტემბერს, მამუკა ხაზარაძემ დააფუძნა საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელო“. 2020-2021 წლებში იყო საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით საარჩევნო ბლოკიდან „ლელო საქართველოსთვის“

სადავო ქონებები არის თუ არა ნიაზ ხალვაშის ნების საწინააღმდეგოდ მფლობელობიდან გასული, რა განსაზღვავს ნიაზ ხალვაშის იურიდიულ ინტერესს სადავო ქონების დაბრუნებაზე, არის თუ არა ნიაზ ხალვაშის დღევანდელი მოთხოვნები დასაბუთებული, მიმდინარეობს თუ არა ნიაზ ხალვაშის ქონებრივი ინტერესების წინააღმდეგ განზრახ არასწორი წარმოდგენების შექმნა და პოლიტიკური მოსაზრებებით დათრგუნვა, რა პოზიცია აქვს სახელმწიფოს სამართლიანობის აღდგენის საქმეზე და რამდენად პასუხობს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები, როგორც ნიაზ ხალვაშის, ასევე მამუკა სხვიტარიძის ინტერესებს.

ბიზნესმენი ნიაზ ხალვაში, რომელიც 1996 წლიდან აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა კომერციული კომპანიების შექმნასა და მთლიანად ჩართულია ბიზნეს-საქმიანობაში, 2007 წლიდან მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული უკანონო და ძალადობრივი მოპყრობის მსხვერპლი გახდა, რაც დაკავშირებული აღმოჩნდა ოჯახის წევრის, ასევე ცნობილი ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის წინააღმდეგ სახელმწიფოს მმართველობითი ორგანოების მხრიდან წარმოებულ უკანონო სისხლის სამართლებრივ დევნას და მოქმედი ბიზნესების გაჩერების, ყადაღის გამოყენების, რიცხული ქონებების ჩამორთმევისა და სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის ფაქტებთან.

კერძოდ, ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმოს 2008 წლის I ნახევარში საქართველოს სახალხო დამცველის სააგარიშო მოხსენებას „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“³, რომლიც დეტალურად გადმოსცემს შემდეგ ფაქტებს: „ქიბარ ხალვაშის საქმე არის პოლიტიკური მოტივით ბიზნეს საქმიანობაში ჩარევის ტიპური შემთხვევა. მისი ახლო მეგობრის, ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკურ ოპოზიციაში გადასვლამდე, ქიბარ ხალვაში ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ბიზნესმენად“ (იხ. ანგარიში, გვ. 28). „2007 წლის სექტემბრის თვეში, როდესაც მიმდინარეობდა ცალკეული მოქმედებები ახალი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად, რომლის სავარაუდო დამფინანსებლადაც ქიბარ ხალვაში სახელდებოდა და რომლის ლიდერიც ირაკლი ოქრუაშვილი უნდა ყოფილიყო. აღნიშნული ბიზნესმენის საწარმოები შემოსავლების სამსახურის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა“ (იხ. ანგარიში, გვ. 28). „2007 წლის 25 სექტემბერს ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირი ეთერით განცხადება გააკეთა საქართველოს ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა. რასაც, სხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად, მოჰყვა ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების დაძაბვა და საბოლოოდ, ირაკლი ოქრუაშვილი იძულებული გახდა, დაეტოვებინა საქართველო. მოგ-

³ <https://ombudsman.ge/res/docs/2019040411373642069.pdf>

ვიანებით, ირაკლი ოქრუაშვილი უცხოეთიდან გაკეთებულ სატელევიზიო ინტერვიუებში აღნიშნავდა, რომ საქართველოს ხელისუფლება დევნიდა მის პოლიტიკურ თანამოაზრეებსა და მხარდამჭერებს, ასევე მეგობრებს, რომელთა შორისაც იგი ყველაზე ხშირად მოიხსენიებდა ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს“ (იხ. ანგარიში, გვ. 374). „2007 წლის 24 სექტემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციაში დააკავეს შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“–ს დირექტორი ზურაბ მეტრეველი, ასევე ქიბარ ხალვაშის ძმა ნიაზ ხალვაში და ქიბარ ხალვაშის დაფუძნებულ სამივე სანარმოში (შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“, შპს „არტი ჯგუფი“ და შპს „პრიზა“) ერთდროულად შევიდა ფინანსური პოლიცია“ (იხ. ანგარიში, გვ. 374-375).

საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის ანგარიშში, აგრეთვე ყურადღება ეთმობა შემდეგ ფაქტებს. კერძოდ, „ქიბარ ხალვაშის დისშვილის ნიაზ ყურშუბაძის მიერ სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ ირაკლი ოქრუაშვილის ირგვლივ განვითარებული მოვლენების პარალელურად ზენოლა დაიწყო მისი ბიძის ქიბარ ხალვაშის ბიზნეს საქმიანობაზე. დააკავეს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ დირექტორი ზურაბ მეტრეველი, „არტი“–ს მენილე გურამ გოგუა და ძებნა გამოცხადდა შპს „პრიზა“–ს ერთ–ერთ პარტნიორზე ვანო რუაძეზე. იმავდროულად, თავდაცვის მინისტრმა დავით კეზერაშვილმა დაიწყო ქიბარ ხალვაშზე ზენოლა. კონკრეტულად, მან იგი დაიბარა სამუშაო კაბინეტში და მოსთხოვა 27 მილიონი დოლარის გადახდა. სანაცვლოდ მინისტრის დაპირება ხალვაშების დევნის შეწყვეტა იყო. მას შემდეგ, რაც დავით კეზერაშვილმა ამ თანხის გადახდაზე უარი მიიღო, ნიაზ ყურშუბაძესთან კავშირზე გავიდა დათა ახალაია, რომელიც სისტემატიურად ურეკავდა და ითხოვდა ქიბარ ხალვაშთან დაკავშირებას. სატელეფონო საუბარი შედგა ასევე დათა ახალაიასა და ქიბარ ხალვაშის ძმას ნიაზ ხალვაშს შორის. საუბრისას, კუდ–ის მაღალჩინოსანმა რეპრესიების შეწყვეტის სანაცვლოდ ხალვაშებისგან მოითხოვა იმ თანხის მეოთხედის გადახდა, რაც ითხოვა დავით კეზერაშვილმა. აღნიშნულზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, რის შემდეგ, ბათუმში, ერას ქ.N44–დან, ნიაზ ყურშუბაძის თვალწინ, აჭარის კუდ–ის უფროსმა თემურ პატარიძემ და ამავე დეპარტამენტის ერთ–ერთი სამმართველოს უფროსმა ვაჟა ღიასამიძემ გაიტაცეს ნიაზ ხალვაში. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, იგი გადაიყვანეს აჭარის კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურში. გატაცებიდან ნახევარ საათში ნიაზ ყურშუბაძეს ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდა დათა ახალაია, რომელმაც ირონიულად და ნიშნის მოგებით ამცნო, რომ ბიძამისი ნიაზ ხალვაში იყო მძევალი და მას მიუსჯიდენ 19 წლით თავისუფლების აღკვეთას, თუ ქიბარ ხალვაში მათთან არ გავიდოდა კავშირზე. 2 დღის განმავლობაში ვერ მოხერხდა შეთანხმება ქიბარ ხალვაშ-

სა და ახალაიებს შორის, რის გამოც ნიაზ ხალვაში ბრალდებულის სახით იქნა პასუხისგებაში მიცემული. პარალელურად გაგრძელდა მოლაპარაკება ბაჩო ახალაიას და ქიბარ ხალვაშის კომპანიის წარმომადგენლებს შორის. კერძოდ, გარიგების საგანი გახდა „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“, რომელიც უნდა გადაფორმებულიყო ახალაიას მიერ დასახელებულ პიროვნებაზე. მხოლოდ ამ პირობით მოხდებოდა ნიაზ ხალვაშისა და ზურაბ მეტრეველის ციხიდან გათავისუფლება. რაც შეეხება ვანო რუაძეს – მასზე შეწყდებოდა ძებნა“. (იხ. ანგარიში, გვ. 378-379).

დასკვნის თანახმად, „ნიაზ ხალვაშის განმარტებით, ვანო მერაბიშვილის „ჯგუფს“, რომლის წარმომადგენლებადაც ხალვაშებთან შეთანხმების მიზნით გამოდიოდნენ ძმები ახალაიები, „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“, სჭირდებოდათ შირმად, რათა ამ კომპანიიდან მომხდარიყო ირაკლი ოქრუაშვილისათვის გირაოს თანხის –10 მილიონი ლარის ჩარიცხვა, რაც შემდგომში ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის გახდებოდა მსჯელობის საგნი, რომ თავდაცვის ყოფილ მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს, მისმა მეგობარმა ქიბარ ხალვაშმა გადაუხადა აღკვეთის ღონისძიებად შეფარებული გირაოს თანხა მილიონი ლარი“ (იხ. ანგარიში, გვ. 379).

დასკვნის თანახმად, „როგორც ნიაზ ხალვაშის, ასევე ნიაზ ყურშუბაძის მტკიცებით, ბიზნესის გადარჩენისა და მათი ხელშეუხებლობის სანაცვლოდ შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, ახალაიების სახით, ქიბარ ხალვაშს სთავაზობდა მიეწოდებინა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთათვის ისეთი ინფორმაცია, რომელიც გაამყარებდა ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს და საბოლოოდ საფრანგეთის სასამართლო მიუსჯიდა მას პატიმრობას. ხელისუფლებასთან ასეთი გარიგების სანაცვლოდ, ქიბარ ხალვაშს დაჰპირდნენ დიდი შელავათებს, რაც მას საშუალებას მისცემდა მისი ბიზნესსაქმიანობა გაეფართოვებინა და მიეღო ისეთი შემოსავალი, რაზეც იგი ვერც კი იოცნებებდა. მას შემდეგ, რაც ქიბარ ხალვაშმა უარი განაცხადა კრიმინალური კავშირი დაემყარებინა ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ცრუდ ემხილად ირაკლი ოქრუაშვილი, დაიწყო მისი კიდევ ერთი კომპანიის – „პრიზა“-ს გაკოტრების პროცესი“ (იხ. ანგარიში, გვ. 379). აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ქიბარ ხალვაშს და მის ოჯახს 2007 წლიდან პოლიტიკური თავშესაფარი მისცა, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მის წინააღმდეგ საქართველოში პოლიტიკური ნიშნით დევნის ფაქტები.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ნიაზ ხალვაში ქიბარ ხალვაშისგან დამოუკიდებლად, 6%-იან წილს ფლობდა 1996 წელს დაფუძნებულ შპს „არტში“ (ს/კ 201953840) და 51%-იან წილს ფლობდა 2006 წელს დაფუძნებულ შპს „პრი-

ზაში“ (ს/კ 205146625). სწორედ მაშინდელი ხელისუფლების ძალმომრეობითი პოლიტიკის შედეგად, ზემოთ დასახელებული გარემოებების გამო, ნიაზ ხალვაში დამოუკიდებლად და ცალკე აღმოჩნდა დევნის, პოლიტიკური ზენოლისა და არამხოლოდ ქონებრივი უფლების ხელყოფის წინაშე. ნიაზ ხალვაშის წინააღმდეგ აღიძრა ორი სისხლის სამართლის საქმე. კერძოდ,

- 1. პირველი საქმე შეეხებოდა** ყალბი საბუღალტრო დოკუმენტაციის დამზადებას. მაშინდელი ბრალდების განმარტებით, 2006 წლის ივნისის დასაწყისში, შპს „არტი“-ს ბათუმის ფილიალის ბუღალტერმა მერი მახარაძემ ფილიალში ჩაატარა სალაროს ინვენტარიზაცია, რა დროსაც გამოვლინდა 350 000 ლარის დანაკლისი. აღნიშნულზე მოხსენდა ფილიალის დირექტორს ასლან დუმბაძეს და ორგანიზაციის ერთ-ერთ დამფუძნებელს ნიაზ ხალვაშს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ფილიალის საქმიანობაში. ნიაზ ხალვაშმა გადაწყვიტა რა შეექმნა ყალბი საბუღალტრო დოკუმენტები – დანაკლისის გასწორების მიზნით, დანაშაულებრივად დაუკავშირდა ფილიალის დირექტორსა და ბუღალტერს, რის შემდეგაც მათ ჯგუფურად განიზრახეს დაემზადებინათ ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2006 წლის 10 ივნისს, შპს „არტი“-ს ბათუმის ფილიალის დირექტორ ასლან დუმბაძესა და ნიაზ ხალვაშს შორის შედგა ყალბი სესხის ხელშეკრულება, რის მიხედვითაც, თითქოსდა ნიაზ ხალვაშს ფილიალიდან სესხის სახით უნდა მიეღო 350 000 ლარი 12% წლიური სარგებლით. ყალბი ხელშეკრულების საფუძველზე, ფილიალის ბუღალტერმა, 2006 წლის 15 ივნისს, 17 ივნისს, და 19 ივნისს გამოწერა ყალბი N8, N11 და N13 სალაროს გასავლის ორდერები, რომელთა თანახმად, ნიაზ ხალვაშს თითქოსდა მიღებული ჰქონდა შესაბამისად 100 000 ლარი, 160 000 ლარი და 90 000 ლარი – სულ 350 000 ლარი, ხოლო აღნიშნული ყალბი გასავლის ორდერების მონაცემები შეიტანა სალაროს წიგნში. მაშინდელი გამოძიების განმარტებით, ბუღალტრული დოკუმენტაციის გასწორებით შეიქმნა ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტები, რომლებიც არ არის ფასიანი ქაღალდი, რითაც ფორმალურად დაიფარა ორგანიზაციის სალაროში არსებული დანაკლისი, რომლის გამოვლენის შემთხვევაშიც სანარმოს მიმართ გატარებული იქნებოდა საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სანქციები.
- 2. მეორე საქმე შეეხებოდა** დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენას, ფლობასა და გასაღებას. მაშინდელი ბრალდების განმარტებით, 2001 წლის ნოემბერში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, ნიაზ ხალვაშმა გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში, თითქოსდა შეარჩია „AUDI A6“ მოდელის ავტომანქანა, რომელსაც ჰქონდა სატრანზიტო სანომრე ნიშანი და არ გააჩნდა საქართველოში შემოტანის რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი და შიდა საბაჟო ტრანზიტის საბუთი. ნიაზ ხალვაში დარწმუნდა, რომ ავტომანქანას საბუთები ნესრიგში არ ჰქონდა და იგი დანაშაულებრივი გზით იყო მოპოვებული, მაინც განიზრახა ყალბი დოკუმენტების გამოყენებით შეეძინა იგი. ამ მიზნით მფლობელს მოელაპარაკა თანხის გადაცემაზე და ხსენებული ავტომანქანა ყალბი

დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ გაატარა რეგისტრაციაში, რის საფუძველზეც, 2001 წლის 26 ნოემბერს, აჭარის არ შსს საგზაო პოლიციის მიერ გაცემულ იქნა ტრანსპორტის სარეგისტრაციო მონომობა **BB N0030421**, რომლის მიხედვითაც „**AUDI A6**“ მოდელის ავტომანქანა საიდენტიფიკაციო ნომრით **WAUZZZ4BZYN135040**, მიეკუთვნა ნიაზ ხალვაშს, ხოლო ავტომანქანას სახელმწიფო ნომრად მიენიჭა **SMS555**, ისე რომ მისი განბაჟება არ მომხდარა. შემდეგ, ნიაზ ხალვაშმა განიზრახა შექცნილი ავტომანქანის გასაღება და 2006 წლის 24 თებერვალს 10 000 აშშ დოლარად მიყიდა იგი ქალაქ ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ. **N63**-ში მცხოვრებ ქეთევან კომახიძეს, ხოლო 2006 წლის 15 ნოემბერს, საქართველოს შსს ქ. ბათუმის საპატრულო პოლიციაში, ერთობლივი განცხადების საფუძველზე, მოახდინა მისი დარეგისტრირება ქეთევან კომახიძის სახელზე, რა დროსაც მითითებული სამსახურის მიერ გაცემული იქნა **N BB057664** სარეგისტრაციო მონომობა და ავტომანქანას მიენიჭა სახელმწიფო ნომერი „**TEO-210**“. 2007 წლის 27 აგვისტოს, საქართველოს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის არ მთავარი სამმართველოს მუშაკების მიერ ამოღებულ იქნა ქეთევან კომახიძის საკუთრებაში არსებული „**AUDI A6**“ მოდელის ავტომანქანა სახ. **N „TEO-210“** და დაინიშნა კომპლექსური (სასამართლო-ქიმიური, ტრასოლოგიური და სასაქონლო) ექსპერტიზა, რომლის **N191/ტრ; 180/ფიზ.** დასკვნის თანახმად, ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომრის **WAUZZZ4BZYN135040** მეტხუთმეტე და მეჩვიდმეტე ციფრები გადაკეთებულია კუსტარულად.

2007 წლის 17 ოქტომბერს, საქართველოს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილის აჭარის არ საგამოძიებო განყოფილების მიერ მიღებული იქნა დადგენილება ბრალდებულის სახით ნიაზ ხალვაშის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე⁴. ნიაზ ხალვაშს ბრალი დაედო წინასაწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შექცენასა და გასაღებაში, ჩადენილი ავტომობილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის **186-ე** მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. ამავე დღეს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს მიერ მიღებული იქნა დადგენილება ნიაზ ხალვაშის მიმართ ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ⁵. ნიაზ ხალვაშს ბრალი დაედო ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის შექმნაში, დანაშაული გათვალისწინე-

⁴ 2007 წლის 17 ოქტომბერის საქართველოს შსს კუდ საგამოძიებო ნაწილის აჭარის საგამოძიებო განყოფილების გამს უფროსი გამოძიებლის სპარტაკ ხვადაგიანის დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

⁵ 2007 წლის 17 ოქტომბერის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს უფროსი გამოძიებლის მამუკა ვასაძის დადგენილება.

ბული სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვე-პუნქტით.

შესაბამისად, მაშინდელი სასამართლოების განაჩენებით, ნიაზ ხალვაში დამნაშავედ იქნა ცნობილი და პირადი უსაფრთხოების გამო, იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებია.

2012 წლის 5 დეკემბრის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირთა შესახებ“, რომლის ფარგლებშიც, ნიაზ ხალვაში აღიარებულ იქნა პოლიტიკური ნიშნით დევნილად. 2013 წლის 17 იანვრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განჩინებით, საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტის უფროსის თეიმურაზ მიქაბერიძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ნიაზ ხალვაში, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, გათავისუფლდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 23 თებერვლის განაჩენით დანიშნული სასჯელისგან⁶. შედეგად, ნიაზ ხალვაში საქართველოში 2013 წლის 21 იანვარს დაბრუნდა⁷. („სახლში დავბრუნდი, გახარებული ვარ. ჩემი ძმა თებერვლის შუა რიცხვებში დაბრუნდება. ჯერ ოჯახს მოვისიყვარულებ და მერე გავაკეთებ იმ საქმეს, რასაც ვაკეთებდით, მგონი, ცუდს არაფერს ვაკეთებდით და გავაგრძელებთ.“ _ განაცხადა ნიაზ ხალვაშმა მედიასთან კომენტარის დროს⁸).

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ სწორედ პოლიტიკური ნიშნით დევნისა და უკანონო მმართველობითი ღონისძიებების გამოყენების შედეგად, დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა ნიაზ ხალვაშის ბიზნესი, საკუთრების უფლება და ქონებრივი ინტერესები. საქმე ეხება ქ. ბათუმში, დაბა ხელვაჩაურში, შესახვევი წერეთელი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.35.27.057 ქვეშ, არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობით: 30022.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობების საერთო ფართობით: 6971 კვ.მ, მდებარე მიწის ქარხნას. ნინამდებარე კვლევა გადმოსცემს, თუ როგორ მოხდა ქონების შეძენა ნიაზ ხალვაშის კომპანიის მიერ, როგორ მოხდა სახელმწიფოს ძალმომრეობის გამოყენება, რომ ქონება დაეკარგა ნიაზ ხალვაშის კომპანიას, როგორ გახდა

⁶ 2013 წლის 17 იანვრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის განჩინება ნიაზ ხალვაშის დანიშნული სასჯელისგან გათავისუფლების შესახებ. საქმე; N6-307/13, მოსამართლე: გიორგი ქაშაკაშვილი.

⁷ <https://www.interpressnews.ge/ka/article/226902-niaz-xalvashi-sakartveloshi-dabrunda>

⁸ <https://old.newposts.ge/?newsid=6155-biznesmen,qibar,khalvashis,dzma,niaz,khalvashi,saqarthveloshi,dabrunda>

ს.ს. თიბისი ბანკი ნიაზ ხალვაშის კომპანიის კუთვნილი ქონების მესაკუთრე, შემდეგ, რამდენად თანხვედრი და ორმხრივად სარგებლიანი გარიგება წარმოიშვა ს.ს. თიბისი ბანკსა და ბიზნესმენ მამუკა სხვიტარიძის კომპანია „ტრანსკავკასიის კრისტალს“ შორის და რა ვითარებაში გახდა მამუკა სხვიტარიძის კომპანია „ტრანსკავკასიის კრისტალი“ ნიაზ ხალვაშის კომპანიის საწარმოო ტერიტორიაზე არსებული სხვა მოძრავი ნივთების მფლობელი. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს, ნიაზ ხალვაშის კომპანიამ აუქციონის წესით, სრულიად გამჭვირვალე წესების დაცვით წინა ხელისუფლების რეპრესიების შედეგად დაკარგული ქონება დაიბრუნა და ხელახლა შეიძინა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით, ნიაზ ხალვაშის კომპანიამ მფლობელობა დაკარგა, კეთილსინდისიერი შემძენი სამართლებრივი დაცვისა და ღირსი ინტერესის გარეშე აღმოჩნდა და დღეს ნიაზ ხალვაშის კომპანია ხელახლა აგრძელებს სამართლებრივ დავას დარღვეული უფლების აღდგენისა და ორგზის შექნილი (2006, 2017 წლები) ქონებისა და საწარმოს ხელახლა დაბრუნების მიზნით.

ორგანიზაცია წინამდებარე დასკვნით, სწორედ ამ პროცესში წარმოებული საქმეების შინაარს წარმოაჩინეს და დავის მონაწილე მხარეების სამართლებრივი ურთიერთობების ანალიზს იძლევა, რათა ობიექტურად შეფასდეს სადავო საკითხებისა და სადავო არგუმენტაციის ფარგლები. მით უფრო – აუცილებელია, **სასამართლოს რამდენიმე და სხვადასხვა სამართლებრივი შეფასების პირობებში, არ უნდა დაიკარგოს მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტის (პირის) ნამდვილი ინტერესი და ფაქტების ცოდნა, ფაქტების შეფასები მოხდეს საქმის მთლიანი პროცესის შესაბამისად და მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით.**

სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით, სამართლიანობის აღდგენის წინააღმდეგ, საჯარო სივრცეში წარმოებულია ბიზნესმენ ნიაზ ხალვაშის პოზიციების მიზანმიმართული დისკრედიტაცია, სხვადასხვა ჟურნალისტურ მასალაში არ ხდება საქმის გარემოებების ზუსტი და შესაბამისი ანალიზი, ფართოდ გაგება, რაც ქმნის არასწორ წარმოდგენებსა და საფუძველს აძლევს გადაუმონმებელ, უსაფუძვლო შეფასებებს. კერძოდ, ძირითადად, ასეთი შეხედულებების წყაროს წარმოადგენს ნიაზ ხალვაშის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის საჯარო განცხადებების კონტექსტი (იხ. გაზეთ „ბათუმელების“ 14.04.2017 მასალა: „რას ამბობს ბიზნესმენი, რომლის კომპანიის შენობაში ქიბარ ხალვაშის ძმამ შეჭრა სცადა“⁹, იხ. შდრ. 26.07.2022 „Business Media Georgia“-ს მასალა: „ტრანსკავკასიის კრისტალმა“ აღსრულების ბიუროს დავა მოუგო – „ეს სა-

⁹ <https://batumelebi.netgazeti.ge/news/75116/>

ხელმწიფოსთან მოგებული ომია¹⁰, იხ. შდრ. 14.04.2017 „პალიტრანიუსის“ მასალა: „ნიაზ ხალვაში „ტრანს კავკას კრისტალის“ ნილს ითხოვს – რას პასუხობს მას კომპანია?“¹¹, იხ. შდრ. 14.04.2017 „ინტერპრესნიუსის“ მასალა: „ქიბარ ხალვაშის ძმა ხელვაჩაურში სამშენებლო მასალების ქარხნის დაბრუნებას ითხოვს¹²“), როდესაც ნიაზ ხალვაშის მიერ საწარმოს ტერიტორიაზე შესვლა, 2017 წელს, აუქციონის წესით შეძენილი ქონებაზე და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის თანახმად, მესაკუთრის სტატუსით განახორციელა, თუმცა პროცესუალური მოწინააღმდეგის მხრიდან მოქმედება შეჭრად შეფასდა, ასეთად მიენოდა საზოგადოებას, რაც არც ერთი არგუმენტით, არ დადასტურდა და სრულად გამოირიცხა კიდევ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 16 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თავად ბიზნესმენ მამუკა სხვიტარიძის კომპანიის მიერ ნიაზ ხალვაშის კომპანიის მიმართ წარდგენილ სარჩელზე, სადაც დავის საგანს შეადგენდა: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა, ზიანის ანაზღაურება, მესაკუთრედ ცნობა. კვლევაში განხილული იქნება ეს გადაწყვეტილებაც.

2014 წლის 12 თებერვალს, ნიაზ ხალვაშმა განცხადებით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს მთავარ პროკურატურას, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და საქართველოს ფინანსთა მინისტრს და სამართლიანობის სრულად აღდგენამდე, მოითხოვა შუამდგომლობის განწევა საქართველოს პროკურატურასთან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ყადაღისგან ქონების გათავისუფლებაზე, უკანონო დევნის ფაქტზე მაშინდელი თანამდებობის პირების სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დასმა, საწარმოებზე დარიცხული თანხების განხილვა და გადასინჯვა¹³. წარდგენილ განცხადებას არც ერთ ნაწილში სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების მხრიდან ქმედითი სახის რაიმე გადაწყვეტილების მიღება არ მოჰყოლია.

2025 წლის 21 ივლისს, ნიაზ ხალვაშმა განცხადებით მიმართა 2003–2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირები-

¹⁰ <https://bm.ge/news/transkavkasiis-kristalma-agrulebis-biuros-dava-mougo---es-saxelmwifostan-mogebuli-omia/113772>

¹¹ <https://palitrnews.ge/video/81816-niaz-xalvashi-trans-kavkas-kristalis-cils-itxovs-ras-pasuxobs-mas-kompania/>

¹² <https://www.interpressnews.ge/ka/article/427921-kibar-xalvashis-zma-xelvachaurshi-samsheneblo-masalebis-karxnis-dabrunebas-itxovs/>

¹³ 2014 წლის 12 თებერვლის ა(ა)იპ „თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაციის“ გამგეობის თავმჯდომარის, ნიაზ ხალვაშის ინტერესების დამცველი ადვოკატ ემზარ პაქსაძის განცხადება. საქართველოს პარლამენტში რეგისტრაციის N3249.

სა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიას და მოითხოვა ნიაზ ხალვაშის მიმართ განხორციელებული ტერორის, ზენოლის, ანგარიშსწორებისა და ქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტებზე შეფასება და რეაგირება¹⁴. 2025 წლის სექტემბერში, საქართველოს პარლამენტმა კომისიის დასკვნა შემდგომი რეაგირების მიზნით საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა. შემაჯამებელი გადანყვეტილება მიღებული არ არის.

ორგანიზაციის მიზანი – შესწავლილი საქმე გახდეს საჯარო ინტერესის საგანი, გამომდინარეობს სტრატეგიული სამართალწარმოებისა და საქმისწარმოების იდეიდან, ვინაიდან 2013 წლიდან „ახალგაზრდა ადვოკატებმა“, არაერთი კვლევა და დასკვნა გამოაქვეყნა, რომელიც შეეხებოდა საკუთრების უფლების ხელყოფის, ბიზნესისა და მოქალაქის წინაშე ჩადენილ შემთხვევებს და ორგანიზაცია, ამ მიმართულებით, კვლავ აგრძელებს დაკვირვებისა და შესწავლის პროცესს.

ორგანიზაცია ნიაზ ხალვაშის საქმის შესწავლის პროცესში, 2023 წლის ივნისიდან ჩაერთო, თუმცა კვლევაზე მუშაობა 2025 წლის ბოლოს დასრულდა. 2026 წლის იანვარში, პროფესიული საზოგადოების მონაწილეობით, შედგა წინამდებარე კვლევის განხილვა/პრეზენტაცია. დოკუმენტი გადაგზავნილი იქნა აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს სახალხო დამცველის, ბიზნესომბუდსმენის, სხვადასხვა უფლებამოსილი უწყებების საქართველოში დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, მედი-გამოცემებისა და პროფესიული გაერთიანებების მიმართ.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ გააგრძელებს სამოქალაქო ადვოკატირების პროცესს და საზოგადოებას საჯარო აქტიურობების გზით გააცნობს საქმეზე დამდგარ შედეგებს.

¹⁴ 2025 წლის 21 ივლისის ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელის, ნიაზ ხალვაშის ინტერესების დამცველი ადვოკატ არჩილ კაიკაციშვილის განცხადება.

2. ქარხნის ისტორია და შექმნის საფუძვლები

2001 წლის 26 ივნისს, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, რეგისტრაციაში გატარდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – ბათუმის საშენ მასალათა კომბინატი (ს/კ 248387222), რომლის დამფუძნებელიც გახდა აჭარის ა/რ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.

საზოგადოების წესდების თანახმად, ძირითად საქმიანობის მიმართულებად განისაზღვრა: ბეტონისა და რკინაბეტონის ნაკეთობათა წარმოება და რეალიზაცია, ლითონის კონსტრუქციების წარმოება და რეალიზაცია, არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობა. საზოგადოების საწესდებო კაპიტალს წარმოადგენდა 5161990 ლარის ღირებულების ქონებრივი შენატანი.

მოგვიანებით, 2005 წლის 20 ივნისს, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და აჭარის ა/რ მთავრობას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ბათუმის საშენ მასალათა კომბინატი“ გადავიდა აჭარის ა/რ რესპუბლიკის საკუთრებაში¹⁵.

2005 წლის 29 დეკემბერს, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის N699 ბრძანების თანახმად, შპს „ბათუმის საშენ მასალათა კომბინატი“-ს საწესდებო კაპიტალში შეტანილი იქნა ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრებით შექმნილი ფერადი ფილების დამამზადებელი უნივერსალური ქარხანა „ZENITH 940 SUPER AZ 100“, ღირებულებით: 1 342 292 ლარი. ამავე ბრძანების თანახმად, საზოგადოების საწესდებო კაპიტალიდან შემდგომი განკარგვის მიზნით ამოღებული იქნა 5 ერთეული ლითონის კონსტრუქციების დამამზადებელი მოძრავი საამქრო ღირებულებით 2 262 907 და 553 167 ლარის ღირებულების მარაგები და მასალები. **შედეგად, საზოგადოების კაპიტალი, რომელიც შეადგენდა 5 161 990 ლარს, შემცირდა 1 473 780 ლარით და განისაზღვრა 3 688 210 ლარის ოდენობით.**

2006 წლის 1 მარტის აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის N5-8 ბრძანების თანახმად, შპს „ბათუმის საშენ მასალათა კომბინატი“-ს დირექტორად დაინიშნა ნიაზ ხალვაში (პ/ნ 61005001300). ამ დროისთვის, ნიაზ ხალვაში საკუთრების უფლებით ფლობდა და 100%-იანი წილს განკარგავდა 28.02.2005 დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – „DECO“ (ს/კ 245527318).

2006 წლის 26 ივნისს, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა

¹⁵ 2005 წლის 12 მაისის საქართველოს მთავრობის განკარგულება N183.

და სწორედ შპს „DECO“-ს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შპს „DECO“-ს საკუთრებაში გადაეცა ხელვაჩაურის რაიონის, დაბა ხელვაჩაურში, წერეთლის ქუჩა N9-ში მდებარე შპს „ბათუმის საშენ მასალათა კომბინატი“-ის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 100% წილი, რომლის საერთო ღირებულებას შეადგენდა 475,000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი. ამავე დღეს, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან შპს „DECO“-ს მიმართ გაიცა საკუთრების მონუმბაც.

2007 წლის 23 თებერვალს, შპს „DECO“-სა და ს.ს. „თიბისი ბანკს“ შორის გაფორმდა საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ N762192 ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანხამ შეადგინა 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარი ან ექვივალენტი ნებისმიერ ვალუტაში, ხოლო მოქმედების ვადად განისაზღვრა – 20 წელი. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის თანახმად, ბანკი იღებდა უფლებამოსილებას „კლიენტის“ სასარგებლოდ გაეცა „საკრედიტო პროდუქტები“, ხოლო 4.8 ქვეპუნქტის თანახმად, „კლიენტის“ განაცხადზე შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, მხარეებს შორის უნდა გაფორმებულიყო შესაბამისი „დამატებითი ხელშეკრულება“. ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1 პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებების საგნები უზრუნველყოფდნენ ამ ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული „დამატებითი ხელშეკრულებებით“ „კლიენტის“ მიერ ბანკის მიმართ ნაკისრ ყველა ვალდებულებას. ძირითადი ხელშეკრულების დანართას წარმოადგენდა მხარეთა შორის 23.02.2007 წელს გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულება N762192-2, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, ბანკის სასარგებლოდ, გირაოს საგანს წარმოადგენდა მოძრავი ქონება (და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე). კერძოდ, საწარმოს ტერიტორიაზე მდებარე 2 ერთეული დიზელ გენერატორი, ფილების საყალიბე დანადგარი, რომლის შეფასებით ღირებულებას შეადგენდა 50,170 აშშ დოლარი¹⁶.

2007 წლის 23 თებერვალს, საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ N762192 ხელშეკრულების ფარგლებში ს.ს. თიბისი ბანკსა და ფიზიკურ პირ ნიაზ ხალვაშს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება N762192-1, რომლითაც აღებული იქნა სოლიდარული პასუხისმგებლობა ბანკსა და შპს „DECO“-ს შორის ძირითადი და ნებისმიერი დამატებითი

¹⁶ 2007 წლის 23 თებერვლის შპს DECO“-სა და ს.ს. „თიბისი ბანკს“ შორის გაფორმებული საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ N762192 ხელშეკრულება, 23.02.2007 წელს გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულება N762192-2.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე¹⁷. ამასთან, 2007 წლის 31 მარტს, ს.ს. თიბისი ბანკსა და შპს „DECO“-ს შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება N762192-3, რომლის ფარგლებშიც, ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა შპს „DECO“-ს საკუთრებაში არსებული მთელი უძრავი ქონება, მისამართზე: დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი, 30 000 კვ.მ (დაუზუსტებელი) მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები საერთო ფართობით: 6971 კვ.მ¹⁸.

2007 წლის 23 თებერვალს, 2007 წლის 2 აპრილს, 2007 წლის 23 მაისს, 2007 წლის 22 ივნისს, 2007 წლის 17 აგვისტოს, 2007 წლის 10 სექტემბერს, შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, ს.ს. თიბისი ბანკიდან შპს „DECO“-ს მიმართ განუხლები იქნა საკრედიტო მომსახურება, რამაც მთლიანობაში შეადგინა 561,641 ათასი ლარი და 220,000 ათასი აშშ დოლარი¹⁹.

ნიაზ ხალვაში, მისი ბიზნეს-საქმიანობა და ოჯახის წევრების უსაფრთხოება, სწორედ 2007 წლიდან აღმოჩნდა სადავო პერიოდში მოქმედი ხელისუფლების დარტყმის ქვეშ, რამაც განგრძობითი და რეკეტის ხასიათი მიიღო.

2007 წლის 17 ოქტომბერს, საქართველოს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილის აჭარის ა/რ საგამოძიებო განყოფილების მიერ მიღებული იქნა დადგენილება ბრალდებულის სახით ნიაზ ხალვაშის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე²⁰. ნიაზ ხალვაშს ბრალი დაედო წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენასა და გასაღებაში, ჩადენილი ავტომობილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. ამავე დღეს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს მიერ მიღებული იქნა დადგენილება ნიაზ ხალვაშის მიმართ ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ²¹. ნიაზ ხალვაშს ბრალი დაედო ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენ-

¹⁷ 2007 წლის 23 თებერვლის ს.ს. თიბისი ბანკსა და ნიაზ ხალვაშს შორის გაფორმებული თავდებობის ხელშეკრულება N762192-1.

¹⁸ 2007 წლის 31 მარტის ს.ს. თიბისი ბანკსა და შპს „DECO“-ს შორის გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულება N762192-3

¹⁹ 2007 წლის 23 თებერვალის, 2007 წლის 2 აპრილის, 2007 წლის 23 მაისის, 2007 წლის 22 ივნისის, 2007 წლის 17 აგვისტოსა და 2007 წლის 10 სექტემბერს ს.ს. თიბისი ბანკსა და შპს „DECO“-ს შორის გაფორმებული საბანკო კრედიტისა და ოვერდრაფტით მომსახურების ხელშეკრულებები.

²⁰ 2007 წლის 17 ოქტომბერის საქართველოს შსს კუდ საგამოძიებო ნაწილის აჭარის საგამოძიებო განყოფილების გმს უფროსი გამოძიებლის სპარტაკ ხვადაგიანის დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

²¹ 2007 წლის 17 ოქტომბერის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს უფროსი გამოძიებლის მამუკა ვასაძის დადგენილება.

ტის შექმნაში, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

2007 წლის 18 ოქტომბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნიაზ ხალვაშის მიმართ, სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ფარგლებში, გამოყენებული იქნა აღკვეთი ღონისძიება პატიმრობის სახით.²² ამავე დღეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნიაზ ხალვაშის მიმართ, სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ფარგლებში, გამოყენებული იქნა აღკვეთი ღონისძიება პატიმრობის სახით.²³

2007 წლის 27 ოქტომბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნიაზ ხალვაშის მიმართ გამოყენებული აღკვეთი ღონისძიება წინასწარი პატიმრობა შეიცვალა გირაოთი 100,000 ლარის ოდენობით და მის უზრუნველსაყოფად ყადაღა დაედო ნიაზ ხალვაშის რძლის, ქ. ბათუმში მდებარე კუთვნილ საცხოვრებელ ბინას²⁴.

2007 წლის 26 დეკემბერს, ზემოაღნიშნული მოვლენების კვალდაკვალ, ს.ს. თიბისი ბანკსა და ფიზიკურ პირ ნიაზ ხალვაშს შორის გაფორმდა საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულება, 30 წლის ვადით, საკრედიტო რესურსის მაქსიმალური – 500,000 აშშ დოლარის ფარგლებში, ხოლო 2007 წლის 27 დეკემბერს, მხარეთა შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება N766494-1²⁵, რომელიც მოიცავდა, როგორც 26.12.2007 წელს ფიზიკურ პირ ნიაზ ხალვაშთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების, ასევე ს.ს. თიბისი ბანკსა და შპს „DECO“-ს შორის 23.02.2007 წელს გაფორმებული საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთულ ნიაზ ხალვაშის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, მისამართზე: ქ. ბათუმი, ნ. დუმბაძის ქუჩა N5, მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები 379,72 კვ.მ, ს/კ 05.02.14.006.

2008 წლის 15 მარტს, ს.ს. თიბისი ბანკსა და შპს „DECO“-ს შორის,

²² 2007 წლის 18 ოქტომბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე როინ კახიძის ბრძანება N10/ა-711 ნიაზ ხალვაშის მიმართ აღკვეთი ღონისძიების გამოყენების შესახებ.

²³ 2007 წლის 18 ოქტომბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე როინ კახიძის ბრძანება N10/ა-711 ნიაზ ხალვაშის მიმართ აღკვეთი ღონისძიების გამოყენების შესახებ.

²⁴ 2007 წლის 27 ოქტომბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მურმან ხამაშურიძის ბრძანება ნიაზ ხალვაშის მიმართ აღკვეთი ღონისძიების შეცვლის შესახებ.

²⁵ 2007 წლის 27 დეკემბრის ს.ს. თიბისი ბანკსა და ნიაზ ხალვაშს შორის გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულება N766494-1.

23.02.2007²⁶ ძირითადი ხელშეკრულების ფარგლებში, გაფორმდა დამატებითი საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, კრედიტის თანხად კი განისაზღვრა 350,000 ლარი. კრედიტის გაცემის მიზნობრიობად მითითებული იქნა საგადასახადო დავალიანების ფინანსირება. სესხის თანხა უნდა მოხმარებოდა საშენ მასალათა კომბინატის საგადასახადო ვალდებულებების ფინანსირებას.

2008 წლის 24 ივლისის ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნიაზ ხალვაშის მიმართ კვლავ შეიცვალა აღკვეთი ღონისძიება და გირაოს ნაცვლად აღკვეთი ღონისძიების სახედ კვლავ გამოყენებული იქნა პატიმრობა, თუმცა პოლიტიკური დევნისა და უკანონო სისხლის-სამათლებრივი პროცესის პირობებში, ნიაზ ხალვაშს საქართველო უკვე დატოვებული ჰქონდა. შედეგმაც არ დააყოვნა – სასამართლოს მიერ ნიაზ ხალვაშის დაუსწრებლად გამოტანილი იქნა შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

2009 წლის 23 თებერვლის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდებაში ნიაზ ხალვაში ცნობილი იქნა დამნაშავედ. მას სასჯელად დაენიშნა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად ჯარიმა – 10,000 ლარი. ამავე განაჩენით, სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ფარგლებში, ნიაზ ხალვაში ცნობილი იქნა დამნაშავედ. მას სასჯელად დაენიშნა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად ჯარიმა – 15,000 ლარი.²⁷

არსებული სამართლებრივი შედეგები თანაბარი უარყოფითი გავლენის მომტანი გახდა ნიაზ ხალვაშის საკუთრებაში არსებული კომპანიებისა და ბიზნესის შემდგომი ფუნქციონირებისთვის.

ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 28 იანვრის N295 ბრძანებით და მოცემული ბრძანების საფუძველზე, 2008 წლის 28 იანვარს გამოცემული N17 საგადასახადო მოთხოვნით, შპს „DECO“-ს ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დაერიცხა 267085 ლარი. ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილგადაამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 16 დეკემბრის N3016 ბრძანებით და 2008 წლის 18 დეკემბრის N16.16/11157 საგადასახადო მოთხოვნით დაერიცხა ჯარიმა 210413,84 ლარი.

²⁶ 2008 წლის 15 მარტის ს.ს. თიბისი ბანკსა და შპს „DECO“-ს შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულება N762192-861094.

²⁷ 2009 წლის 23 თებერვლის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თემურ კაკაბაძის განაჩანი ნიაზ ხალვაშის ბრალდების შესახებ.

შპს „DECO“-ს 2008 წლის 18 ოქტომბერს გაეგზავნა შეტყობინება საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ, რომელიც ასევე დარეგისტრირდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

2009 წლის 27 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ბრძანებით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება შპს „DECO“-ს ქონების აღწერისა და ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე²⁸.

შპს „DECO“-მ, 2008-2010 წლებში, საერთო სასამართლოების წესით სადავოდ გახადა დაჯარიმების თაობაზე მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, თუმცა უშედეგოდ²⁹.

2010 წლის 11 მაისის ბათუმის საქალაქო სასამართლოს ბრძანებით, დაკმაყოფილდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) უფროსის შუამდგომლობა და მიღებული იქნა გადაწყვეტილება ღია აუქციონის წესით, შპს „DECO“-ს დაყადაღებული ქონების რელიზაციის თაობაზე. **კრძოდ, 30 022 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რეკვიზიტებით: 22.27.02.061, 3731.35 კვ.მ სანარმო კორპუსი, 20 709 კვ.მ ლითონის სანყოფი, 44,44 კვ.მ ელექტრო ქვესადგური, 197,05 კვ.მ ქვიშის საშრობი, 1928.45 კვ.მ. ფერადი ქვიშების საამქრო, 609.56 კვ.მ მანქანების სარემონტო საამქრო, I კონპლექტი ინერტიული მასალების გადამამუშავებელი საამქრო, 337 კვ.მ საყოფაცხოვრებო-სამეურნეო კორპუსი**³⁰. 2010 წლის 6 აგვისტოს გაიცა სააღსრულებლო ფურცელიც.

ამასთან, თავის მხრივ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით და გაცემული სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე, დაკმაყოფილდა ს.ს. თიბისი ბანკის სარჩელი და შპს „DECO“-სა და ნიაზ ხალვაშს ბანკის სასარგებლოდ დაეკისრათ 987360.61 ლარის გადახდა. **აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, აჭარის სააღსრულებლო ბიუროს მიერ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ მოთხოვნილი იქნა შპს „DECO“-ს საკუთრებაში არსებული ს/კ**

²⁸ 2009 წლის 26 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილის დავით შაქარაშვილის ბრძანება N4798/02-11.

²⁹ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, 2010 წლის 23 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

³⁰ 2010 წლის 11 მაისის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ჯუმბერ ბეჟანიძის ბრძანება საგადასახადის გადამხდელის დაყადაღებული ქონების რელიზაციის თაობაზე.

22.27.02.061 ქვემ არსებული უძრავი ქონებაზე. კერძოდ, 30022 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 6971 კვ.მ შენობა-ნაგებობაზე ყადაღის წარმოშობა.

2010 წლის 24 დეკემბრის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარის სააღსრულებლო ბიუროს განკარგულებით,³¹ შპს „DECO“-ს საკუთრებაში არსებული ს/კ 22.27.02.061 ქვემ არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, 30022 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 6971 კვ.მ შენობა-ნაგებობა ნატურით გადაეცემა უძრავ ნივთზე პირველი რიგის კრედიტორ ს.ს. თიბისი ბანკს. კერძოდ, განკარგულების 1-ელი პუნქტით დგინდება, რომ ვინაიდან ნივთის რეალიზაცია არ მოხდა მეორე იძულებით საჯარო აუქციონზე, 17.12.2010 განეორებითი უშედეგო აქუციონის შემდეგ კრედიტორ ს.ს. თიბისი ბანკის წარმომადგენელმა ლანა ლორიამ 21.12.2010 წერილობით მოითხოვა უძრავი ნივთის ს.ს. თიბისი ბანკის მიმართ ნატურით გადაცემა. განკარგულებით აღინიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, უძრავი ქონების საწყისი ფასი განსაზღვრული იქნა 539415,24 ათასს აშშ დოლარად და 2675 ლარად. შესაბამისად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 24.12.2010 ამონაწერის თანახმად, უძრავი ნივთის მესაკუთრე გახდა ს.ს. თიბისი ბანკი. უძრავ ქონებას ახალი მესაკუთრის სახელზე, თან გადაყვა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და ყადაღა.

2011 წლის 14 აპრილს, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გურიის რეგიონალური ცენტრის სასარგებლოდ, შედგა განმეორებითი იძულებითი აუქციონი. გასაყიდად იქნა გამოტანილი შპს „ბათუმის საშენ მასალათა კომბინატის“ სახელზე რიცხული მოძრავი ქონება: ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის (ROSACOMETTA) 1 კომპლექტი, რომელიც შედგებოდა: ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის სამართავი პულტი 1 ცალი, ბუნკერი 4 ცალი, ლენტური ტრანსპორტიორი 1 ცალი, ბეტონმრევი კვანძო 1 ცალი, ბეტონის მჭრელი დანადგარი 1 ცალი, უძრავი რობოტი, მოძრავი რობოტი 1 ცალი, პალეტების საწმენდი და შესაზეთი დანადგარი 1 ცალი, სილოსი ცემენტის 2 ცალი, კომპრესორი 2 ცალი, ბეტონის ფორმები ბარდიულის 2 ცალი, ფილების 4 ცალი. ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის 1 კომპლექტის შემძენი გახდა **შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“ (ს/კ 204504376, დირექტორი მამუკა სხვიტარიძე), რომელმაც მოძრავი ნივთის შესაძენად გადაიხადა – 310,726.50 ლარი.** მას აღნიშნული ქონება გადაეცა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარისა და გურიის სააღსრულებლო ბიუროს შესაბამისი განკარგულების საფუძველზე³².

³¹ 2010 წლის 24 დეკემბრის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარის სააღსრულებლო ბიუროს აღმასრულებლის ირაკლი ქამადაძის A10058287-018/001 განკარგულება.

³² 2011 წლის 14 აპრილის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარისა და გურიის სააღსრულებლო ბიუროს აღმასრულებლის, ირაკლი ქამადაძის განკარგულება A10069894-010/002 აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ.

2011 წლის 19 მაისს შედგა განმეორებითი იძულებითი საჯარო აუქციონი, რომლის შედეგადაც, შპს „DECO“-ს საკუთრებაში რიცხული მოძრავი ნივთის – ინერტული მასალების გადამამუშავებელი საამქროს შემძენი გახდა შპს „ბონდი – 2009“ (ს/კ 245626470, დირექტორი – მამუკა დოლიძე). საამქრო შეძენილი იქნა 86005 ლარად, ხოლო ამავე დღეს გაიმართა ელექტრონული აუქციონიც, რომლის შედეგადაც, შპს „DECO“-ს საკუთრებაში რიცხული მოძრავი ნივთის – სატრანსპორტო საშუალების – მკვებავის შემძენი გახდა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“ (ს/კ 204504376, დირექტორი მამუკა სხვიტარიძე), თუმცა მის მიმართ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარისა და გურიის სააღსრულებლო ბიუროს მხრიდან, ქონების შესაძენად წარმოდგენილი შესყიდვის ფასის გადაუხდელობის გამო, მოხდა საკუთრების უფლების გადაცემის გაუქმება.

2011 წლის 28 სექტემბერს, ერთის მხრივ, ს.ს. თიბისი ბანკსა და მეორეს მხრივ, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ შორის ფორმდება უძრავი ნივთის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ს/კ 22.27.02.061 ქვეშ არსებული უძრავი ქონებაზე, კერძოდ, 30022 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 6971 კვ.მ შენობა-ნაგებობის შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მიერ შეძენა და მომავალი საკუთრების უფლების წარმოშობა. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1. პუნქტის თანახმად, უძრავი ქონების ნასყიდობის ღირებულებას შეადგენდა: 750,000 აშშ დოლარი, დღგ-ს ჩათვლით. მხარეთა შორის ნასყიდობის თანხის გადახდა შეთანხმდა 4 ტრანშად, 2012 წლის 01 ოქტომბრამდე. 2011 წლის 14 ნოემბერს მხარეთა შორის 28.11.2011 უძრავი ნივთის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ მოხდა დამატებითი შეთანხმება, რაც ეხებოდა „გამყიდველის“ თავშეკავებას „ნასყიდობის საგნის“ გასხვისებაზე, უაქცეპტო წესით თანხების ჩამონერას, დაუძლეველი ძალის შინაარსის განმარტებას, დავის განმხილველი სასამართლოს არჩევას და სხვა³³. 2012 წლის 25 ოქტომბრის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის თანახმად, ს/კ 22.27.02.061 ქვეშ არსებული უძრავ ქონებაზე, კერძოდ, 30022 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 6971 კვ.მ შენობა-ნაგებობის მესაკუთრეა – შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“.

³³ 2011 წლის 28 სექტემბრის ს.ს. თიბისი ბანკისა და შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ უძრავი ნივთის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება, 2011 წლის 15 ნოემბრის დამატებითი შეთანხმება 28.11.2011 ხელშეკრულებაში.

3 ქონების დაკარგვა – დავა შპს „მეგაკოსა“ და შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ შორის

1995 წლის 26 დეკემბერს, ვაკის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, რეგისტრაციაში გატარდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – „მეგაკო“ (ს/კ 204875108), რომლის დამფუძნებელი წევრები გახლდათ: მერაბ გაგუა (პ/ნ 01026008003) წილი: 11.67 %, ირინე ხაზარაძე (პ/ნ 01024001864) წილი: 15 %, გოჩა სვანიძე (პ/ნ 01015011141) წილი: 11.67 %, კობა თაყაიშვილი (პ/ნ 01034005761) წილი: 11.67 %, გრიგოლ ლომთაძე (პ/ნ 01022004370) წილი: 11.66 %, სოფიო ხაზარაძე (პ/ნ 01030003653) წილი: 15 %. კახა გიგავა (პ/ნ 01030022617) წილი: 23.33 %. საზოგადოების წესდების თანახმად, კომპანია საქმიანობას ახორციელებს: მინერალური წყლების დისტრიბუცია, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება, ჩამოსხმა და ექსპორტ-იმპორტი, სამრეწველო და სასურსათო პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია, საბანკო, საბირჟო და საბროკერო ოპერაციები, ყველა სახის კომერციული საქმიანობა. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან უკანაკნელი – 06.12.2023 ამონაწერის თანახმად, შპს „მეგაკოს“ ძირითადი წილის მმართველი (მესაკუთრე) პირები უცვლელია. ცვლილება განხორციელებულია მხოლოდ გოჩა სვანიძის ნაწილში და დღევანდელი მონაცემით, მის წილობრივ მონაცემს კომპანიაში – 11.67% იკავებს ინგა სვანიძე (პ/ნ 01024055467).

2006 წლის 24 მარტს, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადაწყვეტილებით, რეგისტრაციაში გატარდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – „ტრანსკავკასიის კრისტალი“ (ს/კ 204504376), რომლის დამფუძნებელი წევრები გახლდათ: მამუკა სხვიტარიძე (პ/ნ 01010000499) 70% წილის მფლობელი და დავით თორდია (პ/ნ 19001004357). კომპანიის ერთპიროვნულ ხელმძღვანელ პირად განისაზღვრა მამუკა სხვიტარიძე. კომპანიის საქმიანობის საგანს წარმოადგენდა: მინისა და მინის პროდუქტების წარმოება. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან უკანაკნელი – 10.03.2025 ამონაწერის თანახმად, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და მესაკუთრე ნუნუ გიკაშვილია (პ/ნ 01024025949).

2010 წლის 20 ივლისს, ორ იურიდიულ პირს შორის – შპს „მეგაკოსა“ და შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს შორის გაფორმდა სამუშაოს შესრულების შესახებ ხელშეკრულება. შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-მა, როგორც შემსრულებელმა კომპანია აიღო ვალდებულება შეესრულებინა სასაწყობო შენობის მშენებლობა, საერთო ფართობით: 2196 კვ.მ. ხელშეკრულება უნდა შეს-

რულებულიყო შპს მეგაკოს“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მისამართზე: ქ. თბილისი, სოფელი დილომი, ს/კ 01.72.14.032.320. შესწავლილი საპროცესო დოკუმენტაციით იკვეთება, რომ ვალდებულება უნდა შესრულებულიყო 2010 წლის 20 ივლისიდან 9 თვის ვადაში, 2011 წლის 20 აპრილის ჩათვლით. შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ის მხრიდან ვალდებულება არ შესრულებულა და აღნიშნულის მიზეზად მიეთითა ის გარემოება, რომ შპს „მეგაკოს“ სამშენებლო ნებართვა და სანებართვო მონმობა, სადაც მშენებლობის დაწყების თარიღად მიეთითებული იქნა 2011 წლის 10 მარტიდან 2012 წლის 10 მაისამდე პერიოდი, მიღებული ჰქონდა 2011 წლის 25 თებერვალს. შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს განმარტებით, „შემსრულებელი“ მშენებლობის ნებართვების არარსებობის პირობებში მშენებლობას ვერ დაიწყებდა. ამასთან, კიდევ ერთი არგუმენტი შეეხებოდა 2011 წლის მაისში შპს „მეგაკოს“ ტერიტორიის დატბორვას, რაც დამატებით ინვევდა მშენებლობის განუსაზღვრელი ვადით გაჭიანურებას და ახალი ვადების მხარეთა შორის შეთანხმების საჭიროებას (იკვეთება, რომ დატბორვა მოხდა ცენტრალური სანიაღვრე ქსელის დაზიანების შედეგად და ახალი სანიაღვრე ქსელის ჩადება, რაც შპს „მეგაკომ“ სხვა კონტრაქტორი კომპანიების მეშვეობით უზრუნველყო, აგვარებდა წარმოქმნილ პრობლემას).

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, შპს „მეგაკომ“ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს მიმართ სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ აენაზღაურებინა ჩარიცხული მთლიანი თანხის სახით 500,000 ლარი, პირგასამტეხლოს სახით 587,675 ლარი და მიყენებული ზიანის სახით 495,388 ლარი. შპს „მეგაკომ“ აცხადებდა, რომ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს არ ჰქონდა შესრულებული ხელშეკრულების პირობები. კერძოდ, არც შეთანხმებულ ვადაში ჰქონდა დასრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო და ის, რაც შესრულების სახით არსებობდა, არ შეესაბამებოდა შეთანხმებულ ხარისხს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო სამშენებლო ნორმებს.

თავის მხრივ, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს მიერ შპს „მეგაკოს“ მიმართ წარდგენილი იქნა შეგებებული სარჩელი და მოთხოვნილი იქნა შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებისთვის დარჩენილი თანხის – 24205,74 აშშ დოლარის ექვივალენტი 40805.07 ლარის გადახდა.

2014 წლის 10 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით³⁴, შპს „მეგაკოს“ სარჩელი შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხე

³⁴ 2014 წლის 10 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, საქმეზე: N2/12279-13.

შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს მოსარჩელე შპს „მეგაკო“-ს სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის – 500,000 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 300,000 ლარის გადახდა, ხოლო ზიანის სახით 495,388 ლარის გადახდა არ დაკმაყოფილდა. ამასთან, სასამართლომ არ დააკმაყოფილა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს შეგებებული სარჩელი შპს „მეგაკოს“ მიმართ სამუშაოების ანაზღაურებისთვის დარჩენილი თანხის – 24205,74 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის 40805.07 ლარის ანაზღაურებაზე. *პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით.*

2015 წლის 24 თებერვალს, *ქრონოლოგიური მეხსიერების თვალსაზრისით, აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის სასარგებლოდ, შედგა განმეორებითი იძულებითი აუქციონი. გასაყიდად იქნა გამოტანილი შპს „DECO“-ს სახელზე რიცხვული მოძრავი ქონება. კერძოდ, 1. რკინის ლობე, 2. სეიფი, 3. კონდიციონერი „ვესტელი“, 4. რბილი ავეჯი, 5. ელ. ლუმელი, 5. საგლუფებელი, 6. სასწორი, 7. კომპრესორი, 8. წყლის ნასოსი, 9. ურიკა ამწე, 10. ელ. შედუღების აპარატი, 10. სახარატო ჩარხი 1 კომპ, 11. ხიდურა ამწე, 12. შემადუღებელი აპარატი, 13. დენის რეგულატორი, 14. სასწორი საავტომობილო, 15. სასწორი, 16. სპეციალიზირებული ნახევარმისამბმელი, რომლის შემდენიც გახდა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“. მთლიანობაში, ჯამურად, აუქციონის წესით შეძენილ ქონებაზე გადახდილი იქნა 58,661.55 ლარი. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ შეძენილ მოძრავ ნივთებზე მიღებული იქნა შესაბამისი განკარგულებები³⁵*

2015 წლის 22 ივლისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით³⁶, გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება. კერძოდ, შპს „მეგაკოს“ სარჩელი შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხე შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს მოსარჩელე შპს „მეგაკო“-ს სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხა – 433.453 ათასი ლარისა და პირგასამტეხლოს სახით 200,000 ლარის გადახდა. მხარეთა შორის სამართალწარმოების გაგრძელების მიუხედავად, 2015 წლის 22 ივნისის თბილისის სა-

³⁵ 2015 წლის 24 თებერვლის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარისა და გურიის სააღსრულებლო ბიუროს აღმასრულებლის, ეკატერინე მარხვაშვილის განკარგულებები.

³⁶ 2015 წლის 22 ივლისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე: N2ბ/6771-14, მოსამართლეები: ქეთევან კუჭავა (თავმჯდომარე), მაია სულხანიშვილი, თამარ ზამბახიძე.

აპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 17 მარტს, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-მა შპს „მეგაკოს“ მიმართ ახალი სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოთხოვნილი იქნა შესრულებული სამუშაოებისა და იმ მასალების ღირებულება, რომელიც შპს „მეგაკოს“ დარჩა. შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს განმარტებით, ასეთი სიკეთეებს წარმოადგენდა: უნაკო ფუნდამენტი, რანდკოჭისა და ლითონის კონსტრუქციის ღირებულება, რაც მთლიანობაში შეადგენდა უსაფუძვლო გამდიდრებით ასანაზღაურებელ 460,766 ლარს. შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს განმარტებით, 2015 წლის 22 ივნისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, სასამართლოს მხრიდან ზემოაღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა არ წარმართულა.

2019 წლის 11 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით³⁷, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სარჩელი შპს „მეგაკოს“ მიმართ დაკმაყოფილდა და შპს „მეგაკოს“ დაეკისრა 459 866.91 ლარის გადახდა. არ დაკმაყოფილდა შპს „მეგაკოს“ შეგებებული სარჩელი შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მიმართ ზიანის ანაზღაურების სახით 48,000 ლარის დაკისრების მოთხოვნით. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე, 2020 წლის 5 აგვისტოს გაცემული იქნა სააღსრულებლო ფურცელი.

2016 წლის 6 ივლისს, მას შემდეგ, რაც შპს „მეგაკომ“ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს მიმართ აღსასრულებად მიიღო კანონიერ ძალაში შესული 2015 წლის 22 ივნისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და სააღსრულებლო ფურცელი, განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებლო ბიუროს და მოითხოვა: მოვალე: შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს კრედიტორ: შპს „მეგაკოს“ სასარგებლოდ დაკისრებოდა 635,453 ათასი ლარის გადახდა.

2016 წლის 8 ივლისის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წერილით, სსიპ საჯარო რეესტრს ეცნობა, რომ ყადაღა წარმოშობილიყო შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს შემდეგ უძრავ ქონებაზე³⁸, მდებარე:

³⁷ 2019 წლის 11 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, საქმე: N2/7442-17, მოსამართლე: ქეთევან მამაცაშვილი.

³⁸ 2016 წლის 8 ივლისის აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებლო ბიუროს სტაჟიორ-აღმასრულებლის მარგარიტა ტაბაღუას წერილი A16064532-006/001 სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

1. რაიონი ხელვაჩაური, სოფელი მწვანე კონცხი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **20.48.07.103**,
2. რაიონი ზესტაფონი, სოფელი პირველი სვირი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **32.11.32.051**,
3. ქალაქი ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **05.35.27.057**
4. რაიონი წალკა, სოფელი კოხტა (ახალიკი), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **85.19.25.002**,
5. თელავი, სოფელი კონდოლი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **53.05.36.031**

2016 წლის 8 ივლისის, 2016 წლის 15 ივლისის, 2016 წლის 26 ივლისის, 2016 წლის 29 ივლისის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებლო ბიუროს წერილ(ებ)ით შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს ეცნობა გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, ხოლო 2016 წლის 1 აგვისტოს შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს საჯარო შეტყობინების გზით ეცნობა სააღსრულებლო წარმოების წინადადება გადაწყვეტილების 7 დღის ვადაში ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე. ამასთან, ვინაიდან შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები მდებარეობდა აჭარისა და გურიის სააღსრულებლო ბიუროს სამოქმედო ტერიტორიაზე, საქმე სრულად გადაიგზავნა აჭარისა და გურიის სააღსრულებლო ბიუროში.

2016 წლის 10 აგვისტოს, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს განცხადებით აჭარისა და გურიის სააღსრულებლო ბიუროს მიმართ, დავალიანების დაფარვის მიზნით, მოთხოვნილი იქნა, პირველ რიგში განხორციელებულიყო მოვალე კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების, მდებარე: **რაიონი ზესტაფონი, სოფელი პირველი სვირი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 32.11.32.051** და მდებარე: **თელავი, სოფელი კონდოლი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 53.05.36.031** აუქციონზე რეალიზაცია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ამ ქონების რეალიზაციის შედეგად არ დაკმაყოფილებოდა კრედიტორ შპს „მეგაკოს“ მოთხოვა, მხარე გამოთქვამდა მზადყოფნას დამატებით დაეკმაყოფილებინა კრედიტორის მოთხოვნები.

აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის 2016 წლის 15 სექტემბრის დასკვნით დგინდება, რომ უძრავი ქონების, მდებარე: **თელავი, სოფელი კონდოლი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 53.05.36.031** საბაზრო ღირებულება შეადგენდა 21,000 ათასს ლარს, ხოლო სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნუ-

ლი ბიუროს 2016 წლის 11 ოქტომბრის დასკვნის თანახმად, უძრავი ქონების, მდებარე: **რაიონი ზესტაფონი, სოფელი პირველი სვირი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 32.11.32.051** საბაზრო ღირებულება შეადგენდა 57,320 ლარს. შეფასდა სხვა უძრავი ქონებებიც. კერძოდ, აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის 2016 წლის 4 ნოემბრის დასკვნით, უძრავი ქონების, მდებარე **რაიონი წალკა, სოფელი კოხტა (ახალიკი), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 85.19.25.002** საბაზრო ღირებულებას წარმოადგენდა **44,000 ლარი, ხოლო უძრავი ქონების, მდებარე: რაიონი ხელვაჩაური, სოფელი მწვანე კონცხი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 20.48.07.103** საბაზრო ღირებულებას შეადგენდა 91,000 ათასი ლარი.

რაც შეეხება უძრავ ქონებას, მდებარე: **ქალაქი ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.35.27.057**, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის 12 დეკემბრის დასკვნის მიხედვით, მისი საბაზრო ღირებულება შეფასებული იქნა 6,011,000 ლარად. შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“, დასახელებული ქონების საბაზრო ღირებულების დასკვნას არ დაეთახმა და წერილობით განმარტა, რომ შეფასება განხორციელებული იქნა დაახლოებით 2 მლნ ლარზე ნაკლებად, რის გამოც მოითხოვა 1 კვირის ვადა ალტერნატიული დასკვნის წარმოსადგენად. ბიურო აღნიშნავდა, რომ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს პოზიციის გაზიარების საფუძველი არ არსებობდა. შეფასება განხორციელებული იქნა შეფასების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით და შეესაბამებოდა მის რეალურ ღირებულებას, ხოლო კანონი არ ითვალისწინებდა რაიმე დამატებითი ვადის განსაზღვრას შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს ალტერნატიული დასკვნის წამოდგენის მოლოდინისთვის. შესაბამისად, ბიურო უარს ამბობდა დამატებითი ვადის დაწესების თაობაზე.

მიუხედავად სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს გაცხადებული პოზიციისა, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს 2016 წლის 22 და 23 დეკემბრის წერილებით, კვლავ მოთხოვნილი იქნა **საკადასტრო კოდის: 05.35.27.057** ქვეშ არსებული უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერება და ხელახლა შეფასება, რაც სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან დაკმაყოფილდა. **ბიუროს 2016 წლის 28 დეკემბრის შეფასების დასკვნით უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებად განისაზღვრა 6,284,000 მილიონი ლარი.** დასკვნის თანახმად, შეფასებული ობიექტი წარმოადგენს მიწის ნაკვეთს ზედ განთავსებული საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობებით. კერძოდ, **საკადასტრო რუკის მიხედვით რეგისტრირებული 8 შენობა. კერძოდ, N1 შენობა – განთავსებულია საყარაულოს ადმინისტრაციული შენობა (დაუზუსტებელი აზომვით: 338 კვ.მ), N2 შენობა – სასაწყობე შენობა (დაუზუსტებელი აზომვით: 1961**

კვ.მ), N3 შენობა – ერთსართულიანი შენობა (დაუზუსტებელი აზომვით: 438 კვ.მ), გარე კედლები შებათქაშებულია, ჩასმულია მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები, N4 შენობა – ანგარის ტიპის სანარმოო დანიშნულების შენობა (დაუზუსტებელი აზომვით: 1961 კვ.მ), N5 შენობა – ანგარის ტიპის სანარმოო დანიშნულების შენობა (დაუზუსტებელი აზომვით: 599 კვ.მ), N6 შენობა – სანარმოო დანიშნულების კონსტრუქციული შენობა (დაუზუსტებელი აზომვით: 3888 კვ.მ), N7-8 – შენობები წარმოადგენს სატრანსფორმატოროს შენობებს დაურეგისტრირებელი შენობა (დაუზუსტებელი აზომვით: 22 კვ.მ). ამასთან, ბიურო აღნიშნავდა, რომ დასკვნაში ქონების ღირებულების ფასის ცვლილება ლარში ძირითადად გამოწვეული იქნა კურსის ცვლილების გამო აშშ დოლართან მიმართებით.

2017 წლის 2 თებერვალს, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე, მდებარე: ქალაქი ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.35.27.057 გამოცხადდა პირველი აუქციონი, რომელიც დასრულდა ამავე წლის 10 თებერვალს უშედეგოდ. 2017 წლის 10 თებერვალს გამოცხადდა პირველი განმეორებითი აუქციონი, რომელიც დასრულდა ამავე წლის 20 თებერვალს უშედეგოდ. 2017 წლის 20 თებერვალს გამოცხადდა მეორე განმეორებითი აუქციონი, რომელიც სრულდებოდა 2017 წლის 28 თებერვალს, 16:00 საათზე.

2017 წლის 27 თებერვალს, აუქციონის ამონურვამდე 1 დღით ადრე, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-მა საჩივრით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა A16064532 სააღსრულებლო საქმის წარმოების შეჩერება, მათ შორის იძულებით აუქციონზე გატანილ უძრავ ნივთზე მდებარე: ქალაქი ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.35.27.057, აღსრულების განხორციელების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლა, ამ ნივთზე აღსრულების შეწყვეტა და მოვალის კუთვნილი უძრავი ქონების სხვაგვარი რეალიზაციის დადგენა. ამასთან, მოთხოვნა შეეხებოდა უძრავ ნივთზე მდებარე: ქალაქი ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.35.27.057 აღსრულების მიქცევის დაწყებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოვალის სხვა ქონებების რეალიზაციით ვერ დაიფარებოდა კრედიტორის მოთხოვნები.

შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-მა წარმოადგინა დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის დასკვნა, რომელიც შეეხებოდა საზოგადოების ბალანსზე არსებული ქონების შეფასებას, კერძოდ, მისამართზე: ქალაქი ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი, მიწის (უძრავი ქონების) საკადას-

ტრო კოდი: 05.35.27.057. დგინდება, რომ არსებული ქონება შედგებოდა ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის, მიწის საწარმოსა და სამი ერთეული ჯოჯგინა ამწის სახით, რომლის ღირებულებასაც შეადგენდა 2, 497 645 ლარი. შეფასების აქტში მითითებულია, რომ ბეტონის ქარხანა არის იტალიური წარმოშობის სრული კომპლექტაციით, მუშა მდგომარეობაში. შუშის საწარმო არის თურქული წარმოების. შეფასებას ექვემდებარება რუსული წარმოების სამი ერთეული ჯოჯგინა ამწე, რომელიც მყარად არის დაკავშირებულია შენობის კონსტრუქციასთან, კერძოდ, ამწევემა კოჭებთან.

2017 წლის 28 თებერვლის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის N841 ბრძანებით, გაუქმდა აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს – თბილისის სააღსრულებლო ბიუროს აღმასრულებლის – ხატია ცქიტიშვილის მოქმედება A16064532 სააღსრულებლო საქმის ფარგლებში, უძრავ ნივთზე: **ქალაქი ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.35.27.057, 20.02.2017** მეორე განმეორებითი აუქციონის გამოცხადებაზე და შეწყდა მიმდინარე აუქციონი.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო განმარტავდა, რომ დასადგენი იყო, შენობა-ნაგებობებში არსებული დანადგარები წარმოადგენდა თუ არა სარეალიზაციო ქონების არსებით შემადგენელ ნაწილს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სააღსრულებლო მოქმედებების განსახორციელებლად აღმასრულებელს სჭირდებოდა გარკვეული დრო და აუქციონის დასრულებამდე დარჩენილი დროის სიმცირის გამო, ვერ მოესწრებოდა მათი განხორციელება, მართებულად იქნა მიჩნეული გაუქმებულიყო აღმასრულებლის მიერ განხორციელებული მოქმედება სარეალიზაციო ქონებაზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და შეწყვეტილიყო მიმდინარე აუქციონი.

ამასთან, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2017 წლის 6 მარტის N964 ბრძანებით, აგრეთვე გაუქმებული იქნა აღმასრულებელ ხატია ცქიტიშვილის მოქმედება სააღსრულებლო საქმის ფარგლებში უძრავ ნივთზე 02.02.2017 პირველი აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი, 10.02.2017 პირველი განმეორებითი აუქციონის გამოცხადება და მისი შედეგები, **ვინაიდან განიმარტა, რომ არ იქნა მითითებული სარეალიზაციო ქონების თაობაზე სრულყოფილი ინფორმაცია, არ მომხდარა ქონების მოკლე აღწერა.**

4. ნიავ ხალვაშის მიერ ქონების ხელახლა შეძენისა და ქონების ხელახლა დაკარგვის პროცესი – დავა შპს „ბიზონსა“ და შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ შორის

2017 წლის 30 მარტს შედგა უძრავ ნივთზე: ქალაქი ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.35.27.057 იძულებით საჯარო აუქციონი და გამარჯვებული გახდა შპს „ბიზონი“. უძრავი ქონების შეძენისთვის შპს „ბიზონის“ მიერ გადახდილი იქნა 942,600 ლარი, ხოლო აღსრულება განხორციელდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორის – შპს „მეგაკოს“ სასარგებლოდ.

2017 წლის 13 აპრილის გამოცემული იქნა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს განკარგულება, რომლითაც უძრავი ნივთი, მისამართზე: ქალაქი ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.35.27.057, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 30022.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი: 6971 კვ.მ, საკუთრების უფლების გადაეცა შპს „ბიზონს“. კომპანიამ შეძენილი ქონება საკუთრების უფლებით ამავე დღეს დაირეგისტრირა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

2017 წლის 29 მარტს, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალმა“ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, მესამე პირების: შპს „მეგაკოსა“ და შპს „ბიზონის“ მიმართ, დავის საგანზე: ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელება, სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. 2017 წლის 27 აპრილს, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალმა“ დაზუსტებული სარჩელი წარუდგინა სასამართლოს და დააზუსტა მოპასუხეთა წრეც. კერძოდ, დაზუსტებული სარჩელი მიემართა 1. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, 2. თბილისის სააღსრულებლო ბიუროსა და 3. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ხოლო მესამე პირებად მითითებული იქნა: 1. შპს „ბიზონი“, 2. შპს „მეგაკო“ და 3. აჭარისა და გურიის სააღსრულებლო ბიურო.

შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მიერ წარმოდგენილი სარჩელით მოთხოვნილი იქნა:

1. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2017 წლის 28 თებერვლის N841 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა,
2. აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის 2017 წლის 6 მარტის მოქმედების გაუქმება NA16064532-032 სააღსრულებლო საქმეზე აუქციონის დანიშვნის შესახებ,

3. ალსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებლო ბიუროს 2017 წლის 13 აპრილის NA16064532-035/001 განკარგულების ბათილად ცნობა,
4. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 13 აპრილის N882017298520-03 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სასარჩელო მოთხოვნები დაეუფძნა იმ პრეტენზიაზე მითითებას, რომ აღმასრულებელ ხატია ცქიტიშვილის მიერ 2017 წლის 6 მარტს ისე დაინიშნა ახალი აუქციონი, რომ გასული არ ყოფილა ალსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2017 წლის 28 თებერვლის N841 ბრძანებისა და ალსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის 2017 წლის 6 მარტის მოქმედების გასაჩივრების ვადა, რაც შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ გასაჩივრების უფლებას ართმევდა. პროცესის მონაწილე არც ერთმა მხარემ, მათ შორის მესამე პირებმა, სარჩელი არ ცნეს.

2017 წლის 5 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, არ დაკმაყოფილდა. კერძოდ, სასამართლომ არ გაიზიარა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ დასაბუთება შპს „ბიზონს“ აკრძალვოდა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მისამართზე: ქალაქი ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.35.27.057 გასხვისება, იპოთეკით დატვირთა ან სხვა ვალდებულებებით დატვირთვის რეგისტრაცია³⁹. სასამართლოს განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნული იქნა, რომ „განსახილველ შემთხვევაში, დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ მოსარჩელე მხარის მიერ მოთხოვილი უზრუნველყოფის ღონისძიების განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლოს არ გასაჩენია. შუამდგომლობაში მითითებული გარემოებები არ ქმნის საკმარის საფუძველს მოთხოვილი სარჩელის უზრუნველყოფის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებისთვის, იგი არ არის გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით, რის გამოც მოსარჩელე მხარეს უარი უნდა ეთქვას აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე“ (განჩინება არ გასაჩივრებულა სააპელაციო წესით).

2018 წლის 21 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, **შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სარჩელი, არ დაკმაყოფილდა.**

³⁹ 2017 წლის 5 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმეზე N3/2216-17, მოსამართლე: ნანა აფციაური.

სასამართლო მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ 1) მოცემულ ქონებაზე და ასევე, მოვალის სხვა ქონებების მიმართ განხორციელებული კონკრეტული სააღსრულებლო ღონისძიებები ემსახურებოდა სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებას იძულებითი მექანიზმებით, მათ შორის მოვალის ქონების რეალიზაციის, მოვალისა და მისი ქონების მიმართ შეზღუდვების დანესების გზით. ამ პროცესში კი გასათვალისწინებელია კრედიტორის ინტერესებიც და სააღსრულებლო ბიურო მოკლებულია შესაძლებლობას თვითონ მიიღოს აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებით დამოუკიდებელი გადაწყვეტილებამ 2) იმ პირობებში, როდესაც აუქციონზე ქონების შემძენის მიერ სრულად იქნა გადახდილი ღირებულება, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილი იყო გამოეცა განკარგულება აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი, 3) განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო დადგენილად მიიჩნევა, რომ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მიერ უძრავი ქონების შეფასების დოკუმენტი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ წარდგენილი იქნა 2017 წლის 27 თებერვალს, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების შეფასების შემდეგ. მოსარჩელის მიერ დარღვეული იქნა „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა – ბიუროსთვის ექსპერტის დასკვნის წარდგენის წესი, რაც ბიუროს 27.02.2017 წელს წარდგენილი დასკვნის გაზიარების ვალდებულებას არ აკისრებდა 4) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარმოეშვა საკუთრების უფლების რეგისტრაციის ვალდებულება, რაც განხორციელდა კიდევ. შესაბამისად, არ არსებობდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, რაც გამორიცხავდა უძრავ ქონებაზე შპს „ბიზონის“ საკუთრების უფლების რეგისტრაციას.

2019 წლის 15 მარტს, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება და მოთხოვნილი იქნა ახალი გადაწყვეტილების მიღებით, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. მოპასუხეებმა სააპელაციო საჩივარზე წარმოადგინეს შესაგებელი და სააპელაციო საჩივარი არ ცნეს.

2019 წლის 30 ივლისს, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალმა“ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტ(ებ)ის თანხმად, მოითხოვა საქმისწარმოების შეჩე-

რება⁴⁰. კერძოდ, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მიერ წარმოდგენილი იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი სარჩელი მოპასუხე საქართველოს პარლამენტის მიმართ, რომლითაც მხარემ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის 1-ელ პუნქტთან (საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება) მიმართებით სადავო გახადა „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის 1-ელი პუნქტი, ამავე კანონის 48-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, ამავე კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ამავე კანონის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ამავე კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი, ამავე კანონის 55-ე მუხლის 1-ელი პუნქტი, ამავე კანონის 61-ე მუხლი და მოითხოვა მათი არაკონსტიტუციურად ცნობა.

როგორც კონსტიტუციურ სარჩელში შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“ განმარტავდა, „იმ მოცულობით, როდესაც მოსარჩელე იმყოფებოდა მოვალეთა რეესტრში, მის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას ყადაღა, იგი სამართლებრივად მოკლებული იყო შესაძლებლობას ნებაყოფლობით გაესხვისებია მისი სურვილით არჩეული მის საკუთრებაში არსებული რიცხული ქონება. შესაბამისად, იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას მოძიებული თანხით შეესრულებინა კრედიტორისადმი არსებული ვალდებულება. ამასთანავე, მოვალეთა რეესტრში ყოფნის ფაქტმა გამოიწვია მოსარჩელის საბანკო ანგარიშების დაყადაღება. საკანონმდებლო წესიდან გამომდინარე, დღევანდელი რეგულაციის ფარგლებში, აღსრულების ეროვნული ბიურო აკეთებს აღწერისა და დაყადაღების აქტს, რომელიც არ ემთხვევა მხარეთა შორის არსებულ დავის ფარგლებს. აღწერისა და დაყადაღების აქტი, შემდომ კი ქონების დაყადაღება ხდება არა იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც არის მოქცეული კრედიტორის მოთხოვნა, არამედ მოვალის სრულ ქონებაზე. კანონი მოვალეს აყენებს იმგვარ მდგომარეობაში, რომელიც მისი საკუთრების უფლების ხელყოფას უტოლდება.

გარდა ზემოაღნიშნული მრავალი პრობლემისა, დღეს არსებული სამართლებრივი რეგულაციის ფარგლებში, მოვალე მოკლებულია შესაძლებლობას თავად განსაზღვროს აუქციონზე გასახვისებელი უძრავი ქონების რიგითობა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მის მიერ გასახვისებლად შეთავაზებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება კრედიტორის სასარგებლოდ არსებული მოთხოვნის ფარგლებს. ამასთანავე, დღეს არსებული რეგულაციის ფარგლებში, კანონმდებლობა გამორიცხავს აღსრულების ეროვნული ბიუროს / კერძო აღმასრულებლის ვალდებულებას, აუქციონზე უპირატესად გაიტანოს მოთხოვნის პროპორციული ღირებულების ქონება. კა-

⁴⁰ 2019 წლის 30 ივლისის შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ წარმომადგენლის, მამუკა სხვიტარიძის შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას საქმისწარმოების შეჩერების შესახებ.

ნონმდებლობა, ასევე გამორიცხავს აღსრულების ეროვნული ბიუროს / კერძო აღმასრულებლის ვალდებულებას არაუზრუნველყოფილი მოთხოვნისას, თუკი შესაძლებელია ერთი საკადასტრო კოდის ქვეშ მოქცეული უძრავი ქონების დამოუკიდებელ ნაწილებად / ლოტებად დაყოფა და დამოუკიდებელ ნაწილებად / ლოტებად დაყოფილი უძრავი ქონება აკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას, აღსრულებას უპირატესად დაუქვემდებაროს მოთხოვნის ფარგლებში შეფასებული ღირებულების უძრავი ქონების დამოუკიდებელი ნაწილი ან ლოტი. აღნიშნული რეგულაციების არარსებობის პრიობებში, მოვალე მოკლებულია ყოველგვარ შესაძლებლობას დაიცვას კონსტიტუციით დაცული და უზრუნველყოფილი საკუთრების უფლება⁴¹.

2019 წლის 4 დეკემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, არ დაკმაყოფილდა⁴².

სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“ საქმის წარმოების შეჩერებას ითხოვდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მოთხოვნა კი ვერ ექცეოდა დასახელებული ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ვინაიდან აღნიშნული ნორმა მოიაზრებდა საერთო სასამართლოების სისტემაში (და არა საკონსტიტუციო სასამართლოში არსებულ რაიმე დავაზე) მიმდინარე სამოქალაქო ან ადმინისტრაციული კატეგორიის საქმის განხილვას, რომელიც ვერ გავრცელდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოში არსებულ დავაზე. ასევე, პალატა ამავე განჩინებით განმარტავდა, რომ ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო მიმართავდა თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებით, წარმოადგენდა მის დისკრეციას.

2020 წლის 4 ნოემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით⁴³, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სააპელაციო საჩივარი, არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები და სამართლებრივი შეფასებები საქმეზე, რაც წინამდებარე კვლევიტ უკვე განიმარ-

⁴¹ 2019 წლის 25 ივლისის შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ კონსტიტუციური სარჩელი, სარეგისტრაციო ნომერი: 1433.

⁴² 2019 წლის 4 დეკემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება, საქმე: N3პ/790-19, მოსამართლე: მირანდა ერემაძე.

⁴³ 2020 წლის 4 ნოემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება, საქმე: N3პ/736-19, მოსამართლე: დავით ახალბედაშვილი

ტა (საქმის განმხილველი თავდაპირველი მოსამართლე მირანდა ერემაძე შეცვლილი იქნა საქართველოს უზენაესს სასამართლოში გამწესების გამო).

2020 წლის 29 დეკემბერს, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მიერ სააკასაციო წესით გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 4 ნოემბრის განჩინება და მოთხოვნილი იქნა ახალი გადაწყვეტილების მიღებით, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სააკასაციო საჩივრის / სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. მხარის მიერ მოთხოვნილი იქნა საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა და გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველად მიეთითა, რომ „გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული“, „გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია“. მოპასუხეებმა საკასაციო საჩივარზე წარმოადგინეს საკასაციო შესაგებელი და საკასაციო საჩივარი არ ცნეს.

2021 წლის 1 თებერვლის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული⁴⁴.

2022 წლის 24 მაისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით⁴⁵, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ საკასაციო საჩივარი, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მიჩნეულ იქნა დასაშვებად. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, არსებობდა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველი, ვინაიდან საქმე მოიცავდა სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

2022 წლის 14 ივლისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით⁴⁶, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო

⁴⁴ 2021 წლის 1 თებერვლის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე: Nბს-3 (კ-21), მოსამართლე: ნუგზარ სხირტლაძე.

⁴⁵ 2022 წლის 24 მაისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე: Nბს-3 (კ-21), მოსამართლეები: ბიძინა სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი), მაია ვაჩაძე, გოჩა აბუსერიძე.

⁴⁶ 2022 წლის 14 ივლისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე: Nბს-3 (კ-21), მოსამართლეები: ბიძინა სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი), მაია ვაჩაძე, გოჩა აბუსერიძე.

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 4 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ბათილად იქნა ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2017 წლის 28 თებერვლის №841 ბრძანება შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ საჩივრის უარყოფის ნაწილში, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის 2017 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება №A16064532-032 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის დანიშვნის შესახებ, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2017 წლის 13 აპრილის №A16064532-035/001 განკარგულება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 13 აპრილის N882017298520-03 გადაწყვეტილება.

მიღებულ გადაწყვეტილებაში, საკასაციო პალატა „განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ეყრდნობა რა საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით განმტკიცებულ საკუთრების უფლებას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული განმარტებების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს „გასაჩივრებული სიტუაციის რეალური მხარე“ და დაადგინოს აღსრულების პროცესში დაიცვა თუ არა აღსრულების ეროვნულმა ბიურომ სამართლიანი ბალანსი კრედიტორის მოთხოვნებსა და მოვალის ფუნდამენტურ უფლებებს შორის. ასევე, უნდა განსაზღვროს, შეილახა თუ არა საკუთრების უფლება დაახლოებით ათჯერ ძვირად ღირებული უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციისას, როდესაც არსებობდა უძრავი ქონების ლოტებად დაყოფის ანაჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს 2016 წლის 13 დეკემბრის A16064532-023/002 მიმართვით შეჩერებული ღორღის მოპოვების ლიცენზიის აუქციონის წესით შეძენის უფლების აღდგენის შესაძლებლობა, რასაც აღსრულების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში ითხოვდა მოვალე, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“ (გადაწყვეტილების 49-ე პუნქტი).

საქართველოს უზენაესი სასამართლო მიუთითებს განმარტებაზე, რომლის თანახმად, „სარეალიზაციო მასიდან უძრავი ქონების ცალკეული ობიექტის (ნაკვეთის ნაწილის, შენობის) გამოყოფის შესაძლებლობას არ გამოორიცხავს უძრავი ქონების ერთ საკადასტრო კოდზე რეგისტრაცია. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 12 პუნქტის თანახმად, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია, სააღსრულებო წარმოების მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს მოვალის საკუთრებაში არსებული შენობისათვის მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის განსაზღვრის თაობაზე, ხოლო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართვე-

ლობის სფეროში მოქმედი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს – ამ მიზნის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის განხორციელების მიზნით. უძრავი ნივთი არის სარეგისტრაციო ობიექტი („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხ. „გ“ ქვ.პ.), რეგისტრაციაში დაინტერესებული პირის დეფინიციიდან გამომდინარე („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხ. „ზ“ ქვ.პ.) სააღსრულებო ორგანო ასეთად უნდა იქნეს მიჩნეული. შესაბამისად, იძულებითი აუქციონის ჩატარებამდე მას გააჩნდა ერთიანი საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების დაყოფის რეგისტრაციის („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 15⁴ მუხ.) მოთხოვნის უფლება“ (სუსგ №ბს-881(კ-19), 25.02.2021წ.). ამდენად, იძულებით აღსრულების პროცესში დასაშვებია არა მთლიანი ქონების, არამედ მისი ნაწილის აუქციონზე გატანა, ადეკვატური პროპორციით, სააღსრულებო ორგანო უფლებამოსილი იყო აგრეთვე განეკარგა არა მხოლოდ ერთ საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონების რეალური ნაწილი, არამედ მისი იდეალური წილიც, ვინაიდან კანონმდებლობით დასაშვებია ნივთზე, მათ შორის, უძრავ ქონებაზე რამდენიმე პირის საზიარო უფლების (საერთო საკუთრების უფლების) არსებობა, რომელიც შესაძლოა, საკადასტრო საზღვრების გამიჯვნის პროცესის გავლის გარეშეც იყოს თანასაკუთრებაში (სკ-ის 953-ე მუხ.) (სუსგ №ბს-881(კ-19), 25.02.2021წ.).

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.12.2019წ. N487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ 17.1 მუხლის თანახმად, თუ უძრავ ნივთზე საერთო საკუთრების უფლება წარმოეშობა რამდენიმე პირს, განცხადება შეიძლება წარადგინოს ნებისმიერმა თანამესაკუთრემ (ანალოგიური შინაარსის დებულებას შეიცავდა აღსრულების პერიოდში მოქმედი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 15.01.2010წ. №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-14 პუნქტი).

მოცემულ შემთხვევაში, №05.35.27.057 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მოცულობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებობდა როგორც უძრავი ქონების ლოტებად დაყოფის შესაძლებლობა, ასევე, სააღსრულებო ბიუროს გააჩნდა უძრავის ქონების იდეალური წილის რეალიზაციის უფლებამოსილება, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ საზიარო საგანი გაყოფადია, უძრავი ქონების იდეალური წილის თანასაკუთრების რეგისტრაციის შემთხვევაში, შემდგომში შესაძლებელი იქნებოდა საზიარო უფლების გაუქმება რეალური წილის გამოყოფით (სკ-ის 964-ე მუხლი). (გადაწყვეტილების 53-ე პუნქტი).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული შესაძლებლობების გამოყენების გარეშე იმოქმედა სააღსრულებო ბიურომ წინამდებარე შემთხვევაში, სამართლიანად არ დააბალანსა კრედიტორისა და მოვალის ინტერესები და აღსრულების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებით ვერ აღმოფხვრა დისპროპორცია დავალიანების თანხასა და უძრავი ქონების ღირებულებას შორის. საკასაციო სასამართლოს შეფასება, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ არ იმოქმედა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, გამომდინარეობს არა სამართლიანობის სუბიექტური შეხედულებიდან (შეადარეთ **BVerwGE, 42, 64**), არამედ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონიდან (**სწშკ მე-15, 17.7 და მე-18 მუხლები**) და საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლების დაცვის ვალდებულებიდან, რაც საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით განმტკიცებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის თანახმად, ყველა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს (გადაწყვეტილების **54-ე პუნქტი**).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ „მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები იძლევა მოვალის საკუთრებაში არსებული **№05.35.27.057** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მთელი უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე გატანის, როგორც აღსრულების უკიდურეს, არარელევანტურ ფორმად მიჩნევის შესაძლებლობას, რაც განაპირობა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კონსტიტუციით განმტკიცებული მართლწესრიგის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებამ, რამაც საბოლოოდ მოვალის საკუთრების უფლება დაუსაბუთებლად ხელყო“. (გადაწყვეტილების **56-ე პუნქტი**).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საქმის მასალებში არ მოიპოვება იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გადააგზავნა მოთხოვნილი ინფორმაცია სრულყოფილი ექსპერტიზის ჩასატარებლად, რაც ეწინააღმდეგება, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით დადგენილ აღმასრულებლის უფლება-მოვალეობებს და **2016 წლის 26 ოქტომბრის აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს №A16064532-015/010** წერილს, სადაც თავად აღსრულების ეროვნული ბიურო ითხოვს „დაენიშნათ ყველა საჭირო ექსპერტიზა“ დასახელებული უძრავი ქონების რეალური საბაზრო ღირებულების განსასაზღვრად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ არ მიიღო ყველა ზომა **№32.11.32.051** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების რეალური საბაზრო ღირებულების განსასაზღვრად და პრაქტიკულად შეფასების გარეშე დატოვა ის უძრავი ქონება, რომელზეც მოვალე ით-

ხოვდა აღსრულებას და რომლის ღირებულება მოვალის მიერ წარდგენილი შეფასების აქტის თანახმად, მნიშვნელოვნად აღემატებოდა დავალიანების ოდენობას“. (გადაწყვეტილების 61 პუნქტი).

2023 წლის 15 თებერვალს, სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და ახალად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, მოითხოვა საქმისწარმოების განახლება⁴⁷.

ადმინისტრაციული ორგანო განმარტავდა, რომ „სასამართლომ მსჯელობის გარეშე დატოვა საქმეში არსებული აღმასრულებლის 2016 წლის 22 ნოემბრის NoA16064532-022/001 წერილი, რომელიც ეხებოდა სწორედ 32.11.32.051 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების შეფასებისათვის სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დამატებით მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიებას, 2016 წლის 30 ნოემბერს აღნიშნული წერილის პასუხად აღმასრულებელს ეცნობა, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ განაცხადის საფუძველზე (ID 33150), მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველი სვირის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ყვირილაზე 252 600 მ² ქვიშა-ხრემის მოსაპოვებლად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით, აუქციონის გამოცხადების შესახებ. ამავე წერილში გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მიუთითა „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის დანაწესზე და განმარტა, რომ საქართველოს წიაღისეული საკუთრებაა და მინაზე საკუთრების უფლება არ ნიშნავს და არ იძლევა წიაღზე საკუთრების უფლებას. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება საჭიროებს ლიცენზიას, რომელიც გაიცემა აუქციონის წესით.

სასარგებლო წიაღისეულის არსებობა, როგორც ფაქტი, არც მხარეთა და არც ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ არ შეფასებულა, როგორც საქმისათვის მნიშვნელოვანი ან/და სადავო ფაქტი. იგი დავის განხილვის არც ერთ ეტაპზე განიხილებოდა მტკიცების საგანში შემავალ ფაქტად, რის გამოც არც მხარეებს წარუდგენიათ და ინკვიზიციურობის პრინციპის მიუხედავად, არც ქვედა ინსტანციის სასამართლოებს შეუგროვებიათ მისი დამადასტურებელი მტკიცებულებები. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ 32.11.32.051 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის

⁴⁷ 2023 წლის 15 თებერვლის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს იურიდიული დეპარტამენტის ანალიტიკური და სასამართლო წარმომადგენლობის სამსახურის უფროსის, ეკატერინე ახალკაცის განცხადება საქართველოს უზენაეს სასამართლოს ახლად აღმოჩენულ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

ნაკვეთზე არსებობს სასარგებლო წიაღისეული, ასევე, იგი მიიჩნია მინის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილად, და შესაბამისად, მინის ნაკვეთი სასარგებლო წიაღისეულთან ერთად მიაკუთვნა მოვალეს. ამდენად, **საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა ახალი ფაქტი და ამასთან, დაადგინა სასარგებლო წიაღისეულზე მოვალის საკუთრების უფლება.**

განმცხადებლის განმარტებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ლიცენზიის მიღებამდე მინაზე საკუთრების უფლება არ მოიცავდა წიაღზე საკუთრების უფლებას, აღმასრულებელი მხედველობაში ვერ მიიღებდა მოვალის მიერ წარმოდგენილ 32.11.32.051 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების შეფასების დასკვნას, სადაც ქონება შეფასებული იყო იქ არსებული ქვიშა-ხრეშის საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით. მხოლოდ მინის ნაკვეთი, როგორც სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება კი სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნის მიხედვით, შეადგენდა 57320 ლარს. შესაბამისად, აღნიშნული ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაცია, მისი საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, ვერ უზრუნველყოფდა კრედიტორის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.

სასამართლო 32.11.32.051 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების შეფასების ღირებულების განსაზღვრისას დაეყრდნო მოვალის მიერ წარმოდგენილ შეფასების დასკვნას, რომელიც მომზადებულია აუდიტორულ საკონსულტაციო კორპორაცია „ინტერაუდიტის“ შემფასებლის მიერ, რომლის სპეციალიზაციად განსაზღვრულია უძრავი ქონების შეფასება. სასამართლომ მსჯელობის მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ მინის ნაკვეთზე არსებული ქვიშა-ხრეში არ წარმოადგენდა მინის მესაკუთრის საკუთრებას და ის უნდა შეფასებულიყო დამოუკიდებლად. სასამართლომ არ გამოიკვლია ის გარემოება, რომ ზემოხსენებულ შემფასებელს ჰქონდა თუ არა სპეციალური უფლებამოსილება შეეფასებინა იქ არსებული ქვიშა-ხრეშის მოპოვების ლიცენზია, როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. განმცხადებლის განმარტებით, ლიცენზიის მოპოვების პირობებშიც კი, აუქციონზე დამოუკიდებლად რეალიზაციას დაექვემდებარებოდა უძრავი ნივთი, მასზე არსებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე გაცემული ლიცენზიის გარეშე, ვინაიდან ლიცენზია, როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის დამოუკიდებელ ობიექტს. ამასთან, მინის ნაკვეთისა და ლიცენზიის დამოუკიდებლად რეალიზაციის წინაპირობას წარმოადგენს არა მხოლოდ მათი თვისობრივი არაერთგვაროვნება, არამედ ის განსხვავებული სამართლებრივი მოწესრიგება, რაც მათ იძულებით აუქციონზე რეალიზაციას უკავშირდება. იძულებით აუქციონზე ლიცენზიის რეალიზაციის შედეგად, მასზე რეგისტრირებული

სანივთო უფლება (საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა) ახალ შემძენზე საკუთრებაში გადასვლით უქმდება, ხოლო მოთხოვნა კმაყოფილდება აუქციონიდან ამონაგები თანხიდან. უძრავი ქონების რეალიზაციის შემთხვევაში კი მასზე რეგისტრირებული სანივთო უფლებები, მესაკუთრის ცვლილების მიუხედავად, უცვლელი რჩება. განმცხადებლის განმარტებით, ლიცენზიის გაცემა გავლენას ვერ მოახდენდა მინის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებაზე. ამასთან, დამოუკიდებლად ლიცენზიის, როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთის რეალიზაცია (იმ დაშვებით, რომ ლიცენზია გაიცემოდა მოვალეზე), ვერ დააკმაყოფილებდა მოცემული საქმის კრედიტორის მოთხოვნას, ვინაიდან აუქციონიდან ამონაგები თანხით პირველ რიგში, დაკმაყოფილდებოდა საგადასახადო ორგანოს მოთხოვნა.

განმცხადებელი ასევე არ დაეთანხმა სასამართლოს შეფასებას, ლიცენზიის გაცემის წარმოების შეჩერების დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63¹ მუხლის პირველი პუნქტის დანაწესიდან გამომდინარე, სააღსრულებო წარმოების ფარგლებში ყადაღის დანიშნულებაა – მოვალეს შეუზღუდოს, როგორც განკარგვის, ასევე ისეთი სახით სარგებლობის უფლება, სადაც სარგებლის მიმღები მხარე წარმოადგენს როგორც მოვალე, ასევე, მესამე პირი. მოვალის ან მესამე პირის მიმართ მინის ნაკვეთზე ქვიშა-ხერხის მოპოვების ლიცენზიის გაცემა შინაარსობრივად მოიცავს ლიცენზიის გამცემი პირის მიერ ქვიშა-ხერხის მოპოვების მიზნით მინის ნაკვეთის სარგებლობასაც, რაც ეწინააღმდეგება ყადაღის მიზნებს“.

2023 წლის 24 თებერვალს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დასაშვებად იქნა ცნობილი⁴⁸.

2023 წლის 17 მარტის შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ განცხადებით⁴⁹, საქართველოს უზენაესი სასამართლოში წარდგენილი იქნა პოზიცია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მოთხოვნასთან დაკავშირებით. კომპანიის მხრიდან მოთხოვნა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებაზე შეფასდა, როგორც უსაფუძვლო და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების რევიზია. კომპანიამ საკითხზე 2023 წლის 11 აპრილს, 2023 წლის 22 მაისსა და 2025 წლის 25 მაისს სასამართლოს კვლავ

⁴⁸ 2023 წლის 24 თებერვლის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება, საქმე: Nბ-204-1 (ა-23), მოსამართლე: ბიძინა სტურუა.

⁴⁹ 2023 წლის 17 მარტის შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ წარმომადგენლების: მამუკა სხვიტარიძისა და თამარ მეტრეველის განცხადება.

წარუდგინა დამატებითი პოზიცია და ცალკეული დოკუმენტური მასალა და მოითხოვა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

2023 წლის 25 მაისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით⁵⁰, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლომ მიღებულ განჩინებაში აღნიშნა, რომ „ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია არა მხარის მიერ მითითებული ნებისმიერი საფუძვლით, არამედ მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“-„ვ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოდგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „მითითებული დანაწესისა და შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, სწორედ განმცხადებელმა უნდა უზრუნველყოს ახლად აღმოჩენილ გარემოებებზე მითითება და ამ გარემოებათა დამადასტურებელი მტკიცებულებების სასამართლოში წარდგენა. თავის მხრივ, მანვე უნდა დაადასტუროს, რომ მითითებული გარემოებები თუ წარმოდგენილი მტკიცებულებები არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში და არ წარმოშობილა შემდგომში. ასევე დადასტურებას საჭიროებს ის გარემოებაც, რომ ახალი ფაქტების თუ მტკიცებულებების შესახებ მხარისთვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ და მას დავის განხილვის მიმდინარეობისას მისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა აღ-

⁵⁰ 2023 წლის 25 მაისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება, №-204-1 (ა-23), მოსამართლეები: ბიძინა სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი), მაია ვაჩაძე, გოჩა აბუსერიძე.

ნიშნულ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე მითითების შესაძლებლობა... როგორც აღინიშნა, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო არაერთ წერილში მითითებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელიც ამჟამად ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიაჩნია (14.07.2022 წლის გადაწყვეტილება პუნქტი 60-61), დასახელებული გარემოება არსებობდა საქმის სასამართლოში განხილვის დანყების დღიდან და განმცხადებელს ამ გარემოების შესახებ საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ არ შეუტყვია. საკასაციო პალატა აქვე განუმარტავს განმცხადებელს, რომ ვინაიდან განცხადებაში მითითებული გარემოება არ წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებას, საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე ზეპირი მოსმენის გარეშე იმსჯელა განცხადებაზე“.

ამასთან, განჩინებაში აღინიშნა შემდეგიც – „რაც შეეხება განცხადებაში მითითებულ სხვა გარემოებებს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს განცხადება რეალურად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივლისის №ბს-3 (კ-21) გადაწყვეტილების კრიტიკას წარმოადგენს და განცხადებაში არ არის მითითებული რაიმე ისეთი ახალი გარემოებები ან მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს რომ ყოფილიყო წარდგენილი, მოსარჩელისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას გამოიწვევდა“.

2023 წლის 29 მაისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით⁵¹, არ დაკმაყოფილდა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ შუამდგომლობა, რომლითაც მოთხოვნილი იყო სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს განცხადების საფუძველზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განახლებული წარმოების შეწყვეტა. პალატის განმარტებით, ვინაიდან არ დაკმაყოფილდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო 2022 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლაზე და საკასაციო სასამართლოს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს განცხადებაზე არსებითად არ უმსჯელია, იგი დასაშვებადაც არ იქნა ცნობილი, კანონიერ ძალაში არსებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილების პირობებში, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

⁵¹ 2023 წლის 29 მაისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება, №-204-1 (ა-23), მოსამართლეები: ბიძინა სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი), მაია ვაჩაძე, გოჩა აბუსერიძე.

5. საერთო სასამართლოებში წარმომადგენელი, მიმდინარე და დასრულებული საქმეები შპს „ბიზონსა“ და შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ შორის

1

ყადაღის გამოყენება შპს „ბიზონის“ საბანკო ანგარიშებსა და უძრავ ქონებაზე (2020 წელი)

2020 წლის 28 თებერვალს ბათუმის საქალაქო სასამართლოში შპს „ტრანსკავკასიის ენერჯიმ“ სარჩელი აღძრა შპს “ბიზონის” და შპს „საკუთრების დაცვის სამმართველო პირველის” წინააღმდეგ და მოითხოვა შპს „ბიზონის“ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და მოპასუხეთა მიერ ზიანის ანაზღაურება 2 451 971 ლარის ოდენობით. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაეებოდა მოპასუხე შპს „ბიზონის” საბანკო ანგარიშს და სალარო აპარატს. ასევე მომხდარიყო მოპასუხის შპს „ბიზონის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების, იპოთეკით ან სხვა ვალდებულებით დატვირთვის აკრალვა.

მოსარჩელემ ასევე იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებაც და სახ. ბაჟის გადახდის გადავადება, საფუძვლად მიუთითა რომ საწარმო იმყოფება მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, აღნიშნულის დასტურად მიუთითა ამონაწერზე სამეწარმეო რეესტრიდან და ცნობაზე საბანკო დაწესებულებიდან.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 28 თებერვლის განჩინებით შპს „ტრანსკავკასიის ენერჯის“ უარი ეთქვა სარჩელის და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების (შუამდგომლობის) განსახილველად მიღებაზე, რაც გასაჩივრებული იქნა სააპელაციო წესით.

2020 წლის 8 მაისის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, შპს „ტრანსკავკასიის ენერჯის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 28 თებერვლის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ გაუქმდა. საქმე სარჩელის დასაშვებობის სხვა პირობების შემომწმების საპროცესო სტადიიდან განსახილ-

ველად დაუბრუნდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს⁵².

2020 წლის 10 ივნისს, შპს „ტრანსკავკასიის ენერჯიმ“ (ს/კ , დირექტორი მამუკა სხვიტარიძე) სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს შპს „ბიზონისა“ და შპს „საკუთრების დაცვის სამმართველო პირველი“-ს მიმართ, დავის საგანზე: ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა, თანხის დაკისრება. შპს „ტრანსკავკასიის ენერჯიმ“ განმარტავდა, რომ შპს „ბიზონი“ მართლსაწინააღმდეგოდ ფლობდა მის კუთვნილ მინის სანარმოს, რომლის ღირებულებას შეადგენდა 230,000 ლარს. შესაბამისად, მოთხოვნილი იქნა მოპასუხისგან მინის სანარმოს გამოთხოვა, ხოლო თუ სანარმოს დაბრუნება შეუძლებელი იქნებოდა, მოთხოვნილი იქნა 230,000 ლარის დაკისრება.

მოგვიანებით, შპს „ტრანსკავკასიის ენერჯიმ“ შპს „ბიზონისა“ და შპს „საკუთრების დაცვის სამმართველო პირველი“-ს მიმართ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნები და შემაჯამებელი გადაწყვეტილებაც მიღებული იქნა შემდეგი სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში:

1. შპს „ბიზონის“ უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილი იქნას შპს „ტრანსკავკასიის ენერჯიმ“ კუთვნილი მოძრავი ნივთი მინის სანარმო, განთავსებული შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ საკუთრებად რიცხულ და შპს „ბიზონის უკანონო მფლობელობაში მყოფ უძრავ ნივთზე, მდებარე ქ.ბათუმი, აკაკი შანიძის ქუჩა N16-ში ს/კN05.35.27.372.
2. მოპასუხეებს შპს „ბიზონს“ და შპს „საკუთრების დაცვის სამმართველო პირველს“ მოსარჩელე შპს „ტრანსკავკასიის ენერჯიმის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ ზიანის ანაზღაურება 2017 წლის 30 აპრილიდან სარჩელის აღძვრამდე 1061 დღეზე 2 451 971 ლარის ოდენობით, ხოლო სარჩელის აღძვრის შემდეგ (28.02.2020 წ) ყოველდღიურად 2311 ლარის გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

შპს „ტრანსკავკასიის ენერჯიმ“ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. კერძოდ, შპს „ბიზონს“ აკრძალვოდა ხელვაჩაურში, აკაკი შანიძის ქუჩა N16-ში (ს/კ 05.35.27.057) მდებარე უძრავი ქონების გასხვისება, იპოთეკით ან სხვა ვალდებულებებით დატვირთვა. ასევე, ყადაღა დადებოდა შპს „ბიზონის“ საბანკო ანგარიშსა და სალარო აპარატს.

⁵² 2020 წლის 8 მაისის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, საქმეზე: N2/ბ-263-2020 წ, მოსამართლეები: თამარ სვანიძე (თავმჯდომარე),ინდირა მაშანიშვილი, ლაურა მიქავა.

2020 წლის 10 ივნისის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, შპს „ტრანსკავკასიის ენერჯის“ შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, შპს „ბიზონს“ აეკრძალა ხელვაჩაურში, აკაკი შანიძის ქუჩა N16-ში (ს/კ 05.35.27.057) მდებარე უძრავი ქონების გასხვისება, იპოთეკით ან სხვა ვალდებულებებით დატვირთვა. შუამდგომლობა, საბანკო ანგარიშებისა და სალარო აპარატის დაყადაღების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა⁵³ და სასამართლომ განმარტა, რომ „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობა არ შეიძლება გახდეს მხარის იძულება. უზრუნველყოფის ღონისძიება არ უნდა იქცეს მანიპულირების საპროცესო ინსტრუმენტად, რადგანაც ის მიზნად ისახავს დავის საგნის დაცვას და ქმნის „გარანტიას“ საქმის არსებითი განხილვის ფარგლებში მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისა. ამიტომ, არ შეიძლება ამ საპროცესო ინსტიტუტის გამოყენება მხოლოდ იმიტომ, რომ დაისაჯოს პირი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო... სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიებას დაუქვემდებარა უძრავი ქონება – 30,022 კვ.მ მიწის ნაკვეთი. სასამართლოსთვის უცნობია მისი ღირებულება, მაგრამ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ქონება საკმარისი იყოს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის“.

2020 წლის 19 ივნისს, შპს „ტრანსკავკასიის ენერჯიმ“ საჩივრით მომართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ 10.06.2020 განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის სრულად დაკმაყოფილება.

2020 წლის 30 ივნისის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, შპს „ტრანსკავკასიის ენერჯის“ შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ, 10.06.2020 განჩინება ანგარიშებზე ყადაღის დადებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში რეგისტრირებულ საბანკო დაწესებულებებში, 230,000 ლარის ფარგლებში, ყადაღა დაედო შპს „ბიზონის“ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხულ ან/და არსებული თანხის 50%-ს⁵⁴.

⁵³ 2020 წლის 10 ივნისის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, საქმე: N2-1493/20, მოსამართლე: გოჩა ფუტყარაძე.

⁵⁴ 2020 წლის 30 ივნისის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, საქმე: N2-1493/20, მოსამართლე: გოჩა ფუტყარაძე.

განჩინებაში აღინიშნა, რომ „სასამართლომ საჩივრის განხილვის ფორმატში, კიდევ ერთხელ შეამოწმა არსებობდა თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სრულად გამოყენების საფუძველი და არის უ არა დასაკმაყოფილებელი შპს „ტრანსკავკასიის ენერჯის“ საჩივარი. შემომტებით, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჩივარი ნაწილობრივ საფუძველიანია. საკითხის სრულყოფილად გადასაწყვეტად მოთხოვნები შეფასებული უნდა იქნეს ცალ-ცალკე ანუ უნდა შემომტდეს, არსებობს თუ არა ანგარიშების დაყადალების საფუძველი და ასევე, სალარო აპარატის დაყადალების საფუძველი“.

„საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ დასახელებულ ქონებას შეძენის დროს გადაყვა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ საგადასახადო ვალდებულება 513,094.93 ლარის ფარგლებში. გარდა ამისა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 სექტემბერს მიღებული აქვს ბრძანება დასახელებული უძრავი ქონების რეალიზაციის თაობაზე. ამ ფაქტის დადგენის შემდეგ, შეფასებული უნდა იქნეს საკითხი – ხელვაჩაურში, აკაკი შანიძის ქუჩა N16-ში (ს/კ 05.35.27.057) მდებარე უძრავი ქონება უზრუნველყოფს თუ ვერა მოსარჩელის სასარგებლო გადაწყვეტილებას. ამ მიმართულებით, ზუსტი პასუხი არ არსებობს. შესაძლებელია, ქონებამ უზრუნველყოს, როგორც მოსარჩელის, ასევე შემოსავლების სამსახურის ინტერესების დაკმაყოფილება, მაგრამ არსებობს იმის დასაბუთებული ვარაუდიც, რომ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა არ დარჩეს ორივე კრედიტორის ინტერესისთვის საკმარისი. ასეთ სიტუაციაში, სარჩელი და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება რჩება დაუცველი“.

„ამ ლოგიკიდან გამომდინარე, ანგარიშის სრული დაყადალება და სალაროს აპარატის დაყადალება არ არის გონივრული ღონისძიება. სასამართლო მიიჩნევს, რომ დავის დასრულებამდე, სამართლიანია ყადალა დაედოს შპს „ბიზონის“ საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხულ ან/და არსებული თანხის 50%-ს მინის ქარხნის ღირებულების 230,000 ლარის ფარგლებში“. „ბუნებრივია, ანგარიშიდან თანხის გატანის შეზღუდვა მოპასუხეს შეუქმნის არსებით პრობლემებს, მაგრამ იგი გამოყენებულია აუცილებლობიდან გამომდინარე“. „თუ ანგარიშის დაყადალება მოპასუხეს შეუქმნის ყოფიერ პრობლემებს, სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, სასამართლო იმსჯელებს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების სხვა ღონისძიებით ეცვლის საკითხზე“.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 10 და 30 ივნისის განჩინებებს გაუქმებაზე საჩივარი წარადგინამ როგორც შპს „ტრანსკავკასიის ენერჯი“-მ, ასევე შპს „ბიზონმა“.

2020 წლის 12 ნოემბრის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, სააპელაციო პალატამ შეისწავლა საჩივრები, გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნია, რომ შპს „ტრანსკავკასიის ენერჯის“ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ხოლო შპს „ბიზონის“ საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ⁵⁵. კერძოდ,

1. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 ივნისის განჩინება, რომლითაც საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში რეგისტრირებულ საბანკო დაწესებულებებში, 230 000 ლარის ფარგლებში ყადაღა დაედო შპს „ბიზონის“ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხულ ან/და არსებული თანხის 50 %-ს. შესაბამისად, შპს „ბიზონის“ საბანკო ანგარიშები გათავისუფლდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 ივნისის განჩინების (#010210120003724321; #2-1493/20) საფუძველზე დადებული ყადაღისაგან.
2. შპს „ტრანსკავკასიის ენერჯის“ შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ძალაში დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 10 ივნისის განჩინება, რომლითაც სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით შპს „ბიზონის“ აკრძალა ხელვაჩაურში, აკაკი შანიძის ქუჩა №16-ში (ს/კ 05.35.27.057) მდებარე უძრავი ქონების გასხვისება, იპოთეკით დატვირთვა ან სხვა ვალდებულებით დატვირთვა.
3. შპს „ბიზონის“ შუამდგომლობა, ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

რაც შეეხება შპს „ტრანსკავკასიის ენერჯი“-ს სარჩელს.

2024 წლის 11 ნოემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით⁵⁶,

1. შპს „ტრანსკავკასიის ენერჯის“ სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ,

⁵⁵ 2020 წლის 12 ნოემბრის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, საქმეზე: №2/ბ-699-2020, მოსამართლეები: ინდირა მაშანეიშვილი (თავმჯდომარე), ირმა პერანიძე, თამარ სვანიძე.

⁵⁶ 2024 წლის 11 ნოემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, საქმეზე: N2-1493/2020, მოსამართლე: ხათუნა ბოლქვაძე.

2. შპს „ბიზონის“ მფლობელობიდან გამოთხოვილი იქნა და მოსარჩელე შპს „ტრანსკავკასიის ენერჯის“ გადაეცა მისი კუთვნილი მოძრავი ნივთები – მინის საჭრელი მანქანა და მინის ნაწარმის დამზადების მანქანა, რომლებიც განთავსებულია შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ საკუთრებაში რიცხული და შპს „ბიზონის“ მფლობელობაში მყოფ უძრავ ქონებაში, მდებარე ქ. ბათუმი, აკაკი შანიძის ქუჩა N16-ში, ს/კN 05.35.27.372.
3. შპს „ტრანსკავკასიის ენერჯის“ უარი ეთქვას მოპასუხეებზე ზიანის ანაზღაურების სახით თანხის დაკისრებაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ 2015 წლის 11 ივლისს შპს „ტრანსკავკასიის ენერჯიმ“ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-საგან 55 000 ლარად შეიძინა მინის საჭრელი მანქანა, ხოლო 2016 წლის 31 მარტს 175 000 ლარად შეიძინა მინის ნაწარმის დამზადების მანქანა. სასამართლომ, ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ზ/აღნიშნული მანქანა-დანადგარებით შპს „ტრანსკავკასიის ენერჯი“ სამენარმეო საქმიანობას ახორციელებდა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ კუთვნილ ტერიტორიაზე, მდებარე ქალაქი ბათუმი, აკაკი შანიძის ქუჩა N16-ში (ს/კ N05.35.27.057). სასამართლოს განმარტებით, მას შემდეგ, რაც შპს „ბიზონი“ დარეგისტრირდა ქალაქი ბათუმი, აკაკი შანიძის ქუჩა N16-ში, (ყოფილი ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი), მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, დაუზუსტებელი ფართობით: 30022.00 კვ.მ.-ს და მასზე არსებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის, საკადასტრო კოდით: 05.35.27.057 მესაკუთრედ, დაეუფლა ზ/აღნიშნულ ქონებას სრულად და აღნიშნულ ტერიტორიაზე 2017 წლის 30 აპრილიდან სამენარმეო საქმიანობა შეწყვიტეს, როგორც სარჩელით მესამე პირმა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალმა“, ასევე მოსარჩელე შპს „ტრანსკავკასიის ენერჯიმ“. ამდენად სასამართლო გაიზიარა მტკიცება იმის თაობაზე, რომ 2017 წლის 30 აპრილიდან მოსარჩელეს აღარ მიეცა ქალაქი ბათუმი, აკაკი შანიძის ქუჩა N16-ში, (ყოფილი ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი), მდებარე იმ დროისათვის შპს „ბიზონის“ საკუთრებაში რიცხულ უძრავ ქონებაში (ს/კ N05.35.27.057) განთავსებულ სადაო მინის ქარხანასთან ნვდომის საშუალება.

სასამართლო იზიარებს შპს „ბიზონის“ წარმომადგენლის მტკიცებას, რომ ქალაქი ბათუმი, აკაკი შანიძის ქუჩა N16-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში განთავსებული მოძრავი ნივთების, მათ შორის სადაო მინის საჭრელი მანქანის და დანადგარების მიმართ მოთხოვნა გააჩნდა თავდაპირველად შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“, შემდგომში კი აღნიშნულ ნივთებზე პრეტენზია მოპასუხე შპს „ბიზონის“ მიმართ წარადგინა შპს „ტრანსკავკასიის ენერჯიმ“. ასევე, სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2022 წლის 7 ივნისს

და იმავე წლის 9 მაისს, ერთის მხრივ შპს „ბიზონს“ და მეორეს მხრივ შპს „ტრანსკავკასიის ენერჯის“, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ და შპს „ბაზალტ ტრანსის“ წარმომადგენელს შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტები, რომლის თანახმადაც შპს „ბიზონმა“ გარკვეული სახის მოძრავი ნივთები. რომლებიც განთავსებული იყო მის მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაში, მდებარე ქ. ბათუმი, აკაკი შანიძის ქN16-ში, გადასცა შპს „ტრანსკავკასიის ენერჯის“, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ და შპს „ბაზალტ ტრანსის“ წარმომადგენელს დიმიტრი დოლიძეს.

რაც ეხება მოთხოვნას მიუღებელი შემოსავალის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთი მოთხოვნა უსაფუძვლოა. კერძოდ, მოსარჩელე შპს „ბიზონის“ მიმართ თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მატერიალურ საფუძვლად მიუთითებდა დელიქტურ ვალდებულებებზე და განმარტავდა, რომ მოპასუხე შპს „ბიზონი“ 2017 წლის 30 აპრილს ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის ქN16-ში მდებარე საწარმოს ტერიტორიაზე შეიჭრა უკანონოდ, ძალადობრივი გზით დაეუფლა მის კუთვნილ მინის საწარმოს და აღარ მისცა საშუალება გაეგრძელებინა სამწარმოო საქმიანობა, რითაც მიაღწა ზიანი, ხოლო შპს „საკუთრების დაცვის სამმართველო პირველის“ მიმართ მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების შესახებ აყენებს იმ საფუძვლით, რომ შპს „საკუთრების დაცვის სამმართველო პირველმა“ თავისი უმოქმედობით სათანადოდ არ დაიცვა მისი კუთვნილი ობიექტი და ვერ უზრუნველყო შპს „ბიზონის“ ხელყოფისაგან ე.წ. მინის საწარმო, რითაც მიყენა მას ზიანი. **მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეებზე ზიანის ანაზღაურების სახით სოლიდარულად თანხის დაკისრების შესახებ გამომდინარეობდა, როგორც დელიქტური ვალდებულებებიდან, ასევე სახელშეკრულებო ვალდებულებებიდან.**

სასამართლოს დასკვნით, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი ელემენტების ერთობლიობა. სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ შეძლო, სასამართლოსათვის წარმოედგინა ისეთი სახის უტყუარი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მისი პოზიციის მართებულობას. მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, არ არის დადასტურებული მოპასუხეების მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისა და აღნიშნული ქმედების შედეგად მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტი. შესაბამისად, სახეზე არ არის არც მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. შესაბამისად სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს მოპასუხეებზე ზიანის

ანაზღაურების სახით თანხის დაკისრების არც ფაქტობრივიდა არც სამართლებრივი საფუძველი.

2024 წლის 11 ნოემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ტრანსკავკასიის ენერჯის“ მიერ გასაჩივრებული იქნა სააპელაციო წესით, რომლითაც მოთხოვნილი იქნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. ასევე მოთხოვნა შეეხებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებას ან მისი გადავადებას კომპანიის მძიმე მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე.

2025 წლის 20 მაისს შპს „ტრანსკავკასიის ენერჯი“-მ განცხადებით მომართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და უარი თქვა, როგორც სახელმწიფო ბაჟის გადახდაზე, ასევე მისი სააპელაციო საჩივრის განხილვაზე.

2025 წლის 23 მაისის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, შპს „ტრანსკავკასიის ენერჯი“-ს შუამდგომლობა, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ, დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე შპს „ტრანსკავკასიის ენერჯი“-ს მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარზე, შეწყდა საქმის წარმოება⁵⁷.

2

შპს „ბიზონის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციაზე ბრძანება (2020 წელი)

2020 წლის 24 ივნისს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა შუამდგომლობით მომართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და შპს „ბიზონის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, მოითხოვა ბრძანების გაცემა. შუამდგომლობაში აღინიშნა, რომ 2019 წლის 22 ნოემბრის N081-1156 ბრძანების საფუძველზე, შპს „ბიზონის“ ქონებას დაედო ყადაღა და მიუხედავად შემოსავლების სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებებისა, მოპასუხის მხრიდან არ განხორციელებულა ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადების გადახდა, რაც 2020 წლის 24 ივნისის

⁵⁷ 2025 წლის 23 მაისის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, საქმეზე: №2/ბ-314-2025, მოსამართლეები: მალხაზ ჩუბინიძე (თავმჯდომარე), ინდირა მაშანეიშვილი, ირმა პერანიძე.

მდგომარეობით წარმოადგენდა აღიარებულ საგადასახადო დავალიანებას 336,13.87 ლარს.

სასამართლო სხდომაზე, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა გოჩა მუკუტაძემ წარმოადგინა ახალი შედარების აქტი, რომლის შესაბამისადაც, 2020 წლის 14 ივლისის მდგომარეობით, გადასახადის გადამხდელის – შპს „ბიზონის“ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არსებული აღიარებული საგადასახადო დავალიანება შეადგენს – 208,61.59 ლარს.

2020 წლის 14 ივლისის ბათუმის საქალაქო სასამართლოს ბრძანებით, სსიპ შემოსავლების სამსახურის ბრძანება დაკმაყოფილდა⁵⁸. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, ღია აუქციონის წესით, რეალიზებული იქნეს შპს „ბიზონის“ ყადაღადადებული ქონება, კერძოდ, ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, ნერეთლის შესახვევში მდებარე 30022.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.35.27.057) მასზე განთავსებული 6971.00 კვ.მ შენობა-ნაგებობით. ასევე, უძრავი ქონება, რაც ჩამოთვლილია „ქონებაზე ყადაღის შესახებ“ შემოსავლების სამსახურის 2019 წლის 4 დეკემბრის N081-1156/04-12-19 აქტში, აღიარებული საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლებში.

3

**შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“
სარჩელი შპს „ბიზონის“ მიმართ,
დავის საგანზე: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა,
ზიანის ანაზღაურება,
მესაკუთრედ ცნობა (2017-2022 წლები)**

2017 წლის მარტში, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალმა“ სარჩელით მომართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს შპს „ბიზონის“ მიმართ შემდეგი სასარჩელო მოთხოვნებით:

1. შპს „ბიზონს“ აეკრძალოს შპს „ტრანსკავკასიის კრისტალისათვის“ სამენარმეო საქმიანობის უკანონო ხელშეშლა,

⁵⁸ 2020 წლის 14 ივლისის ბათუმის საქალაქო სასამართლოს ბრძანება გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, საქმე: N3-316/20, მოსამართლე: ჯუმბერ ბეჟანიძე.

2. შპს „ბიზონს“ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სასარგებლოდ დაეკისროს იძულებითი განაცდური ზიანის სახით/მიუღებელი შემოსავალი 2017 წლის 1 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ყოველთვიურად 2000 ლარის ოდენობით,
3. შპს „ბიზონს“ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სასარგებლოდ დაეკისროს იტალიური წარმოების ქარხნის „ROSACOMETTA“-ს მოძრავი რობოტის აღდგენის ღირებულება 17 230 ევროს ოდენობით,
4. შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“ ცნობილი იქნას ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.35.27.057 არსებული შენობა-ნაგებობების: 1) სატვირთო სასწორის რკინა-ბეტონის კონსტრუქცია და სასწორის საოპერატორო ოთახი, 2) ვოლიერი, 3) სამაცივრე აგრეგატი-შენობა, 4) ინერტული მასალების საფქვაავი აგრეგატის პანდუსი, 5) სამღებრო შენობა, 6) საკომპრესოროს შენობა, 7) წყლის ავზის კონსტრუქცია (ფუნდამენტით), 8) წყალსაქაჩის შენობა, 9) წყალსაქაჩი, 10) საოპერატორო, 11) ინერტული მასალის სეპერატორი, 12) ქარხნის ფუნქციონირებისათვის საჭირო მასალებით მომარაგების პანდუსი, 13) საგენერატორო ოთახი, 14) ინერტული მასალის გადახურული საწყობი, 15) ცემენტის სილოსების საძირკველი კონსტრუქცია, 16) ჰაერის საკომპრესორო ოთახი, 17) დეკორატიული ბასეინის და ასევე მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ,
5. შპს „ბიზონს“ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სასარგებლოდ დაეკისროს 8 მეტრის სიმაღლის პალმის ღირებულება 25000 ლარის ოდენობით.

2019 წლის 16 დეკემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც გასაჩივრებული იქნა სააპელაციო წესით⁵⁹.

2020 წლის 1 დეკემბრის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც გასაჩივრებული იქნა საკასაციო წესით.⁶⁰

2022 წლის 24 მარტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.⁶¹ შესაბამისად, კანონიერ ძალაში შევიდა 2019 წლის 16 დეკემბრის ბა-

⁵⁹ 2019 წლის 16 დეკემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N2-4496/17, მოსამართლე: ხათუნა ბოლქვაძე.

⁶⁰ 2020 წლის 1 დეკემბრის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმე: N000, მოსამართლეები:

⁶¹ 2022 წლის 24 მარტის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე: Nას-120-2021, მოსამართლეები: ეკატერინე გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, ნინო ბაქაძური.

თუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. თავის მხრივ, აღნიშნული გადაწყვეტილებით, გაუქმებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიების სახით მიღებული განჩინებები. კერძოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 9 ივნისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, რომლითაც სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხე შპს „ბიზონს“ აეკრძალა მის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების, მდებარე ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, წერეთლის შესახვევი (მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N05.35.27.057) გასხვისება, იპოთეკით დატვირთვა ან/და სხვა ვალდებულებით დატვირთვა. ამასთან, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, რომლითაც სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო შპს „ბიზონის“ ფულად სახსრებს 2000 ლარის ზემოთ საქართველოში არსებულ და ლიცენზირებულ ყველა ბანკსა და საბანკო დაწესებულებებში 6 189 693 ლარის ფარგლებში, ოღონდ ანგარიშზე ჩარიცხულ ანდა არსებული თანხის არაუმეტეს 50%-ისა.

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, განიმარტა შემდეგი:

- სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ შპს „ბიზონმა“ 2017 წლის 30 მარტს, როგორც კი დამთავრდა აუქციონი, ისე, რომ არც ნასყიდობის თანხა არ ქონდა გადახდილი და შესაბამისად არც 2017 წლის 13 აპრილის განკარგულება არ იყო გამოცემული, ჩახერგა დიდგაბარიტიანი სატრანსპორტო საშუალებებით საწარმოს ტერიტორიაზე N6 შენობის შესავლელი, ძალადობით შეიჭრა საწარმოს საქმიან ტერიტორიაზე, თვითნებურად გამორთო ელექტროენერგიის მიწოდების წყარო, რითაც დაზიანდა იტალიური წარმოების ქარხნის „ROSACOMETTA“-ს მოძრავი რობოტი და ბოქლომი დაადო სატრანსფორმატორი და საგენერატორო სათავსოებს.
- სასამართლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოდან გამოთხოვილი სისხლის სამართლის (N173250718003) საქმის მასალების შესწავლის და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: სადაო უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთის დაუზუსტებელი ფართობი: 30022.00 კვ.მ.-ს და მასზე არსებული შენობა ნაგებობ(ებ)ის, საკადასტრო კოდით: 05.35.27.057, რომლის მესაკუთრეც და მფლობელიც 2017 წლის 13 აპრილამდე იყო შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“, მოსაზღვრედ მდებარე-

ობს შპს „დეკოს“ საკუთრებაში არსებული სამშენებლო ქარხანა, ე.წ. ქვის სამტრევი აგრეგატი, რომლის დირექტორსა და 100%-იანი წილის მესაკუთრეს ასევე წარმოადგენს შპს „ბიზონის“ დირექტორი ნიაზ ხალვაში.

- 2017 წლის მარტის მდგომარეობით შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ და შპს „დეკოს“ სარგებლობაში არსებული ქარხნები განლაგებული იყო ერთმანეთის მომიჯნავედ, ქარხნებს შორის მთელ სიგრძეზე გადიოდა გამყოფი საავტომობილო გზა, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ ასევე გააჩნდა ცენტრალური შესასვლელი და შესასვლელი სანარმოს უკანა მხარეს. სანარმოს უკანა შესასვლელთან კი იდგა იყო ქვის შენობა, სადაც განთავსებული იყო ტრანსფორმატორები, საიდანაც მიენოდებოდა ორივე სანარმოს ელექტროენერგია.
- სასამართლო დადგენილად მიიჩნევს და აღნიშნულს სისხლის სამართლის საქმეზე მიცემულ ჩვენებაში ადასტურებს შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ დირექტორი გიორგი ქარცივაძეც, რომ სადაო ტერიტორიაზე შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“ სამუშაოებს აწარმოებდა 2017 წლის 13 აპრილამდე. ასევე სისხლის სამართლის საქმიდან გამოთხოვილი მასალებით დგინდება, რომ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ დაცვის სამსახურის თანამშრომლები 2017 წლის 13 აპრილიდან 2017 წლის 21 აპრილამდე სადაო ობიექტის დაცვას ახორციელებდნენ შპს „ბიზონის“ დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად. შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მიერ 2017 წლის 21 აპრილამდე ჩაკეტილი იყო სანარმოს ცენტრალური შესასვლელი (ჭიშკარი) და შპს „ბიზონი“ სარგებლობდა უკანა შესასვლელით და ასევე უკანა შესასვლელით სარგებლობდნენ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ თანამშრომლებიც.
- სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, შპს „ბიზონი“ თავის საკუთრებას/უძრავ ქონებას, (მდებარე: ქალაქი ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის, დაუზუსტებელი ფართობით: 30022.00 კვ.მ.-ს და მასზე არსებული შენობა ნაგებობებ(ებ)ის, საკადასტრო კოდით: 05.35.27.057) დაეუფლა არა 2017 წლის 30 მარტს, როგორც ამას მოსარჩელე განმარტავს, არამედ 2017 წლის 13 აპრილს, საკუთრების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.
- სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ ზ/აღნიშნულ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა 2017 წლის 14 აპრილს და ელექტროენერგია აღდგა 2017 წლის 18 აპრილს. შესაბამისად სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის განმარტებას, რომ 2017 წლის 30

მარტს შპს „ბიზონმა“ დიდგაბარიტიანი სატრანსპორტო საშუალებებით ჩახერგა საწარმოს საქმიან ტერიტორიაზე N6 შენობის შესასვლელი, თვითნებურად გამორთო ელექტროენერჯის მიწოდების წყარო, ბოქლომები დაადო სატრანსფორმატოროსა და საგენერატორო სათავსებს, რითაც ხელი შეუშალა საწარმოო პროცესებს და მოპასუხის ქმედების გამო იძულებული გახდა შეეჩერებინა წარმოება, რასაც შედეგად მატერიალური ზიანი მოჰყვა.

- სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა, რომ საქართველოს შსს ხელვაჩაურის რაიონულ სამმართველოში დაინყო გამოძიება შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ ქონების დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის 187.1. მუხლით, ასევე დადგენილი იქნა, რომ შპს „ბიზონი“ თავის საკუთრებას/უძრავ ქონებას, (მდებარე: ქალაქი ბათუმი, დაბახელვაჩაური, შესახვევი წერეთელი, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის, დაუზუსტებელი ფართობით: 30022.00 კვ.მ.-ს და მასზე არსებული შენობა ნაგებობ(ებ)ის, საკადასტრო კოდით: 05.35.27.057) დაეუფლა 2017 წლის 13 აპრილს, ასევე დადგენილი იქნა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ელექტროენერჯის მიწოდება შეწყდა 2017 წლის 14 აპრილს, ამ დროისათვის მოსაპირკეთებელი ფილის საამქრო იმყოფებოდა მუშა რეჟიმში. ელექტროენერჯია აღდგა 2017 წლის 18 აპრილს. დადგენილია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ამ დრომდე გამოძიება დასრულებული არ არის. შესაბამისად, არ არ დადგენილი ის გარემოებაც, თუ რამ გამოიწვია ელექტროენერჯის გამორთვა. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო იზიარებს მოპასუხის მტკიცებას, რომ საქმეში არ მოიპოვება იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ შპს „ბიზონმა“ ჩაიდინა რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედება (ნივთის დაზიანება).
- სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ იგი წარმოადგენდა სადაო მიწის ნაკვეთის/საწარმოო ტერიტორიის კეთილსინდისიერ მფლობელს და მას სამოქალაქო კოდექსის 161-ე მუხლის საფუძველზე, მსგავსად მესაკუთრისა შეუძლია მოითხოვოს ხელშეშლის აღკვეთა. უდავოა, რომ მოპასუხის კუთვნილი მიწის ნაკვეთის სამენამეო საქმიანობისათვის გამოყენებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის ხელშეკრულება არ არსებობს. შესაბამისად სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის განხორციელების მთავარი წინაპირობა, კერძოდ მოსარჩელე არ წარმოადგენს იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ან მართლობიერ მფლობელს, რომლის სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა-

საც ითხოვს მოპასუხისაგან, შესაბამისად, სარჩელი ამ ნაწილში უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

- საქმის მასალებით არ დასტურდება ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი ელემენტების ერთობლიობა. სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ შეძლო, სასამართლოსათვის წარმოედგინა ისეთი სახის უტყუარი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მისი პოზიციის მართებულობას. მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, არ არის დადასტურებული მოპასუხის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისა და აღნიშნული ქმედების შედეგად მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტი. შესაბამისად, სახეზე არ არის არც მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. შესაბამისად სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს მოპასუხეზე ზიანის ანაზღაურების სახით თანხის დაკისრების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი.
- სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც მოსარჩელე სადაო შენობა-ნაგებობების, როგორც ცალკე უფლების ობიექტების მესაკუთრედ ცნობას კი არ მოითხოვს, არამედ იგი მოითხოვს ამ შენობა-ნაგებობების მიწის ნაკვეთთან ერთად მის საკუთრებაში აღრიცხავას, მაშინ როცა დადგენილია, რომ იმ მიწის ნაკვეთის ბედი სამართლებრივად გადანყვეტილია და იგი წარმოადგენს მოპასუხე შპს „ბიზონის“ საკუთრებას. მოსარჩელის წარმომადგენლები თავადვე განმარტავენ, რომ სადაო 17-ივე შენობა მყარადაა დაკავშირებული მიწის ნაკვეთთან და მათ ცალკე დანიშნულება არ გააჩნიათ და მათი გამოცალკევება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია არსებითი შემადგენელი ნაწილის დამოუკიდებლად განკარგვა. იგი განიკარგება მთავარ ნივთთან ერთად და ეს არაა დამოკიდებული ურთიერთობის მონაწილეთა ნებაზე. ზემოხსენებული მსჯელობა შეესაბამება საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან პრაქტიკას (იხ. სუსგ: **ნას-1081-1110-2011, 10.11.2011, **ნას-500-476-2013, 21.10.2013****). აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, სადავო მიწის ნაკვეთზე მოპასუხის საკუთრების უფლება ვრცელდება ასევე ამ მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილებზე, მათ შორის სადაო მიწის ნაკვეთზე მყარად მდგარ ყველა შენობა-ნაგებობებზე და ასევე იმ პალმის ხეზე, რომლის ღირებულების ანაზღაურებასაც მოითხოვს მოსარჩელე.

- სასამართლო იზიარებს მოპასუხის წარმომადგენლის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მართალია მოპასუხე შპს „ბიზონის“ მიერ სადაო პალმის ხე, როგორც ცალკე უფლების ობიექტი აუქციონზე შეძენილი არ ყოფილა, თუმცა იგი, როგორც მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგებელი ნაწილი მიწის ნაკვეთთან ერთად იქნა შეძენილი მოპასუხის მიერ აუქციონზე და წარმოადგენს შპს „ბიზონის“ საკუთრებას. ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევს მოსარჩელის მოთხოვნას პალმის ხის ღირებულების, 25 000 ლარის ოდენობით შპს „ბიზონზე“ დაკისრების ნაწილშიც, რაც ამ ნაწილშიც სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

5

შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სარჩელი შპს „ბიზონის“ მიმართ, დაუსრულებელი გადაწყვეტილება დავის საგანზე: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (2022 – მიმდინარე)

2022 წლის 9 აგვისტოს, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალმა“ სარჩელით მომართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს შპს „ბიზონის“ მიმართ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა. კერძოდ, შპს „ბიზონიდან“ გამოთხოვილიყო შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ბათუმი, აკაკი შანიძის ქუჩა №16, საკადასტრო კოდი: 05.35.27.057.

2022 წლის 14 სექტემბერს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა დაუსრულებელი გადაწყვეტილება შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, რაც გასაჩივრებული იქნა შპს „ბიზონის“ მიერ და მოთხოვნილი იქნა მიღებული დაუსრულებელი გადაწყვეტილების გაუქმება, საქმის წარმოების განახლება. აღნიშნული საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული და დაინიშნა საჩივრის განხილვა. 2023 წლის 27 თებერვალს სასამართლომ განიხილა საჩივარი, მოუსმინა მხარეებს, 2022 წლის 14 სექტემბრის დაუსრულებელი გადაწყვეტილება გააუქმა და განაახლა საქმის წარმოება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 11 სექტემბრის განჩინებით, საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2023 წლის 14 ნოემბერს, 14:00 საათზე, რომლის თაობაზე მხარეები გაფრთხილდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ემუხლების შესაბამისად.

2023 წლის 14 ნოემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადა მოპასუხის წარმომადგენელი როლანდ ხალვაში, რომელმაც პროცესის წინა დღეს – 2023 წლის 13 ნოემბერს სასამართლოში წარადგინა განცხადება სასამართლო სხდომის გონივრული ვადით გადადების მოთხოვნით. კერძოდ, წარმომადგენელი მიუთითებდა, რომ იმავე დღეს – 2023 წლის 14 ნოემბერს, 14:00 საათზე ბათუმის საქალაქო სასამართლოში დანიშნული ჰქონდა სხვა სხდომა, რის გამოც ვერ ახერხებდა სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას.

2023 წლის 14 ნოემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ შუამდგომლობა მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის და სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, დაკმაყოფილდა⁶², რაც შპს „ბიზონის“ მიერ გასაჩივრებული იქნა სააპელაციო წესით.

2024 წლის 15 თებერვლის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, შპს „ბიზონის“ კერძო საჩივარი, არ დაკმაყოფილდა⁶³. უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 14.11.2023 განჩინება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის და სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, რაც შპს „ბიზონის“ მიერ გასაჩივრებული იქნა საკასაციო წესით.

საქმის მასალების თანახმად დგინდება, რომ 2023 წლის 14 ნოემბერს, შპს „ბიზონის“ წარმომადგენელმა, სასამართლოში სხდომის გადადების მოთხოვნით რეგისტრირებულ განცხადებასთან ერთად, აღნიშნულის შესახებ სატელეფონო კომუნიკაციის გზით, საქმის კურსში ჩააყენა მოსამართლის თანაშემწეც. დგინდება, რომ წარმომადგენელი ბათუმის საქალაქო სასამართლოში, 14.11.2023 – 12:00 საათზე, მოსამართლე ხათუნა ბოლქვაძის წარმოებაში არსებულ საქმეზე, წარმომადგენლის უფლებამოსილებით, მონაწილეობას იღებდა სხვა დავაზე. მოსამართლე ხათუნა ბოლქვაძის მიერ თავის წარმოებაში არსებულ საქმეზე სხდომის თარიღი განსაზღვრული იქნა 2023 წლის 2 აგვისტოს, ხოლო მოსამართლე სალის შაინიძის მიერ სხდომის თარიღი განისაზღვრული იქნა – 2024 წლის 6 თებერვალს.

⁶² 2023 წლის 14 ნოემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ, საქმე N000, მოსამართლე: სალის შაინიძე.

⁶³ 2024 წლის 15 თებერვლის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმე N2/ბ-1344-2023, მოსამართლეები: ლაურა მიქავა (თავმჯდომარე), ზაზა რამიშვილი, თამარ სვანიძე.

სასამართლოს აზრით, მართალია, შპს „ბიზონის“ წარმომადგენელმა მოითხოვა 14.11.2023 გამოუცხადებლობა საპატიოდ ჩათვლოდა, თუმცა განცხადება არც სასამართლოს დასახელებასა და არც სასამართლო სხდომის დროის შესახებ მითითებებს არ შეიცავს, სადაც მოპასუხის წარმომადგენელი იყო მიწვეული. განცხადებას არ ერთვოდა შესაბამისი მტკიცებულება სხდომის გადადების საფუძვლიანობის პირობისთვის. აღნიშნული დოკუმენტური მასალა (სხდომების განსაზღვრის შესახებ ინფორმაცია) წარმოდგენილი იქნა სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე, მაგრამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მოსამართლე ხათუნა ბოლქვაძის წარმოებაში არსებული საქმის განსახილველად 2 საათი იყო გამოყოფილი და 2023 წლის 14 ნოემბერს, 14:00 საათზე, იმავე მოსამართლის (ხათუნა ბოლქვაძე) თავმჯდომარეობით სხვა საქმის განხილვა იყო დაგეგმილი.

სასამართლოს განმარტებით, შპს „ბიზონის“ წარმომადგენელს ჰქონდა შესაძლებლობა 14:00 საათზე იმავე სასამართლოში დასწრებოდა სხდომას, რომელ სასამართლოშიც ის 12:00 საათზე მონაწილეობდა სხვა სხდომაზე. სასამართლო განმარტავდა, რომ 14.11.2023 წელს, 14:00 საათზე, მოსამართლე სალის შაინიძის წარმოებაში არსებულ საქმეზე დანიშნული სხდომა დაიწყო 11 წუთის დაგვიანებით, ხოლო ამ მოცემულობაში, წარმომადგენლის ქმედება მხოლოდ ემსახურებოდა განსახილველი საქმის გაჭიანურებას და მისი მოქმედების მართებულობა ვერ იქნა დამტკიცებული რელივიანტურ მტკიცებულებებზე მითითებით, რის გამოც 2023 წლის 14 ნოემბერს, 14:00 საათზე დანიშნულ სასამართლო სხდომაზე წარმომადგენლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა სახეზე არ იყო.

ამასთან, შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, 2022 წლის 14 სექტემბერის ბათუმის საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიცავდა დათქმას გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ დაკმაყოფილების შესახებ. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 მუხვით, მხარეებს განემარტათ, რომ გადაწყვეტილებაზე, დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემაზე უარის თქმის ნაწილში შეიძლებოდა კერძო საჩივრის შეტანა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 14 ნოემბრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტზე (დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ) და ამავე სასამართლოს 2023 წლის 11 დეკემბრის განჩინება უსწორობის გასწორების შესახებ განჩინებაზე კერძო საჩივრები წარადგინა შპს „ბიზონის“

წარმომადგენელმა. მოითხოვა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად უარის თქმა. კერძოდ, მხარე აღნიშნავდა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ არ ჰქონდა დასაბუთებული დაუყოვნებლივი აღსრულების აუცილებლობა. სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივეციო ნაწილები კი არ შეიცავდა არავითარ მსჯელობას დაუყოვნებლივი აღსრულების აუცილებლობის თაობაზე.

აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით, მომჩივანმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის გაუქმება და დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა (11.12.2023 წელს წარდგენილი კერძო საჩივარი). მომჩივანმა ასევე, მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 11 დეკემბრის განჩინებაში (უსწორობის გასწორების შესახებ), ცვლილების შეტანა უსწორობის გასწორების გზით. კერძოდ, მომჩივანმა მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ 2023 წლის 07 დეკემბერს წარდგენილი განცხადებით მოთხოვნილი იყო გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობების გასწორება. კერძოდ: 1) უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილი ნივთის საკადასტრო მონაცემების გასწორება და 2) დაუსწრებელი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტის მითითებიდან გამომდინარე, გაურკვეველი ხდებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მე-6 პუნქტის შინაარსი, გასაჩივრების წესზე მითითების შესახებ. მხარე ამბობდა, რომ განმცხადებლის მეორე მოთხოვნაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია.

2024 წლის 6 თებერვლის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, 1. შპს „ბიზონის“ წარმომადგენლის როლანდ ხალვაშის კერძო საჩივრები (მათ შორის მოთხოვნა კერძო საჩივარზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, 14.11.2023 წლის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტის მოქმედების შეჩერების შესახებ) არ დაკმაყოფილდა. 2. დარჩეს უცვლელად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 14 ნოემბრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი და

იმავე სასამართლოს 2023 წლის 11 დეკემბრის განჩინება უსწორობის გასწორების შესახებ⁶⁴.

რაც შეეხება შპს „ბიზონის“ საკასაციო საჩივარს 2024 წლის 15 თებერვლის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების მოთხოვნით, საქართველოს უზენაესს სასამართლოში, კვლევის გამოქვეყნების მდგომარეობით, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

6

შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სარჩელი შპს „ბიზონის“ მიმართ, დავის საგანზე: ზიანის ანაზღაურება (2023 – მიმდინარე)

2023 წლის 9 იანვარს, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალმა“ სარჩელით მომართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს შპს „ბიზონის“ მიმართ და ბეტონნაკეთობათა დანადგარ „როზა კომეტას“ და თურქული წარმოების ბეტონნაკეთობათა დანადგარ „იონტარის“ ღირებულების – 4716403.88 ლარის დაკისრების მოთხოვნით, მოითხოვა ზიანის ანაზღაურება.

მართალია, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალმა“ სარჩელით მიუთითა, რომ არსებობდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება (რომელზედაც ზემოთ გვქონდა მიმოხილვა), თუმცა სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად კვლავ მიუთითა, რომ „მას შემდეგ, რაც შპს „ბიზონი“ უკანონოდ შეიჭრა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ კუთვნილ უძრავ ნივთში, თვითნებურად დაეფლა მოსარჩელის კუთვნილ, მოძრავ ნივთებს: იტალიური წარმოების ბეტონნაკეთობათა დანადგარ „როზა კომეტა“-ს და თურქული წარმოების ბეტონნაკეთობათა დანადგარ „იონტარ“-ს“ და მითითებული დანადგარები აღარ იმყოფებოდა ტერიტორიაზე, ნებართვის გარეშე განხორციელებული იქნა მათი დემონტაჟი და გადატანილი იქნა გაურკვეველ ლოკაციაზე. ვინაიდან შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ „როზა კომეტა“ შეძენილი ჰქონდა 310,726.50 ლარად და დანადგარი „იონტარი“ შეძენილი ჰქონდა 78,197 აშშ დოლარად, სარჩელის აღძვრის მდგომარეობით, მათი ღირებულება შეადგენდა 4716403.88 ლარს, რომლის დაკისრებასაც მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხისგან.

⁶⁴ 2024 წლის 6 თებერვლის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, საქმეზე: №2/ზ-1344-23, მოსამართლეები: ლაურა მიქავა (თავმჯდომარე), ზაზა რამიშვილი, თამარ სვანიძე.

სასამართლოს 2023 წლის 11 იანვრის განჩინებით, მოსარჩელე შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“, საქმის განხილვის დასრულებამდე, გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის – 5000 ლარის გადახდა.⁶⁵ სარჩელის ფორმულარში შეკითხვაზე: „ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?“, მოსარჩელე მოითხოვს: „დიახ, თანახმად სსსკ-ის 47-ე მუხლის საფუძველზე“. შეკითხვაზე: „ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?“, მოსარჩელე მოითხოვს: „დიახ, თანახმად სსსკ-ის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის, თუ არ დაკმაყოფილდება შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების შესახებ“. სარჩელში წარმოდგენილი არ არის არავითარი მტკიცებულება, რომელიც ფორმალურად მაინც შექმნიდა წარმოდგენას კომპანიის მხრიდან ბაჟის გადახდის შეუძლებლობაზე, სასამართლოს განჩინებით კი აღინიშნა შემდეგი: **„მოსარჩელეს საქმეზე გადასახდელი აქვს 5000 ლარი. სასამართლო ითვალისწინებს მოსარჩელის მდგომარეობას. შესაბამისად, შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და მოსარჩელეს უნდა გადაუვადდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდა საქმის განხილვის დასრულებამდე“.**

2023 წლის 10 იანვრის სასამართლოს განჩინებით, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა – ყადაღა დაედო შპს „ბიზონის“ კუთვნილ საბანკო ანგარიშებს 4716403.88 ლარის ფარგლებში, საქართველოში მოქმედ ლიცენზირებულ ყველა ბანკსა და საბანკო დაწესებულებებში, მხოლოდ შემდეგი წესის გათვალისწინებით: მოპასუხის ანგარიშებზე ყადაღის დადება უნდა განხორციელდეს დავის საგნის ღირებულების ფარგლებში, მხოლოდ შემდეგი წესის გათვალისწინებით – ყადაღა უნდა დაედოს მოპასუხის კუთვნილ ფულად სახსრებს საქართველოში არსებულ ყველა კომერციულ ბანკში, სასარჩელო მოთხოვნის – 4716403.88 ლარის ფარგლებში, ოღონდ ანგარიშზე ჩარიცხული ანდა არსებული თანხის, არაუმეტეს, 50%-სა (ეს ნიშნავს, რომ მოპასუხეს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ანგარიშზე არსებული ან ჩარიცხული თანხის 50%-ის განკარგვის საშუალება. ამასთან, ყადაღადადებული თანხის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს, აღსრულების მომენტისათვის, სასარჩელო მოთხოვნის – 4716403.88 ლარის ფარგლებს)⁶⁶. ასევე, მოპასუხე შპს „ბიზონის“ აკრძალა მასზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების გასხვისება ან უფლებრივად დატვირთვა.

⁶⁵ 2023 წლის 11 იანვრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ, საქმე: N2-10/2023, მოსამართლე: სალის შაინიძე.

⁶⁶ 2023 წლის 10 იანვრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ, საქმე: N2-10/2023, მოსამართლე: სალის შაინიძე.

2025 წლის 25 თებერვალს სასამართლოს შუამდგომლობით/განცხადებით მომართა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ წარმომადგენელმა მამუკა სხვიტარიძემ და მოითხოვა შპს „ბიზონის“ საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების, რომლებიც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 იანვრის განჩინების თანახმად უზრუნველყოფის ღონისძიების ქვეშ არიან მოქცეულნი – განთავსებულიყო აღსრულების ეროვნული ბიუროს სპეციალურად დაცულ ავტოსადგომზე.

2023 წლის 4 მარტის სასამართლოს განჩინებით, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა⁶⁷. სასამართლომ განმარტა, რომ „მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები. როგორც უკვე აღინიშნა დავის საგნის დასაცავად გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რაც სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის გათვალისწინებით სრულად უზრუნველყოფს დავის საგნის დაცვას, რასაც ადასტურებს საკუთრივ მოსარჩელის პოზიცია, რაც მან დააფიქსირა ერთხელ უკვე წარმოდგენილ განცხადებაში. ამიტომ, იმ გარემოების გათვალისწინებით რაც დამატებით შუამდგომლობაშია მითითებული, სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს საფუძველი დამატებით იქნეს მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება – დავის საგნის დასაცავად“.

სასამართლოს 2024 წლის 18 აგვისტოს განჩინებით, საქმეზე დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა,⁶⁸ 2025 წლის 24 თებერვალს – მოსამზადებელი სხდომა, ხოლო 2025 წლის 23 მაისს – შემაჯამებელი მთავარი სხდომა.

2025 წლის 16 ივნისის სასამართლოს გადაწყვეტილებით, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სარჩელი დაკმაყოფილდა⁶⁹. მოპასუხე შპს „ბიზონ“-ს შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს სასარგებლოდ, ზიანის ანაზღაურების სახით დაეკისრა ბეტონნაკეთობათა დანადგარ „როზა კომეტა“-ს და თურქული წარმოების ბეტონნაკეთობათა დანადგარ „იონტარი“-ს ღირებულების – 4716403.88 ლარის ოდენობით გადახდა. მოპასუხე შპს „ბიზონ“-ს შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 5000 ლარისა და სარჩელის უზრუნველყოფისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -50 ლარი.

⁶⁷2023 წლის 4 მარტის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფისათვის დამატებითი ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ, საქმე: N2-10/2023, მოსამართლე: სალის შაინიძე.

⁶⁸ 2024 წლის 18 აგვისტოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება მოსამზადებელი სხდომის დანიშნის შესახებ, საქმე: N2-10/2023, მოსამართლე: სალის შაინიძე.

⁶⁹ 2025 წლის 16 ივნისის ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე: N2-10/2023, მოსამართლე: სალის შაინიძე.

2025 წლის 28 ივლისს, შპს „ბიზონმა“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა 2025 წლის 16 ივნისის ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. კვლევის გამოქვეყნების მდგომარეობით, სასამართლოს მიერ წარმოდგენილი არ არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებული ეგზემპლარი. შესაბამისად, საქმისაწარმოება არ არის გადასული სააპელაციო სასამართლოში

7

შპს „ბაზალტ ტრანსის“ სარჩელი შპს „ბიზონის“ მიმართ, დავის საგანზე: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და უკანონო ხელშეშლის აღკვეთა (2021 – 2025)

2021 წლის 2 თებერვალს, შპს „ბაზალტ ტრანსმა“ (ს/კ 405372822) ბათუმის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით, სარჩელი აღძრა შპს „ბიზონის“ მიმართ, დავის საგანზე: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და უკანონო ხელშეშლის აღკვეთა.

შპს „ბაზალტ ტრანსი“ წარმოდგენილი სარჩელით აღნიშნავდა, რომ 2020 წლის 27 დეკემბერს შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-სგან შეძენილი ჰქონდა: ა) მინაპაკეტი Sun Guard Light Blue 6mm- Clima Guard Lami 6 mm, ბ). მინაპაკეტი Sun Guard Green 6mm- Clima Guard Lami 8 mm, გ). მინაპაკეტი Sun Guard Bright Green 6mm- Clima Guard Titan 4 mm, დ). მინაპაკეტი Sun Guard Green 6mm- Clima Guard Lami 6 mm, ე). მინაპაკეტი Sun Guard Light Blue 6mm- Clima Guard Titan 6 mm, ვ) მინაპაკეტი Sun Guard Light Blue 8mm- Clima Guard Lami 8 mm, ზ). მინაპაკეტი Sun Guard Bright Green 6mm- Clima Guard Solar 4 mm, თ) მინაპაკეტი Sun Guard Green 6mm- მინა 6 მმ, ი). მინაპაკეტი Sun Guard Green 6mm- მინა 6 მმ თერმ,კ). მინაპაკეტი Sun Guard Bright Green 6mm-Lami Class 8 mm. არსებული საქონელი იმყოფებოდა შპს „ბიზონის“ ტერიტორიაზე, მისამართზე: ქ. ბათუმი, აკაკი შანიძის ქუჩა №16, საკადასტრო კოდი: 05.35.27.057, კომპანიამ საქონელის დაბრუნება შპს „ბიზონისგან“ მოითხოვა 2021 წლის 18 და 25 იანვრის წერილებით, საქმეზე წარმოდგენილი იქნა ნასყიდობის საგნის დამადასტურებელი დოკუმენტი – 13.01.2021 საგადასახადო ანგარიშსწავლათურა, თუმცა 2021 წლის 1 მარტს სარჩელზე წარმოდგენილი შპს „ბიზონის“ შესაგებლით განიმარტა, რომ მიღებულ წერილებს თან არ ერთვოდა მოთხოვნილი მოძრავი ნივთების საკუთრების დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი, რის გამოც, შპს „ბიზონმა“, სათანადო უფლებამოსილი სუბიექტის დადგენამდე, თავი შეიკავა მოთხოვნილი საქონლის გადაცემაზე.

შპს „ბიზონმა“ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელზე განიმარტა, რომ მზად იყო მოთხოვნილი ნივთები გადასცემოდა ნამდვილ მესაკუთრეს. კომპანიის განმარტებით, მის ტერიტორიაზე განთავსებული გახლდათ სხვადასხვა ნივთი, რომლის შესახებაც სამართლებრივ პრეტენზიას გამოთქვამდა სხვადასხვა იურიდიული პირი. შესაბამისად, შპს „ბიზონისთვის“ საკითხში სიცხადის შეტანას არსებითი მნიშვნელობა გააჩნდა. შპს „ბიზონის“ მიერ წარმოდგენილი იქნა 2021 წლის 15 თებერვლის კომპანიის დირექტორ ნიაზ ხალვაშის წერილი შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს დირექტორ მამუკა სხვიტარიძის მიმართ, სადაც აღინიშნა, რომ სათანადო უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, შპს „ბიზონი“ მესაკუთრეს გადასცემდა მის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა ნივთს და დაზგა-დანადგარებს. კომპანია განმარტავდა, რომ სხვადასხვა იურიდიული პირის მხრიდან შპს „ბიზონის“ ტერიტორიაზე არსებული მოძრავი ნივთების გადაცემაზე პრეტენზია უკავშირდებოდა მამუკა სხვიტარიძის მხრიდან ხელოვნურად შექმნილ დაძაბულობას. ამიტომ, შპს „ბიზონი“ წერილობითი ფორმით მოითხოვდა სათანადო მესაკუთრის მითითებას მოძრავი ნივთების სათანადო საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტაციის წარმოდგენასთან ერთად⁷⁰.

საქმეზე წარმოდგენილი იქნა სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 04 მარტს გაცემული ექსპერტიზის დასკვნის N5001324522, რომლის „დანართი 1“-ის მე-19 გვერდის „პუნქტი 37“ და „პუნქტი 38“-ში დასახელებული შემდეგი ნივთები წარმოადგენდა შპს „ბაზალტ ტრანსის“ დავის საგანს:

- **პუნქტი 37. მინაპაკეტი სხვადასხვა ზომის/განთავსებული შენობა N01-ში – 126 ცალი;**
- **პუნქტი 38. მინაპაკეტი ალუმინის ჩარჩოთი/განთავსებული შენობა N01-ში – 11 ცალი⁷¹;**

2021 წლის 5 თებერვალს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შპს „ბიზონს“ აეკრძალა ქ. ბათუმი, აკაკი შანიძის ქუჩა N16-ში (ს/კ 05.35.27.057) განთავსებული შ.პ.ს „ბაზალტ ტრანსი“-ს საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული მინაპაკეტების სარგებლობა ან/და სხვა ფორმით გამოყენება/განკარგვა⁷².

⁷⁰ 2021 წლის 15 თებერვლის შპს „ბიზონის“ დირექტორ ნიაზ ხალვაშის წერილი შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს დირექტორ მამუკა სხვიტარიძის მიმართ

⁷¹ 2022 წლის 4 მარტის სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა N5001324522.

⁷² 2021 წლის 5 თებერვლის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

2025 წლის 20 მაისის სასამართლოს განჩინებით, საქმეზე დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა, ხოლო 2025 წლის 25 ნოემბრის მოსამზადებელ სხდომაზე, მხარეთა პოზიცია დავის მორიგებით დასრულების მიზნისთვის, დაახლოვდა. მხარეებს მიეცათ გონივრული ვადა პროექტის აქტის პროექტის შემუშავების მიზნით, რაც წარდგენილი იქნა სასამართლოში 2025 წლის 19 დეკემბერს.

2025 წლის 22 დეკემბრის სასამართლოს განჩინებით, მხარეთა მორიგების გამო, საქმისწარმოება შეწყდა. დავის მონაწილე მხარეებს განჩინება არ გაუსაჩივრებიათ სააპელაციო წესით. მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. მოპასუხე შპს „ბიზონი“ კისრულობს ვალდებულებას, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მოსარჩელე შპს „ბაზალტ ტრანს“ გადასცეს ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა N16ა-ში მდებარე 8296 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 05.35.27.372) განთავსებულ შენობა-ნაგებობა N01-ში არსებული და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2022 წლის 04 მარტს გაცემული ექსპერტიზის დასკვნის (N5001324522) „დანართი 1“-ის მე-19 გვერდის „პუნქტი 37“ და „პუნქტი 38“-ში დასახელებული შემდეგი ნივთები:

პუნქტი 37. მინაპაკეტი სხვადასხვა ზომის/განთავსებული შენობა #01-ში – 126 ცალი;

პუნქტი 38. მინაპაკეტი ალუმინის ჩარჩოთი/განთავსებული შენობა #01-ში - 11 ცალი;

2. შემდგომი გაუგებრობის თავიდან აცილების და მორიგების აქტის პირველ პუნქტში დასახელებული ნივთების იდენტიფიცირების მიზნით, წინამდებარე მორიგების აქტს თან ერთვის სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2022 წლის 04 მარტს გაცემული ექსპერტიზის დასკვნის (N5001324522) ამონარიდი. კერძოდ, დასკვნის „დანართი“-ის „გვერდი“.

3. მოსარჩელე შპს „ბაზალტ ტრანსი“ ვალდებულია თავისი სახსრებით (მუშა-ხელთან ერთად) და ტექნიკით უზრუნველყოს წინამდებარე მორიგების აქტის პირველ პუნქტში დასახელებული ტერიტორიიდან, ამავე პუნქტში დასახელებული ნივთების გატანა და შემდგომ მისი ტრანსპორტირება,

4. მოსარჩელე შპს „ბაზალტ ტრანსი“ ვალდებულია, მორიგების აქტის პირველ პუნქტში დასახელებული ნივთების ამავე პუნქტში დასახელებული ტერიტორიიდან გატანა უზრუნველყოს მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, წინასწარ 2 (ორი) დღით ადრე მოპასუხე შპს „ბიზონი“-ს მიმართ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე,

5. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე შპს „ბიზონი“, რაიმე ფორმით, არასაპატიო მიზეზით, უარს განაცხადებს სასამართლო გადაწყვეტილების/განჩინების ნებაყოფლობით აღსრულებაზე და შპს „ბაზალტ ტრანს“ არ გადასცემს პირველ პუნქტში დასა-

ხელეუბნულ ნივთებს, მოსარჩელე შპს „ბაზალტ ტრანსი“ უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს სააპელაციო ფურცლის გაცემის მოთხოვნით და მოითხოვოს სასამართლო გადაწყვეტილების/განჩინების იძულებითი აღსრულება,

6. წინამდებარე მორიგების აქტიდან გამომდინარე, მხარეები უარს ვაცხადებთ და არც მომავალში დავაცენებთ მოთხოვნას დავის საგნის ირგვლივ ქონებრივი ან სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაზე,

7. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მორიგების აქტი სასამართლოში დასამტკიცებლად წარდგენის შემდეგ თითოეულ მხარეს ეკისრება მის მიერ გადახდილი ბაჟი და სხვა საპროცესო ხარჯები. მხარეები უარს ამბობენ ერთმანეთის მიმართ საადვოკატო მომსახურების დაკისრების მოთხოვნაზე.

2025 წლის 22 დეკემბრის სასამართლოს განჩინებით, აგრეთვე, გაუქმდა სასამართლოს 2021 წლის 5 თებერვალის განჩინება, რომლითაც გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება⁷³.

ორგანიზაციამ, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით დაადგინდა, რომ შპს „ბაზალტ ტრანსი“ დაფუძნდა 2020 წლის 13 იანვარს, რომლის მესაკუთრე, 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი ოთარ ფხაკაძე (პ/ნ 01024035554). 2021 წლის 3 აგვისტოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის თანახმად, კომპანიის პარტნიორები და წილის მმართველებია: მამუკა სხვიტარიძე – 51%, ოთარ ფხაკაძე – 49%. უახლესი ამონაწერის თარიღია: 2025 წლის 10 აპრილი, სადაც პარტნიორთა მონაცემები უცვლელია.

~

8

შპს „ბიზონის“ სარჩელი შპს „ტრანსკავკასიის კრისტალისა“ და სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ, დავის საგანზე: ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავალი (2022 წელი – მიმდინარე)

2022 წლის 19 აგვისტოს, შპს „ბიზონმა“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შპს „ტრანსკავკასიის კრისტალისა“ და სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ, დავის

⁷³ 2025 წლის 22 დეკემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება მხარეთა მორიგების გამო, საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, საქმე: N2/353-21, მოსამართლე: ხათუნა ბოლქვაძე.

საგანზე: ზიანის ანაზღაურება. კერძოდ, შპს „ბიზონმა“ მოითხოვა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალსა“ და სსიპ – აღსრულების ეროვნულ ბიუროს სოლიდარულად დაკისროდა 942,600 ლარის გადახდა, ხოლო მეორე სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა: შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ დაკისრებოდა 225,478 ლარის გადახდა.

სარჩელის მოთხოვნა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალისა“ და სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ, სოლიდარულად 942,600 ლარის გადახდის ნაწილი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ შპს „ბიზონი“ მოითხოვს უკან დაიბრუნოს 2017 წლის 30 მარტს, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული იძულებითი აუქციონის წესით შეძენილ უძრავი ქონებისთვის გადახდილი თანხა, ხოლო შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მიმართ 225,478 ლარის გადახდის მოთხოვნა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ როდესაც შპს „ბიზონმა“ აუქციონის წესით შეიძინა უძრავი ქონება, ქონება აუქციონზე გასხვისებამდე დატვირთული იყო გირავნობით/იპოთეკით, რომელიც გამომდინარეობდა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ საგადასახადო დავალიანებისგან. შპს „ბიზონმა“ განცხადებით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურს აღნიშნული დავალიანების გადახდის გადავადების თაობაზე, რაც 2021 წლის 26 ივლისის სსიპ შემოსავლების სამსახურის ვალის მართვის დეპარტამენტის უფროსის N24480 ბრძანებით დაკმაყოფილდა⁷⁴.

კერძოდ, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ დავალიანებას შეადგენდა 614,923 ლარი. დაფარვა გადავადებული იქნა 2024 წლის 10 ივლისამდე, ხოლო გადახდის განწილვადება შპს „ბიზონს“ განესაზღვრა ბრძანების თანდართული გრაფიკის მიხედვით. ვინაიდან სარჩელის აღძვრის მდგომარეობით, შპს „ბიზონის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 11-ჯერ იქნა გადახდილი, ჯამში – 187,902 ლარი და შპს „ბიზონის“ მიერ, გარდა საგადასახადო დავალიანებისა, გადახდილი იქნა ქონების (მინის) გადასახადი, სულ – 37,576.40 ლარი, მეორე სასარჩელო მოთხოვნით, შპს „ბიზონის“ მიერ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალისგან“ მოთხოვნილი იქნა 225,478 ლარის გადახდა.

2022 წლის 22 აგვისტოს სასამართლოს განჩინებით, შპს „ბიზონის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, შპს

⁷⁴ 2021 წლის 26 ივლისის სსიპ შემოსავლების სამსახურის ვალის მართვის დეპარტამენტის უფროსის ნიკა კანკიას N24480 ბრძანება.

„ტრანსკავკასიის კრისტალს“ აეკრძალა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 05.35.27.057) გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა⁷⁵.

2022 წლის 9 სექტემბერს, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალმა“ წარმოადგინა კერძო საჩივარი და მოითხოვა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ 22.08.2022 განჩინების გაუქმება. კერძოდ, მოპასუხე კომპანია განმარტავდა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 5 აგვისტოს განჩინების საფუძველზე, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მიმართ მიმდინარეობდა რეაბილიტაციის რეჟიმი და სასამართლოს აღნიშნული განჩინებით დადგენილი იქნა, რომ ავტომატურად ჩერდებოდა მოვალის ქონების წინააღმდეგ მიმდინარე იძულებითი აღსრულების ღონისძიებები, ხოლო იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება აღარ დაიშვებოდა. აგრეთვე, არ დაიშვებოდა ახალი საპროცესო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება⁷⁶. სწორედ ამ გარემოებაზე მითითებით, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილებული იქნა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ განცხადება და საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება ძალადაკარგულად იქნა ცნობილი⁷⁷. შესაბამისად, მოპასუხე კომპანია განმარტავდა, რომ სასამართლოს მიერ 2022 წლის 22 აგვისტოს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ უფლების შეზღუდვისა და შპს „ბიზონის“ ინტერესის თვალსაზრისით არ გააჩნდა სამართლებრივი ძალა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 5 აგვისტოს განჩინება და მის საფუძველზე დაწყებული კომპანიის რეაბილიტაციის რეჟიმი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 22 აგვისტოს განჩინების გაუქმების პროცესუალურ საფუძველს წარმოადგენდა.

2022 წლის 4 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება საქმის განსჯად სასამართლოში გადაგზავნის შესახებ. კერძოდ, სარჩელი განსახილველად გადაიგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. სასამართლოს განმარტებით, რამდენადაც განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამო-

⁷⁵ 2022 წლის 22 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ, საქმეზე: N2/25680-22, მოსამართლე: ზაალ მარუაშვილი

⁷⁶ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინება შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის შესახებ, საქმე: N2/2458-22, მოსამართლე: ციციწინო კიკვაძე.

⁷⁷ 2022 წლის 2 სექტემბრის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს N102022406760/4 გადაწყვეტილება საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაციის შესახებ N102022393997 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

სიღებების არამართლზომიერი განხორციელებისას მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, დავის გადაწყვეტაც საგნობრივად ადმინისტრაციული წარმოებით უნდა განხორციელდებულყო⁷⁸. ამასთან, სასამართლოს მოტივაცია განპირობებული იქნა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ გადახდისუუნარობის საქმის განხილვა მიმდინარეობდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების მიხედვით, *სამოქალაქო ან ადმინისტრაციული დავა, რომელიც დაკავშირებულია გადახდისუუნარობის მასიდან ნივთის გამოთხოვასთან ან რომელშიც მოვალე არის მოსარჩელე და რომელიც გადახდისუუნარობის მასას უკავშირდება, ამ მუხლითა და შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაჩქარებულად განიხილება. ასევე, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემდეგ აღძრულ, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დავას განიხილავს გადახდისუუნარობის საქმის განმხილველი სასამართლო.*

2022 წლის 26 ოქტომბრის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, განსჯადობაზე დავის გამო, მიღებული იქნა გადაწყვეტილება საქმის საკასაციო სასამართლოში გადაგზავნის შესახებ⁷⁹. ასეთი გადაწყვეტილების დასაბუთებაში სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნები არ უკავშირდებოდა გადახდისუუნარობის მასიდან ნივთის გამოთხოვას და წარმოდგენილი სარჩელის ავტორი შპს „ბიზონი“ არ წარმოადგენდა მოვალეს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში დაწყებული წარმოების ფარგლებში, სადაც მოვალედ გვევლინება შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“ და მის მიმართ გაიხსნა რეაბილიტაციის რეჟიმი, რითაც დასტურდება, რომ სახეზე არ არის სუბიექტი (მოვალე), რომლის სარჩელის განხილვის შესაძლებლობასაც ადგენს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი გადახდისუუნარობის საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ. შესაბამისად, წარმოდგენილ სარჩელზე, განჩინების მიხედვით, ქუთაისის საქალაქო სასამართლო არ წარმოადგენდა განსჯად სასამართლოს. ამასთან, სასამართლო განმარტავდა, რომ *„თუ მივიჩნევთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სწორად მოხდა ტერიტორიული ნიშნით განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ წარმოადგენს გადახდისუუნარობის საქმის განმხილველ სასამართლოს. ამ-*

⁷⁸ 2022 წლის 4 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება საქმის განსჯად სასამართლოში გადაგზავნის შესახებ, საქმე: N2/25680-22, მოსამართლე: ზაალ მარუაშვილი.

⁷⁹ 2022 წლის 26 ოქტომბრის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინება განსჯადობაზე დავის გამო საქმის საკასაციო სასამართლოში გადაგზავნის შესახებ, საქმე: N3/610-22, მოსამართლე: მიხეილ ბებიაშვილი.

დაგვარ სასამართლოს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლო კოლეგიის ის შემადგენლობა, რომელის წარმოებაშიცაა კონკრეტული მოვალის მიმართ მიმდინარე რეაბილიტაციის ან და გაკოტრების სამართალწარმოება“. განჩინების თანახმად, ქუთაისის საქალაქო სასამართლო, პირველი სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, განსჯად სასამართლოდ მიიჩნევდა – თბილისის საქალაქო სასამართლოს, ხოლო მეორე სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში – ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

2022 წლის 14 დეკემბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, შპს „ბიზონის“ სარჩელი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსა და შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას⁸⁰. განჩინების თანახმად, განსჯადობის საკითხი არ არის დამოკიდებული მხარეთა მოსაზრებებზე. განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის შემადგენელ ნაწილად. ამასთანავე, სარჩელის წარმოებაში მიღება არ აბრკოლებს შემდგომში, სათანადო საფუძვლების გამოვლენისას, სარჩელის განსჯადი სასამართლოსთვის გადაგზავნის შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლომ ყურადღება დაუთმო „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებს და განმარტა, რომ **ნორმის განმარტება ვერ მოხდება მხოლოდ მის ფორმალურ საწყისებზე დაფუძნებით და საკანონმდებლო ორგანოს მიერ ნორმის შემოტანის რეალური მიზნის უგულვებელყოფით. ერთიანობის პრინციპის თანახმად, ყოველი ნორმა განმარტებული უნდა იქნეს არა ფრაგმენტულად, არამედ სისტემური და ტელეოლოგიური მეთოდებით – კანონის ტექსტის ლოგიკურ ქრილში.**

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ შპს „ბიზონის“ სარჩელზე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს დაეკისროს 942,600 ლარი (პირველი სასარჩელო მოთხოვნა), განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, თუმცა განჩინების მიღების ეტაპზე, საქმის აღნიშნული სასამართლოსთვის დაექვემდებარება ვერ მოხდებოდა, რადგანაც სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში, სოლიდარულ მოვალედ, ასევე დასახელებული იქნა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“, რომლის მიმართაც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო

⁸⁰ 2022 წლის 14 დეკემბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება, საქმე: Nბს-1269 (გ-22), მოსამართლეები: გენადი მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ქეთევან ცინცაძე, თამარ ოქროპირიძე.

საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 5 აგვისტოს განჩინებით გახსნილი იქნა რეაბილიტაციის რეჟიმი. შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებარებოდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომელსაც უნდა დაედგინა, მოსარჩელე ზიანის ანაზრაურებას ითხოვს თუ არა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლიდან გამომდინარე, რომლის თანახმად, მიყენებული ზიანის ანაზრაურების საკითხი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს განხილული, თუ სადავო სამართალურთიერთობის ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ორივე სასარჩელო მოთხოვნა განსახილველად უნდა დაექვემდებარებოდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, თუმცა საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განსჯადობის წესების დაცვიდან გამომდინარე არსებობდა საფუძველი ერთმანეთისგან გამოყოფილი ყოფილიყო ადმინისტრაციული ორგანოსა და კერძო სამართლის სუბიექტების მიმართ ზიანის ანაზრაურების თაობაზე მოთხოვნები, თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავდა, რომ მოკლებული იყო შესაძლებლობას საკითხის განხილვის მოცემულ ეტაპზე დამოუკიდებლად განეხორციელებია აღნიშნული.

2024 წლის 21 თებერვლის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფისა და განსჯადი სასამართლოსთვის გადაცემის თაობაზე⁸¹. კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან შპს „ბიზონის“ წარმომადგენლის მიერ 2023 წლის 12 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე მიეთითა, რომ რიგით პირველი სასარჩელო მოთხოვნა 942,600 ლარის დაკისრების ნაწილში მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, მოთხოვნა წარმოშობილია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან განხორციელებული არასწორი ქმედებისგან, შესაბამისად, მოთხოვნა ამ ნაწილში განსჯადობით უნდა გადაგზავნილიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიმართ. ამასთან, მოსარჩელე განმარტავდა, რომ რიგით მეორე სასარჩელო მოთხოვნა განხილული უნდა ყოფილიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, რადგანაც დროის განსახილველ მონაკვეთში დასრულებული იქნა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ გადახდისუუნარობის საქმისწარმოება, მოპასუხე კომპანიის მისამართს წარმოადგენდა ქ. თბილისი და მხარეს გააჩნდა სასამართლოს არჩევის უფლებაც. შპს „ბიზონის“ წარმომადგენლის შუამ-

⁸¹ 2024 წლის 21 თებერვლის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფისა და განსჯადი სასამართლოსთვის გადაცემის შესახებ, საქმე: N2/358-23, მოსამართლე: დარინა აბულაძე.

დგომლობებს დაეთანხმა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალიც“. ამდენად, შპს „ბიზონის“ სარჩელი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსა და შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მიმართ, 942,600 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში, ცალკე წარმოებად იქნა გამოყოფილი და განსჯადობის წესის დაცვით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, ხოლო შპს „ბიზონის“ სარჩელი შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მიმართ, 225,478 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში, განსჯადობის წესის დაცვით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

- **სარჩელი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ 942,600 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში,**

2025 წლის 1 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით⁸², დადგინდა, რომ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“ განსახილველ საქმეზე არ წარმოადგენს მხარეს (15:18:35 სთ.) და სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა წარმომადგენლებმა მამუკა სხვიტარიძემ და თამარ მეტრეველმა დატოვეს სხდომის დარბაზი (15:20:15 სთ). სასამართლო სხდომა გადაიდო სხვა დროისთვის. ამ დროისთვის, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

- **სარჩელი შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მიმართ 225,478 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში**

2025 წლის 15 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით⁸³ დადგინდა, რომ მოპასუხე მხარის განმარტებით (13:01:45 სთ), მის მიერ 2022 წლის 17 ოქტომბერს წარდგენილ შესაგებელში მითითებულია შუამდგომლობა – 2022 წლის 22 აგვისტოს გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ან მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაზე სარჩელის ფასის ოდენობის თაობაზე შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ 2022 წლის 07 სექტემბრის საჩივარზე დაუყოვნებლივ მსჯელობის შესახებ. მოპასუხე მხარემ მიუთითა, რომ აღნიშნული საკითხი აღარ დგას დღის წესრიგში და, შესაბამისად, შუამდგომლობაზე უარი განაცხადა.

⁸² 2025 წლის 1 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინება, საქმე: №3/1302-24, მოსამართლე: მერი გულუაშვილი.

⁸³ 2025 წლის 15 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინება, საქმე: №2/4504-24, მოსამართლე: თეა ბერაია.

2025 წლის 10 ივნისისა და 2025 წლის 26 ივნისის სასამართლო სხდომები, მხარეთა მორიგების მიზნით, გადაიდო.

2025 წლის 23 ოქტომბერს, შპს „ბიზონის“ წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და სასამართლოს მოთხოვნა/ინტერესების შესაბამისად, მიაწოდა ინფორმაცია მხარეთა შორის დავის მორიგების საკითხზე არსებული მდგომარეობის თაობაზე⁸⁴. კერძოდ, მოსარჩელემ აცნობა სასამართლოს, რომ ბოლო სხდომიდან დღემდე, მხარეთა შორის მიმდინარეობდა მორიგები საკითხზე ურთიერთობა, თუმცა პროცესი არის რთული, მტკივნეული, მოსარჩელე მხარის არათანაბარ მდგომარეობაში ჩამყენებელი, მაგრამ მხარეთა შორის მოლაპარაკება გრძელდება. მამუკა სხვიტარიძე შეხვდა ნიაზ ხალვაშს და მისი ოჯახის წარმომადგენლებს. მხარეთა შორის 2025 წლის აგვისტოსა და ოქტომბრის თვეში მომზადდა მორიგების აქტის 2 პროექტი, რომელიც წარდგენილი იქნა განცხადებაზე. ამასთან, 2025 წლის 19 აგვისტოს, მოსარჩელის წარმომადგენელმა მოპასუხე კომპანიის დირექტორ მამუკა სხვიტარიძეს წერილობით აცნობა არსებული პოზიციები და აღწერა სასამართლოს სხდომის შემდგომი განვითარებული მოქმედებებიც. ამასთან, მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ არ ცდილობდა ხელი შეეშალა ამ პროცესისთვის და ადასტურებდა რომ მიმდინარეობს – გრძელდება მორიგების საკითხზე უშუალოდ მხარეებს შორის კონტაქტი, ასევე, სხვა გარე მოთამაშეების მონაწილეობით.

2025 წლის 23 ოქტომბერს, შპს „ბიზონის“ წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის აღძვრის შემდგომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება⁸⁵. კერძოდ,

- შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ (ს/კ 204504376) აეკრძალოს უძრავი ქონების მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ქუჩა აკაკი შანიძე, N16, ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 6728.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N01, N02, N03, ს/კ 05.35.27.370, 1/2 წილის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.
- შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ (ს/კ 204504376) აეკრძალოს უძრავი ქონების მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ქუჩა აკაკი შანიძე, N16 ბ, ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 15003.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N01, N02, N03, ს/კ 05.35.27.371, 1/2 წილის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

⁸⁴ 2025 წლის 23 ოქტომბრის შპს „ბიზონის“ წარმომადგენლის, ადვოკატ არჩილ კაიკაციშვილის მიმართვა საქმის განხილველი მოსამართლე თეა ბერაიას მიმართ.

⁸⁵ 2025 წლის 23 ოქტომბრის შპს „ბიზონის“ წარმომადგენლის, ადვოკატ არჩილ კაიკაციშვილის შუამდგომლობა სარჩელის აღძვრის შემდეგ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

- შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ (ს/კ 204504376) აეკრძალოს უძრავი ქონების მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ქუჩა აკაკი შანიძე, N16 ა, ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 8291.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N01, N02, ს/კ 05.35.27.372, 1/2 ნილის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

2025 წლის 24 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით, შპს „ბიზონის“ შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ⁸⁶. კერძოდ, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ აეკრძალა უძრავი ქონების მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ქუჩა აკაკი შანიძე, N16, ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 6728.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N01, N02, N03, ს/კ 05.35.27.370, 1/2 ნილის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

2025 წლის 18 ნოემბრის შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ წარმომადგენლის წერილით, სასამართლოს ეცნობა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განჩინებას, „დროის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით“, არ გაასაჩივრებდნენ⁸⁷. განჩინება იმ ნაწილში, რომელიც არ დაკმაყოფილდა, არ გაუსაჩივრებია არც შპს „ბიზონს“, თუმცა მოპასუხე კომპანიის მიერ 18.11.2025 სასამართლოში წარდგენილი წერილის შინაარსი არამხოლოდ სხდომის თარიღის განსაზღვრის მოთხოვნას მოიცავს, არამედ შეიცავს, როგორც მოსამართლის დადანაშაულებას მიკერძობაში, ასევე მოსარჩელე მხარის დისკრედიტაციას. ამ უსაფუძვლო კრიტიკის გამო, 2025 წლის 25 ნოემბერს, შპს „ბიზონის“ მიერ სასამართლოში წარდგენილი იქნა წერილი, რომლითაც არსებითად პასუხი გაეცა წლების მანძილზე და მიმდინარე პერიოდში, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ ხელმძღვანელი პირების მიზანმიმართულ ქცევებსა და ქმედებას⁸⁸.

ამ დროისთვის, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

⁸⁶ 2025 წლის 24 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, საქმე; N2/4504-24, მოსამართლე: თეა ბერაია.

⁸⁷ 2025 წლის 18 ნოემბრის შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ წარმომადგენლის, ადვოკატ თამარ მეტრეველის წერილი „სხდომის თარიღის განსაზღვრის შესახებ“.

⁸⁸ 2025 წლის 25 ნოემბრის შპს „ბიზონის“ წარმომადგენლის, ადვოკატ არჩილ კაიკაციშვილის წერილი: „რა სურს მამუკა სხვიტარიძეს, რომელიც აკრიტიკებს სასამართლოს, უწოდებს მართლმსაჯულებას მიკერძოებულს და აგრძელებს ნიაზ ხალვაშის ჩაგვრას – ღია პოზიცია შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ 2025 წლის 18 ნოემბრის წერილზე“.

6. სადავო ქონების უფლებრივი მდგომარეობა წლების მიხედვით

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელმისაწვდომი მონაცემების შესწავლის შედეგად, დგინდება შემდეგი, რომ უძრავი ნივთი, მისამართზე: ქალაქი ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი, მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.35.27.057, დროის შემდეგ მონაკვეთებში ირიცხებოდა შემდეგ მესაკუთრებზე შემდეგი უფლებრივი პირობებით:

1. 2011 წლის 15 დეკემბრის ამონაწერის თანახმად, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 30022.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი: 6971 კვ.მ, მესაკუთრეა: ს.ს. „თიბისი ბანკი“ (ს/კ 204854595). უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია: 2010 წლის 24 დეკემბრის აჭარის სააღსრულებლო ბიუროს განკარგულება N02/02-07-10-858 უძრავი ქონების ნატურით გადაცემის შესახებ. ამასთან, უძრავი ნივთის ამონაწერის ვალდებულების გრაფაში, უძრავი ქონების მომავალ მესაკუთრედ მითითებულია: შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“, გამყიდველი კი – ს.ს. „თიბისი ბანკი“. ამ პირობის უფლებადამდგენ დოკუმენტად მითითებულია: უძრავი ნივთის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი: N111046398, დამონმების თარიღი: 28.09.2011 წელი. ასევე, დამატებითი შეთანხმება: დამონმების თარიღი: 09.12.2011 წელი.
2. 2011 წლის 16 დეკემბრის ამონაწერის თანახმად, უძრავი ნივთის ამონაწერის სარგებლობის გრაფაში, წარმოდგენილია იჯარის ხელშეკრულება. კერძოდ, უძრავ ნივთზე: მეიჯარეა: ს.ს. „თიბისი ბანკი“, ხოლო მოიჯარე – შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“. მხარეთა შორის სამართალ-ურთიერთობის უფლებადამდგენი დოკუმენტია: 2011 წლის 12 დეკემბერს დამონმებული იჯარის ხელშეკრულება. უცვლელია ვალდებულების გრაფის ჩანაწერი.
3. 2012 წლის 25 ოქტომბრის ამონაწერის თანახმად, უძრავი ნივთის მესაკუთრეა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“. უძრავ ნივთზე იპოთეკისა და ვალდებულების გრაფა თავისუფალია.
4. 2012 წლის 29 ოქტომბრის ამონაწერის თანახმად, უძრავ ნივთზე ს.ს. „ბაზისბანკის“ სასარგებლოდ, რეგისტრირებულია იპოთეკის ხელშეკრულება.

5. 2013 წლის 27 დეკემბრის ამონაწერის თანახმად, უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია სსიპ შემოსავლების სამსახურის 28.11.2013 შეტყობინება მთლიან ქონებაზე საგადასახადო გირავნობა/იპოთეკი სახით.
6. 2015 წლის 9 ოქტომბრის ამონაწერის თანახმად, უძრავ ნივთზე მომზადებულია საკადასტრო გეგმა.
7. 2016 წლის 17 ივნისის ამონაწერის თანახმად, უძრავ ნივთზე, იპოთეკის გრაფაში, კვლავ შენარჩუნებულია იპოთეკის ხელშეკრულებების ჩანაწერი. ასევე, სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის შეტყობინება, ხოლო ვალდებულების გრაფაში აღნიშნულია სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ 2016 წლის 27 მაისს გამოცემული ქონებაზე ყადაღის გამოცემის შესახებ აქტი და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 ნოემბრის განჩინება ყადაღის გამოყენების შესახებ.
8. 2016 წლის 4 ივლისის ამონაწერის თანახმად, უძრავ ნივთზე მოხსნილი იქნა სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ 2016 წლის 27 მაისს გამოცემული ქონებაზე ყადაღის გამოცემის შესახებ აქტის საფუძველზე გავრცელებული შეზღუდვა. ყველა სხვა მონაცემი დარჩა უცვლელი.
9. 2017 წლის 6 აპრილის ამონაწერის თანახმად, უძრავ ნივთზე გავრცელებულია 2016 წლის 27 ივლისის სსიპ შემოსავლების სამსახურის ყადაღა. ასევე, თბილისის სააღსრულებლო ბიუროს 2016 წლის 8 ივლისის ყადაღა. შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“ შეყვანილია მოვალეთა რეესტრში.
10. 2017 წლის 17 აპრილის ამონაწერის თანახმად, უძრავი ნივთის მესაკუთრეა შპს „ბიზონი“. საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტია: სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 13 აპრილის A16064532-035/001 განკარგილება. უძრავ ქონებაზე ფიქსირდება შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს მიერ ს.ს. „ბაზისბანკის“ სასარგებლოდ გაფორმებული 2013 წლის 23 დეკემბრის იპოთეკის ხელშეკრულება. ასევე, სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, რომელიც წარმოშობილია შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს მიმართ 12.10.2015 და 11.12.2015 შეტყობინებების საფუძველზე.
11. 2017 წლის 1 ივნისის ამონაწერის თანახმად, უძრავ ნივთზე ვალდებულების გრაფაში მითითებულია აკრძალვა. კერძოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 19 მაისის განჩინება, რომლითაც შპს „ბი-

ზონს“ ეკრძალება კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისება, იპოთეკით დატვირთვა ან/და სხვა ვალდებულებით დატვირთვა. ყველა სხვა მონაცემი უცვლელია.

12. 2018 წლის 9 იანვრის, ასევე 2018 წლის 5 ნოემბრის ამონაწერ(ებ)ის თანახმად, უძრავ ნივთზე ვალდებულების გრაფაში მითითებულია სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ 08.12.2017 წელს გამოცემული აქტის საფუძველზე წარმოშობილი ყადაღა. ყველა სხვა მონაცემი უცვლელია.
13. 2019 წლის 6 მარტის ამონაწერის თანახმად, უძრავ ნივთზე ვალდებულების/იპოთეკის გრაფაში მითითებულია იპოთეკა/ყადაღა. კერძოდ, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2019 წლის 19 თებერვლის შეტყობინება საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოქმნის შესახებ.
14. 2019 წლის 7 ნოემბრის ამონაწერის თანახმად, უძრავ ნივთზე დამატებულია ორი აკრძალვა. კერძოდ, თბილისის სააღსრულებლო ბიუროს 2019 წლის 27 სექტემბრის ყადაღა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბრის განჩინება უძრავი ნივთის გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვის თაობაზე.
15. 2020 წლის 20 ივნისის ამონაწერის თანახმად, უძრავ ნივთზე დამატებულია ისევ ორი აკრძალვა. კერძოდ, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2020 წლის 15 ივნისის ყადაღა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 10 ივნისის განჩინება უძრავი ნივთის გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვის თაობაზე.
16. 2021 წლის 24 ივლისის ამონაწერის თანახმად, უძრავ ნივთზე აღრიცხულია სსიპ შემოსავლების სამსახურის 2021 წლის 17 ივნისის საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა. სხვა ყველა მონაცემი და აკრძალვა უცვლელია.
17. 2022 წლის 18 ივლისის ამონაწერის თანახმად, უძრავ ნივთზე აღრიცხულია სსიპ შემოსავლების სამსახურის 2022 წლის 19 მაისის საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა. სხვა ყველა მონაცემი და აკრძალვა უცვლელია.
18. 2022 წლის 26 ივლისის, ასევე, 2022 წლის 28 ივლისის ამონაწერ(ებ)ის თანახმად, უძრავ ნივთზე მესაკუთრედ აღრიცხულია შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“. უფლების დამდგენ დოკუმენტად მითითებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.07.2022 გადაწყვეტილება. იპოთეკ-

ის გრაფაში შენარჩუნებულია 2013 წლის 28 ნოემბრის სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო გირავნობა. ამასთან, ვალდებულების გრაფაში მითითებულია ყადაღის წარმოშობა.

2022 წლის 3 აგვისტოს, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მოთხოვნის საფუძველზე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, განხორციელდა უძრავი ნივთის სამ საკადასტრო ერთეულად დაყოფა. კერძოდ, **თავდაპირველი ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 30022.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი: 6971 კვ.მ**, დაიყო შემდეგ ერთეულ ნაწილად:

1. ს/კ 05.35.27.370 ქვეშ დაზუსტებული ფართობის სახით მითითებულია: **6728.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N01, N02, N03,**
2. ს/კ 05.35.27.371 ქვეშ დაზუსტებული ფართობის სახით მითითებულია: **15005 კვ.მ და შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N1, N2, N3.**
3. ს/კ 05.35.27.372 ქვეშ დაზუსტებული ფართობის სახით მითითებულია: **8291 კვ.მ და შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N1, N2.**

| | |
|-----------|--|
| 2005 წელი | აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის N699 ბრძანების თანახმად, შპს „ბათუმის საშენ მასალათა კომბინატი“-ს სანესდებო კაპიტალში შეტანილი იქნა ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული ფერადი ფილების დამამზადებელი უნივერსალური ქარხანა „ZENITH 940 SUPER AZ 100“ |
| 2006 წელი | აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის N5-8 ბრძანების თანახმად, შპს „ბათუმის საშენ მასალათა კომბინატი“-ს დირექტორად ინიშნება ნიაზ ხალვაში |
| 2006 წელი | აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ნიაზ ხალვაშის მიერ დაფუძნებულ შპს „DECO“-ს შორის ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შპს „DECO“-ს საკუთრებაში გადადის ხელვაჩაურის რაიონის, დაბა ხელვაჩაურში, წერეთლის ქუჩა N9-ში მდებარე შპს „ბათუმის საშენ მასალათა კომბინატი“-ის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 100% წილი, |
| 2007 წელი | შპს „DECO“-სა და ს.ს. „თიბისი ბანკს“ შორის გაფორმდა საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ N762192 ხელშეკრულება, ს.ს. თიბისი ბანკსა და |

| | |
|-----------|--|
| | ფიზიკურ პირ ნიაზ ხალვაშს შორის ფორმდება თავდებობის ხელშეკრულება |
| 2007 წელი | საქართველოს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილის აჭარის ა/რ საგამოძიებო განყოფილების მიერ მიღებული იქნა დადგენილება ბრალდებულის სახით ნიაზ ხალვაშის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, გამოყენებული იქნა აღკვეთი ღონისძიება პატიმრობის სახით, |
| 2007 წელი | ს.ს. თიბისი ბანკსა და ფიზიკურ პირ ნიაზ ხალვაშს შორის ფორმდება საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულება, 30 წლის ვადით, საკრედიტო რესურსის მაქსიმალური – 500,000 აშშ დოლარის ფარგლებში, ხოლო 2007 წლის 27 დეკემბერს, მხარეთა შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება N766494-1 |
| 2007 წელი | ნიაზ ხალვაშისა და მისი ოჯახის წევრების პოლიტიკურ ემიგრაციაში წავსლა |
| 2008 წელი | ს.ს. თიბისი ბანკსა და შპს „DECO“-ს შორის, 23.02.2007 ძირითადი ხელშეკრულების ფარგლებში, ფორმდება დამატებითი საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, კრედიტის თანხად კი განისაზღვრა 350,000 ლარი. კრედიტის გაცემის მიზნობრიობად მითითებული იქნა საგადასახადო დავალიანების ფინანსირება, |
| 2009 წელი | სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 186-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, სასამართლომ ნიაზ ხალვაში ცნო დამნაშავედ. |
| 2009 წელი | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ბრძანებით, მოხდა შპს „DECO“-ს ქონების აღწერა და ქონებაზე ყადაღის დადება |
| 2010 წელი | ბათუმის საქალაქო სასამართლოს ბრძანებით, დაკმაყოფილდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) უფროსის შუამდგომლობა და მიღებული იქნა გადაწყვეტილება ღია აუქციონის წესით, შპს „DECO“-ს დაყადაღებული ქონების რელიზაციის თაობაზე. |
| 2010 წელი | ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით |

| | |
|-----------|--|
| | და გაცემული სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე, დაკმაყოფილდა ს.ს. თიბისი ბანკის სარჩელი და შპს „DECO“-სა და ნიაზ ხალვაშს ბანკის სასარგებლოდ დაეკისრათ 987360.61 ლარის გადახდა. |
| 2010 წელი | შპს „DECO“-ს საკუთრებაში არსებული ს/კ 22.27.02.061 ქვეშ არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, 30022 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 6971 კვ.მ შენობა-ნაგებობა ნატურით გადაეცა უძრავ ნივთზე პირველი რიგის კრედიტორ ს.ს. თიბისი ბანკს. |
| 2011 წელი | განმეორებითი იძულებით აუქციონზე გასაყიდად იქნა გამოტანილი შპს „ბათუმის საშენ მასალათა კომბინატის“ სახელზე რიცხული მოძრავი ქონება: ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის (ROSACOMETTA) 1 კომპლექტი. შემძენი გახდა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“, |
| 2011 წელი | განმეორებითი იძულებითი საჯარო აუქციონზე, შპს „DECO“-ს საკუთრებაში რიცხული მოძრავი ნივთის – ინერტული მასალების გადამამუშავებელი საამქროს შემძენი გახდა შპს „ბონდი – 2009“, ხოლო ელექტრონულ აუქციონზე შპს „DECO“-ს საკუთრებაში რიცხული მოძრავი ნივთის – სატრანსპორტო საშუალების – მკვებავის შემძენი გახდა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“, |
| 2011 წელი | ს.ს. თიბისი ბანკსა და შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ შორის, ს/კ 22.27.02.061 ქვეშ არსებულ უძრავ ქონებაზე, კერძოდ, 30022 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და 6971 კვ.მ შენობა-ნაგებობაზე ფორმდება უძრავი ნივთის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება, |
| 2012 წელი | სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის თანახმად, ს/კ 22.27.02.061 ქვეშ არსებული უძრავ ქონებაზე, კერძოდ, 30022 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 6971 კვ.მ შენობა-ნაგებობის მესაკუთრე ხდება შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“, |
| 2012 წელი | 2012 წლის 5 დეკემბრის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირთა შესახებ“, ნიაზ ხალვაში აღიარებულ იქნა პოლიტიკური ნიშნით დევნილად. |
| 2013 წელი | ნიაზ ხალვაში, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახ- |

| | |
|-------------------|---|
| | მად, გათავისუფლდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 23 თებერვლის განაჩენით დანიშნული სასჯელისგან და სასამართლოს განჩინებით, უდანაშაულოდ იქნა ცნობილი, |
| 2013 წელი | ბიზნესმენი ნიაზ ხალვაში, ოჯახის წევრებთან ერთად, იძულებითი ემიგრაციიდან ბრუნდება საქართველოში, აჭარაში, |
| 2014 წელი | სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნანილობრივ კმაყოფილდება შპს „მეგაკოს“ სარჩელი შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს მიმართ, რომლითაც შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ ეკისრება ხელშეკრულების დარღვევიდან წარმოშობილი თანხის გადახდა, |
| 2015 წელი | განმეორებითი იძულებით აუქციონზე, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“ ხდება გასაყიდად გამოტანილი შპს „DECO“-ს სახელზე რიცხული მოძრავი ქონების მესაკუთრე, |
| 2016 წელი | შპს „მეგაკოს“ მოთხოვნის საფუძველზე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ყადაღა იქნა წარმოშობილი შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ უძრავ ქონებაზე, მათ შორის მისამართზე: ქალაქი ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.35.27.057 |
| 2017 წელი | უძრავ ნივთზე: ქალაქი ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთელი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.35.27.057 შედგა იძულებით საჯარო აუქციონი და გამარჯვებული გახდა ნიაზ ხალვაშის სახელზე რეგისტრირებული შპს „ბიზონი“. უძრავი ქონების შეძენისთვის შპს „ბიზონის“ მიერ გადახდილი იქნა 942,600 ლარი, ხოლო აღსრულება განხორციელდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორის – შპს „მეგაკოს“ სასარგებლოდ, |
| 2017 – 2022 წლები | შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მიერ სასამართლოში, სიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, მესამე პირების: შპს „მეგაკოსა“ და შპს „ბიზონის“ მიმართ, სააღსრულებლო წარმოების ფარგლებში აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით, წარმოებული იქნა სასამართლო დავა, |
| 2022 წელი | საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრარ- |

| | |
|-------------------|--|
| | <p>ციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით , შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 4 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ სარჩელი დაკმაყოფილდა – შპს „ბიზონს“ გაუქმდა საკუთრების უფლება აუქციონის წესით შეძენილ ქონებაზე,</p> |
| 2023 წელი | <p>საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, არ დაკმაყოფილდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე,</p> |
| 2020 – 2026 წლები | <p>საერთო სასამართლოებში წარმოებული, დასრულებული და მიმდინარე საქმეები შპს „ბიზონის“, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალისა“ და სახელმწიფო უწყებებს შორის: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის, ზიანის ანაზღაურების, მიუღებელი შემოსავლის, ქმედების განხორციელების თაობაზე.</p> |

7 დასკვნა

ორგანიზაცია ყურადღებით გაეცნო გადანყვეტილებებს, დასკვნებსა და სამართლებრივ მოსაზრებებს, რომელიც მიღებული იქნა ბიზნესმენ ნიაზ ხალვაშის საქმეზე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმონერა. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის თანახმად, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის თანახმად, შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა არსებობდეს ნივთის გადაცემამდე. კეთილსინდისიერი შემძენი ვერ გახდება ნივთის მესაკუთრე, თუ ეს ნივთი მესაკუთრემ დაკარგა, მას მოჰპარეს, ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, ანდა შემძენმა ის უსასყიდლოდ მიიღო. ეს შეზღუდვები არ

მოქმედებს ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და აუქციონზე გასხვისებული ნივთების მიმართ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლი 1-ელი ნაწილის თანახმად, უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შექმნილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „აღნიშნული კონსტიტუციური დებულებით აღიარებულია საკუთრების ინსტიტუტის, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძვლად არსებული ღირებულების კონსტიტუციური მნიშვნელობა, რომელიც ინდივიდის პიროვნული თავისუფლებისა და ინდივიდუალური თვითრეალიზების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მენარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმე-

ზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დაღლალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის საკუთრების შეძენის გზით ქონების დაგროვებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33).

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით განმტკიცებული საკუთრების უფლება არ არის მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის. იგი წარმოადგენს მთელი რიგი ქონებრივი ურთერთობებისა და სხვაგვარი სამართლებრივი შედეგების წარმოშობის უმთავრეს წინაპირობას. ამასთან, საკუთრების უფლების დაცულობის უზრუნველყოფის საჭიროება არ არის ფორმალური და სწორედ აღნიშნული წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედს, რამდენადაც საკუთრების უფლების დაცვით მიღწეულ უფლების ქმედით რეალიზებაზეა დამოკიდებული საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ ადამიანის მთელ რიგ ურთიერთობათა შემდგომი განხორციელება. საკუთრების უფლების გარანტირებულობა და მისი კონსტიტუციური მოწესრიგება განაპირობებს, მათ შორის, პირის შესაძლებლობას, საკუთარი სურვილის შესაბამისად, თავისუფალი ნების საფუძველზე განკარგოს და შეიძინოს ქონებრივი უფლებები, ქონებრივ უფლებათა განკარგვის და შეძენის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ საშუალებას კი, თავის მხრივ, ხელშეკრულება წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფო კისრულობს, ერთი მხრივ, პოზიტიურ ვალდებულებას, თავისუფალი შეთანხმების აღსრულებისათვის სათანადო ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარანტიების შექმნის გზით უზრუნველყოს თავისუფალი ნების გამოხატვის საფუძველზე ქონებრივ უფლებათა განკარგვის შესაძლებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო ნეგატიური ვალდებულების ფარგლებში, ვალდებულია თავად არ ხელყოს ეროვნული

და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთრების უფლება. ამდენად, კონსტიტუციის გაგებით, საკუთრება არის არა მხოლოდ საკუთრება კერძოსამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ ყველა ქონებრივი უფლება. შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვისა და სტაბილურობისთვის, არსებით მნიშვნელობას იძენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლით განმტკიცებული პირობის რეალიზება – „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას“. ამდენად, უფლების მართლზომიერად განხორციელება და დაცვა მნიშვნელოვან სამართლებრივ საფუძვლებს იძენს ვალდებულებით ურთიერთობებში, ხოლო პირის კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლების შესაძლო დარღვევის შემთხვევაში, სასამართლოს ეკისრება განსჯისა და შეფასების მთავარი ფუნქცია.

იურიდიულ ლიტერატურაში ფართოდა გავრცელებული შეხედულებაა, რომ დამტკიცებას არ საჭიროებენ ე.წ. პრეზუმირებული, ანუ ნავარაუდევო ფაქტები. პრეზუმფიცია წარმოადგენს ვარაუდს ამა თუ იმ ფაქტის არსებობის შესახებ. პრეზუმფიციების მეშვეობით კანონმდებელი ანაწილებს მტკიცების ტვირთს მხარეთა შორის და იგი არის მტკიცების ტვირთის გამონახტვის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი და ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

ორგანიზაცია, შესწავლილი საქმის მასალების საფუძველზე, აღნიშნავს, რომ ნიაზ ხალვაშის საკუთრების ხელყოფა და ბიზნესის წართმევა წარმოადგენდა სახელმწიფოს ძალმომრეობითი პოლიტიკის შედეგს და ნიაზ ხალვაშის მიმართ (და მისი ოჯახის წევრების მიმართ) განხორციელებული იქნა პოლიტიკური ნიშნით დევნა, რასაც მოჰყვა სახელმწიფო აპარატის მონაწილეობით, უკანონო მმართველობითი ღონისძიების გამოყენება, როგორც პი-

როვნული დასჯის, ასევე ბიზნესის ხელში ჩაგდება და ეკონომიკური საქმიანობის შეჩერება/შეფერხების მიზნით. სახელმწიფოს უკანონო და პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა ჯერ კიდევ საჯარო დისკუსიის საგანი გახდა საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნებული ანგარიშით, თუმცა მაშინდელი პოლიტიკური ხელისუფლების მოქმედების შედეგად, ნიაზ ხალვაში, ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, იძულებული გახდა დაეტოვებია საქართველო და ფიზიკური უსაფრთხოება დაეცვა. 2012 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირთა შესახებ“ დადგენილებით, ასევე 2016 წლის 10 ივნისს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილებით: „2004-2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამართლებრივი შეფასების და მათი განმეორების დაუშვებლობისა და სრული პრევენციის შესახებ⁸⁹“ აღიარებული იქნა, რომ „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა წამება და მათდამი არაადამიანური მოპყრობა ძალოვანი უწყებების მიერ სასურველი ჩვენების მიღების საშუალება, ქონებისა თუ ნიღბების დათმობინების მარტივი გზა და საპროცესო შეთანხმების დადების იძულების ეფექტიანი მექანიზმი იყო“, „პროკურატურა, რომელსაც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სრულყოფილად და ობიექტურად უნდა გამოეძიებინა, როგორც სამართლებრივი დაცვის მექანიზმი, არ ფუნქციონირებდა“ და „სასამართლო ხელისუფლება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე პროაქტიულად არ რეაგირებდა“. ნიაზ ხალვაშის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან წარმოებული უკანონო სისხლის სამართლებრივი დევნა, უკანონო მსჯავრი და პოლიტიკური ნიშნით დევნა დადგენილი იქნა კანონიერ ძალაში შესული ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 იანვრის განჩინებით. კერძოდ, ნიაზ ხალვაში უდანაშაულოდ იქნა ცნობილი, დაბრუნდა საქართველოში, მას მიეცა ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლად განხორციელების საშუალება, თუმცა ნეგატიური შედეგები, რომელიც უკანონო მმართველობითი ღონისძიების შედეგად მას და მის ბიზნესს მიადგა, დღემდე არ არის აღმოფხვრილი – დაკარგული ქონების, შელახული საკუთრების უფლების და განცდილი ეკონომიკური ზარალის ფონზე (მიუღებელი შემოსავალი), ნიაზ ხალვაში კვლავ სახელმწიფოსგან დაზარალებულია (ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ნიაზ ხალვაშს სახელმწიფოსგან არ მოუთხოვია მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამომდინარებს მისი პოლიტიკური ნიშნით დევნის, უკანონო სისხლის სამარ-

⁸⁹ 2016 წლის 10 ივნისის საქართველოს პარლამენტის დადგენილება: „2004-2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამართლებრივი შეფასების და მათი განმეორების დაუშვებლობისა და სრული პრევენციის შესახებ“, N5432 Hს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი მანანა კობახიძე.

თლებრივი მსჯავრისგან და პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შელახვით).

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ შესწავლილი მასალის თანახმად, უდავოდ დგინდება, რომ ნიაზ ხალვაში და მისი თავდაპირველი კომპანია „DECO“, სახელმწიფოსთან გაფორმებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად (26 ივნისი, 2006 წ.) კანონიერად გახდა დღევანდელი მონაცემებით და განახლებული მისამართით: მდებარე: ქ. ბათუმი, აკ. შანიძის ქუჩა **N16, არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 30022.00 კვ.მ**, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი: **6971 კვ.მ**, ამჟამად სამ ერთეულად დაყოფილი ქონების: **ს/კ 05.35.27.370 ქვეშ** (დაზუსტებული ფართობის სახით მითითებულია: **6728.00 კვ.მ**, შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: **N01, N02, N03**), **ს/კ 05.35.27.371 ქვეშ** (დაზუსტებული ფართობის სახით მითითებულია: **15005 კვ.მ** და შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: **N1, N2, N3**) და **ს/კ 05.35.27.372 ქვეშ** (დაზუსტებული ფართობის სახით მითითებულია: **8291 კვ.მ** და შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: **N1, N2**) არსებული ქონების ნამდვილი მესაკუთრე. ნიაზ ხალვაში აღნიშნულ საკუთრებაზე მფლობელობა დაკარგა სახელმწიფოს მიერ წარმოებული უკანონო მმართველობითი ღონისძიების შედეგად, ქონება მისი მფლობელობიდან გავიდა ნების საწინააღმდეგოდ და ნების გარეშე. მხარეს დროის არც ერთ მონაკვეთში არ დაუკარგავს ინტერესი ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენის (მოპოვებისა) და შესაბამისად, ფართში ბიზნესს-საქმიანობის განხორციელება-გაგრძელების მიზნებისთვის. შესაბამისად, სათანადო სამართლებრივი ვითარების შექმნისა და იურიდიული ინტერესის პირობებში, ნიაზ ხალვაში კომპანია „ბიზონის“ სახით, სახელმწიფოს მიერ ჩატარებული აუქციონის ყველა მოთხოვნის შესაბამისად, **2017 წლის 30 მარტს**, ხელახლა და მეორედ შეიძინა თავისი ქონება. შესაბამისად, ნიაზ ხალვაში და მისი კომპანია აღიჭურვა ყველა იმ სამართლებრივი სიკეთით, რომელიც გამომდინარეობდა კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტიდან.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ **2022 წლის 14 ივლისის** საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, ამავე სასამართლოს **2023 წლის 25 მაისის** განჩინება, რომლითაც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო არ დაკმაყოფილდა საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა, ქართულ სამართლებრივ და ეკონომიკური ბრუნვის სტაბილურობის სისტემაში, მნიშვნელოვან დარტყმის ქვეშ აყენებს კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტს და სამართლის განვითარების ან ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრების მოტივით, იურიდიულ საფუძველს აცლის საალსრულებლო წარმოებათა სანდოობას, საკუთრების უფლების დაცულობას, სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებს. სასამართლო აუქმებს ნიაზ ხალვაშის შეძენილ ქონებაზე აუქციონის შედეგებს, მაგრამ არ გამოთქვამს დასაბუთე-

ბულ პოზიციას, რა უფლებრივი მდგომარეობის წინაშე რჩება ქონების კეთილსინდისიერი შემძენი. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ქვემდგომი ორი ინსტანციის მიერ სწორად იქნა გადაწყვეტილი დავის საგანი, სწორად იქნა შეფასებული ფაქტობრივი გარემოებები (21 ნოემბერი, 2018 წ., 4 ნოემბერი, 2020 წ.), საკასაციო სასამართლოს მხრიდან განხორციელებული საპროცესო კონტროლი მოთხოვდა ყველა მხარის ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. კერძოდ, იმ ვითარებაში, როდესაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მოთხოვნას წარმოადგენდა: „საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)“, საკასაციო სასამართლოს დავის სწორად გადაწყვეტის მიზნიდან გამომდინარე, უნდა მიემართა ორი კანონისმიერი შესაძლებლობისთვის: 1) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს უნდა გაეუქმებია გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაებრუნებინა სააპელაციო სასამართლოში, თუ მიაჩნდა, რომ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევით იქნა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭირო იქნებოდა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, 2) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391¹-ე მუხლის თანახმად, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეეძლო მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ მიაჩნდა, რომ საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას.

ფაქტია, რომ 2022 წლის 24 მაისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ საკასაციო საჩივარი, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მიჩნეულ იქნა დასაშვებად. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველი, ვინაიდან საქმე მოიცავდა სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, თუმცა გამოყენებული არ ყოფილა სსსკ-ის ზემოაღნიშნული 412-ე და 391¹-ე მუხლის მოქმედებები, თუმცა მიღებული შედეგით აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილება პირდაპირ მოიცავს კე-

თილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის საპირნონედ მიღებულ სამართლებრივ დასკვნებს, ამ მიმართულებით ქმნის ახალ იურიდიულ რეალობას და ამკვიდრებს მანამდე არსებული სამართლებრივი სისტემისგან განსხვავებულ სამოსამართლო განხილვისა და გადაწყვეტის პრაქტიკას, რაც მთლიანობაში, გავლენას ახდენს გარიგებების კანონიერებაზე, ბაზრის სტაბილურობაზე და მხარეთა კონსტიტუციით დაცულ თანასწორუფლებიანობაზე.

სასამართლო, თავის არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტი. მის საფუძველზე აღმოიფხვრება, როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაჰენტის პატივისაღები ინტერესების გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს. ამასთან, კეთილსინდისიერების პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კონტრაჰენტის ინტერესების გათვალისწინებას, რომლის არარსებობის შემთხვევაში ხდება უფლების ბოროტად გამოყენება. იგი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის შეფასებით კრიტერიუმს, რომლის შესაბამისადაც, სამართლიანისა და უსამართლოს გამიჯვნის გზით, პირი იღებს ობიექტური დამკვირვებლის შეფასებით ყველაზე სამართლიან გადაწყვეტილებას. კეთილსინდისიერების პრინციპი ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მიჩნეულია უშუალოდ მოქმედ სამართლად და მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად, რომლის მიზანი სამართლიანი შედეგის დადგომა და უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა (იხ. სუსგ №ას-1338-1376-2015, 29 ივნისი, 2015; №ას-221-213-2012; №ას-23-18-2011, 24 მაისი, 2011). ამდენად, კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება აქტუალური ხდება მაშინ, როცა პირის მოთხოვნა ან ქმედება ფორმალურად შეესაბამება მოქმედ მატერიალურ კანონმდებლობას, მაგრამ მისი განხორციელება კონკრეტულ შემთხვევაში უსამართლოა. შესაბამისად, მისი ფუნქცია აშკარად უსამართლო შედეგების თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს.

განსახილველ შემთხვევაში, ნიაზ ხალვაშს დაერღვა სამართლიანი სამართლოს უფლებით სარგებლობა, რაც არ არის ილუზორული უფლება, არამედ წარმოადგენს საქმის ობიექტურად, მიუმხრობლად, თანასწორუფლებიანი სტატუსით განხილვასა და გადაწყვეტის უფლებას. სასამართლოს გადაწყვეტილება პრობლემატურია სხვადასხვა არგუმენტაციითა და შეხედულებებით. მაგალითად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ ალსრულების ეროვნულმა ბიურომ არ მიიღო ყველა ზომა N32.11.32.051 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების რეალური საბაზრო ღირებულების განსასაზღვრად და პრაქტიკულად შეფასების გარეშე დატოვა ის უძრავი ქონება, რომელზეც მოვალე ითხოვდა არსრულებას და რომლის ღირებულება მოვალის მიერ წარმოდგენილი შეფასების აქტის თანახმად, მნიშვნელოვნად აღემატებოდა დავალიანების ოდენობას. ბიუროს უნდა დაესაბუთებინა, თუ რას ემსახურებოდა ლიცენზიის გაცემის წარმოების შეჩერების მოთხოვნა, დამდგარი შედეგიდან გამომდინარე, აღნიშნულ მოქმედებას ჰქონდა უკუშედეგი. კერძოდ, N32.11.32.051 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი ვერ შეფასდა სასარგებლო წიათისეულთან ერთად, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ქონების ღირებულება, მაგრამ „წიალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, საქართველოს წიაღი სახელმწიფო საკუთრებაა. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელიც პირდაპირ თუ ფარულად ხელყოფს წიაღზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ასეთი გარიგება კი ბათილია. მიწაზე საკუთრების უფლება არ ნიშნავს და არ იძლევა წიაღზე საკუთრების უფლებას. კანონის მოთხოვნის და ასეთი ნორმატიული შინაარსის მიუხედავად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დადგინა, რომ N32.11.32.051 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე არსებობს სასარგებლო წიაღისეული, იგი მიიჩნია მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილად და შესაბამისად, მიწის ნაკვეთი სასარგებლო წიაღისეულთან ერთად მიაკუთვნა მოვალეს. ფაქტობრივად, სასამართლომ სასარგებლო წიაღისეულზე დაადგინა მოვალე – შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ საკუთრების უფლება.

ამასთან, ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ უაღრესად საკამათოა და კანონთან კონფლიქტში მყოფი სასამართლოს მსჯელობა, რომელიც ეხება უძრავი ქონების ლოტების დაყოფის აუცილებლობას. ორგანიზაცია, ამ კუთხით, იზიარებს სსიპ – ალსრულების ეროვნული ბიუროს პოზიციას, რომელიც ზედმიწევნით სრულად წარმოაჩენს უძრავი ქონების ფაქტობრივ მდგომარეობას. კერძოდ, ქონება წარმოადგენდა საწარმოო დანიშნულების, სივრცობრივად და ფუნქციურად ერთმანეთთან დაკავშირებულ 7 შენობა-ნაგებობას, რომლებიც მდებარეობდა ერთ საკადასტრო კოდზე. აღნიშნული საწარმოო ობიექტის დაყოფის შემთხვევაში, ქონება დაკარგავდა ძირითად

ფუნქციას, რაც, საბოლოოდ აისახებოდა მის საბაზრო ღირებულებასა და ლიკვიდურობაზე. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ქონებაზე რეგისტრირებული იყო გარდამავალი სანივთო უფლება. განსახილველ შემთხვევაში, უძრავი ქონება გაიყიდა მეორე განმეორებით აუქციონზე, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ უძრავი ქონება პირველი და პირველი განმეორებითი აქუციონის მიმდინარეობისას უკვე არალიკვიდური იყო. მეორე განმეორებით აქუციონზე მონაწილეობდა 2 პირი, ხოლო ქონებაზე დადებული 3 ბიჯის ღირებულებამ და საბოლოოდ, ქონების სარეალიზაციო თანხამ შეადგინა 942,600 ლარი. იძულებით აუქციონზე უძრავი ქონების წილობრივად გატანის შემთხვევაში, არსებობდა საფუძვლიანი მოლოდინი, რომ სარეალიზაციოდ წარდგენილი ქონება, მასზედ რეგისტრირებული საგადასახადო იპოთეკის მზარდი ღირებულების გათვალისწინებით, გაიყიდებოდა გაცილებით მცირე ფასში. ასევე, დასაშვები მოსალოდნელობა იქნებოდა მისი რეალიზაციის შეუძლებლობა მსურველთა არარსებობის გამო, რასაც შეეძლო გამოენვია, ამ შემთხვევაში, კრედიტორის – შპს „მეგაკოს“ კანონისმიერი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა და სადავო ქონების ისევ მოვალის – შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მიმართ დაბრუნება. აღნიშნული, ცალსახად გამოინვევდა „საალსრულებლო წარმოებათა შესახებ“ კანონის მოთხოვნათა და „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 21 იანვრის N21 ბრძანებით განსაზღვრული რეგულაციების უგულვებელყოფას.

ამდენად, ნიაზ ხალვაშის წინაშე შექმნილი იურიდიული სინამდვილე, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სახელმწიფომ ხელისუფლების დანაწილების რგოლში შემავალი სასამართლო სისტემით, ვერ უზრუნველყო მისი საკუთრების უფლების დაცვა და გამოუსწორებელი მორალური, სამართლებრივი, ეკონომიკური ზიანის წინაშე დააყენა ქონებაჩამორთმეული და უფლებადარღვეული პირი. ნიაზ ხალვაშის წინაშე არ განხორციელებულა კანონის უზენაესობის პრინციპის შესაბამისი, ადეკვატური და მოსალოდნელი მოპრობა, რაც შეიძლება შეფასდეს, როგორც განგრძობითი ხასიათის საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტი და პრეცედენტული შემთხვევა. შესაბამისად, საკითხის მოწერიგებისთვის, არსებითად მნიშვნელოვანი კომპლექსური და გადამწყვეტი მოქმედებების განხორციელება, რომელითაც სახელმწიფო თანაბრად დაიცავს რეალურ დაზარალებულსა და არ შელახავს სხვათა უფლებებს.

ორგანიზაცია, შესწავლილი საქმის მასალების საფუძველზე, ცალკე მსჯელობას წარმართავს ნიაზ ხალვაშის საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტთან მიმართებით განმარტებულ ფაქტორებზე და შეფასებას მისცემს

სახელმწიფოს ხელისუფლების მმართველი ორგანოების (საქართველოს გენერალური პროკურატურა, სასამართლო, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, სსიპ შემოსავლების სამსახური) მოქმედებებთან ერთად, ბიზნესის წარმომავის პროცესში ჩართული სუბიექტების ფარგლებს. აღნიშნული შეფასებაც საუკეთესოდ წარმოაჩინეს, თუ რა ქცევისა და სამართლებრივი ურთიერთობის სტანდარტი არსებობდა 2012 წლამდე მოქმედი პოლიტიკური და მმართველობითი გარემოს პირობებში. შესწავლის შედეგად, უდავოდ დგინდება, რომ ნიაზ ხალვაშის ბიზნესისა და ქონების დასაკუთრების ავანდგარდში, სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად, აღმოჩნდა ს.ს. თიბისი ბანკი და ბანკთან ერთად, 1992-2019 წლებში, ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძის ოჯახის საკუთრებაში არსებული კომპანია. კერძოდ, უდავოდ დგინდება, რომ 2007 წლის 23 თებერვალს, ს.ს. თიბისი ბანკსა და ნიაზ ხალვაშის კომპანია „DECO“-ს შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება, ასევე თავდებობის ხელშეკრულება და ბანკის სასარგებლოდ, იპოთეკით დაიტვირთა დღევანდელი მონაცემებით და განახლებული მისამართით: მდებარე: ქ. ბათუმი, აკ. შანიძის ქუჩა N16, არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 30022.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი: 6971 კვ.მ. ბანკსა და ნიაზ ხალვაშის კომპანიას შორის ერთ-ერთი ბოლო საკრედიტო ხელშეკრულებაში განხორციელებული დამატებითი ცვლილება განხორციელდა 2007 წლის 10 სექტემბერს, ხოლო ამ გარიგებიდან, დაახლოებით 1 თვეში, ნიაზ ხალვაშისა და მისი ბიზნესის წინააღმდეგ სახელმწიფომ წამოიწყო უკანონო დევნა – 2007 წლის 17 ოქტომბერს მიღებული იქნა დადგენილება ნიაზ ხალვაშის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემაზე.

შესწავლილი მასალით დგინდება, რომ სადავო პერიოდში, ბიზნესი და ბიზნესმენი აღმოჩნდა სრულიად უმწეო და დაუცველ მდგომარეობაში – საჭირო გახდა ბიზნესის გადარჩენისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება. პოლიტიკურ ემიგრაციაში წასული ნიაზ ხალვაში იძულებული გახდა, ბიზნესის შესანარჩუნებლად ს.ს. თიბისი ბანკთან კვლავ გაეფორმებია ორი ხელშეკრულება (26 დეკემბერი 2007 წელი, 15 მარტი 2008 წელი), რაც უნდა მოხმარებოდა კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების დაფარვას. დგინდება, რომ 2008-2010 წლებში, ნიაზ ხალვაშის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეების პარარელურად, ს.ს. თიბისი ბანკის მხრიდან არ მომხდარა რაიმე შეღავათის დადგენა ან ვალდებულების გადავადების უზრუნველყოფა, რათა მხარეს შესძლებოდა ვალდებულებების განხორციელება. ბანკმა დაუყოვნებლივ გადადგა ნაბიჯი ბიზნესმენის უზრუნველყოფილი ქონების დასაკუთრებისთვის. დროის მითითებულ პერიოდში, ბანკი, შემოსავლების სამსახური და აღსრულების ბიურო, სინქრონულად მოქმედებდნენ ნიაზ ხალვაში კომპანია „DECO“-ს ძვირადღირებული

ქონების დასაკუთრებისთვის, სასამართლოს ფორმალური გადაწყვეტილების საფუძველზე კი, აღნიშნული რეალობად იქცა – ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით და გაცემული სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე, დაკმაყოფილდა ს.ს. თიბისი ბანკის სარჩელი და შპს „DECO“-სა და ნიაზ ხალვაშს ბანკის სასარგებლოდ დაეკისრათ 987360.61 ლარის გადახდა. შესაბამისად, **გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, აჭარის სააღსრულებლო ბიუროს მიერ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ მოთხოვნილი იქნა შპს „DECO“-ს საკუთრებაში არსებული ს/კ 22.27.02.061 ქვეშ არსებული უძრავი ქონებაზე, კერძოდ, 30022 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 6971 კვ.მ შენობა-ნაგებობზე ყადაღის წარმოშობა.**

საქმის მასალებით დგინდება, რომ ნიაზ ხალვაშის ქონება სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან ნატურით გადადის ს.ს. თიბისი ბანკის საკუთრებაში (24 დეკემბერი, 2010 წელი). დგინდება, რომ ამ ფაქტიდან, დაახლოებით 4 თვეში, ნიაზ ხალვაშის ქონების დასაკუთრების ინტერესს გამოთქვამს ბიზნესმენი მამუკა სხვიტარიძე და მისი კომპანია – ჯერ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“, შემდეგ ასევე შპს „ბაზალტ ტრანსი“ და შპს „ტრანსკავკასიის ენერჯი“. კერძოდ, მამუკა სხვიტარიძე განმეორებით აუქციონზე ყიდულობს შპს „ბათუმის საშენ მასალათა კომბინატის“ სახელზე რიცხულ მოძრავ ქონებას: ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის (ROSACOMETTA) 1 კომპლექტს (14 აპრილი, 2011 წელი). ელექტრონულ აუქციონზე ყიდულობს „DECO“-ს საკუთრებაში რიცხულ მოძრავი ნივთის – სატრანსპორტო საშუალების მკვებავს (19 მაისი, 2011 წელი), ხოლო უძრავი ნივთის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სადავო უძრავი ქონება გადადის შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მფლობელობაში (28 სექტემბერი, 2011 წელი). დგინდება, რომ მამუკა სხვიტარიძესა და ს.ს. თიბისი ბანკს შორის ჩამოყალიბებული იქნა მჭიდრო და კომერციულად მომგებიანი თანამშრომლობა, რასაც დამატებით განსაზღვრავდა მამუკა ხაზარაძესა და მამუკა სხვიტარიძეს შორის ახლობლური ურთიერთობა. სწორედ ამ ფაქტორებით იქნა ნიაზ ხალვაშის ქონების ხელსაყრელ და გაცილებით დაბალ საბაზრო ღირებულებად (750,000 აშშ დოლარი, დღგ-ს ჩათვლით), განვადების ხელშეკრულების საფუძველზე, წინასწარ შეთანხმებული პირობებით დადებული გარიგება. ამასთან, მათი ბიზნეს-ინტერესები გამოიხატებოდა სხვა ერთობლივი პროექტების განხორციელებსა და კომერციულად მიმზიდველი კონტრაქტების შექმნაში. კვლევის ფარგლებში დგინდება, რომ მამუკა ხაზარაძის ოჯახის კომპანიამ – შპს „მეგაკომ“ სწორედ ამ სანდოობისა და ინტერესების შესაბამისად გაუფორმა მამუკა სხვიტარიძის შპს „ტრანსკავკასიის კრისტალს“ 500,000 ლარის ღირებულების მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა კონკრეტული ობიექტის მშენებლობას –

ვალდებულება ვერ შესრულდა, რაც სამართლებრივი კონფლიქტის საფუძველი გახდა – შპს „მეგაკომ“ შპს „ტრანსკავკასიის“ კრისტალს სასამართლო დავა მოუგო, გადაწყვეტილების აღსასრულებლად კი მამუკა სხვიტარიძის კომპანიის საკუთრებაში არსებული 5 უძრავი ქონების მიქცევა მოითხოვა, მათ შორის ნიაზ ხალვაშის უძრავი ქონების, რომლის დაბრუნების საკითხზეც ნიაზ ხალვაშს ინტერესი არასოდეს დაუკარგავს.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ წარმოდგენილ სამართალ-ურთიერთობაში, გარიგების მონაწილე ორივე სუბიექტისთვის – როგორც ს.ს. თიბისი ბანკისთვის, როგორც მეგაკოსთვის, ასევე მამუკა სხვიტარიძისა და მისი კომპანიებისთვის იმთავითვე ცნობილი იყო ნიაზ ხალვაშის ქონების სამართლებრივი სტატუსი და მისი პირვანდელი და ნამდვილი მესაკუთრის – ნიაზ ხალვაშის ინტერესები ქონების დაბრუნების იურიდიულ ინტერესთან მიმართებით. კერძოდ, იძულებით ემიგრაციაში მყოფი ქიბარ ხალვაში რამდენჯელმე დაუკავშირდა მამუკა სხვიტარიძეს და დაუფიქსირა პოზიცია, რომ ქონების მიმართ მისი ოჯახი კვლავ ინარჩუნებდა იურიდიულ ინტერესს, პოლიტიკური ცვლილების პირობებში კი, ამ მიზნისთვის გადაიდგმევოდა სამართლებრივი ნაბიჯი. შესაბამისად, ქონების შემძენს მართებდა წინდახედულება და ვერსადროს ჩაითვლებოდა კეთილსინდისიერ მესაკუთრედ. ამასთან, საქართველოში დაბრუნებული ნიაზ ხალვაში, მონაწილე პირების მეშვეობით, იმავე პოზიციას გამოთქვამდა მამუკა სხვიტარიძესთან ურთიერთობისას. მიუხედავად ამისა, სადავო პერიოდში, როგორც ბანკის, ასევე მამუკა სხვიტარიძის ზემოაღნიშნული მოქმედებები ურთიერთმფარავი აღმოჩნდა და არ მოხდა შედავებული ქონების მფლობელობაზე უარის თქმა, რითაც, ორგანიზაციის აზრით, ბანკსა და მამუკა სხვიტარიძეს შორის განხორციელებული გარიგებები ექცევა კანონსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებების ქვეშ, რაც მხოლოდ ნამდვილი მესაკუთრის წინააღმდეგაა მიმართული.

კერძოდ, სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს როგორც კანონი, ასევე, მორალური ქცევის სტანდარტი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და, შესაბამისად, ბათილად ითვლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიზანია, თავიდან იქნეს აცილებული ისეთი გარიგებები, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ „დავის განმავლობაში, ნივთის გასხვისებისას მყიდველს შეიძლება არ ჰქონდეს ინფორმაცია შეძენილ ქონებასთან დაკავშირებული დავის შესახებ. ასეთ შემთხვევაში შემძენი ითვლება კეთილსინდისიერად და მისი უფლება დაცულია კანონით (სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლები). თუ შემძენი ინფორმირებულია შესაძენ ნივთთან დაკავშირებული დავის თაობაზე, იგი ხდება იმ რისკის მატარებელი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება დადგეს ამ ნივთის მიმართ. თუ დაკმაყოფილდება სარჩელი, შემძენს მოეთხოვება კანონიერ მესაკუთრედ ცნობილი მოსარჩელისათვის ნივთის დაბრუნება” (2011 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება, საქმეზე: №ას-1269-1116-2010). ამასთან, სასაკაცო სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინებაში განიმარტა შემდეგი: „უძრავი ნივთის ფლობა არ განაპირობებს მფლობელის მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმციას, მაგრამ უძრავი ნივთის კეთილსინდისიერების გამორკვევისას, აღნიშნულ ფაქტს, შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭოს, ვინაიდან დამკვიდრებული წესის თანახმად, უძრავი ნივთის შემძენი შეძენამდე ინტერესდება ნივთის მდგომარეობით. საკასაციო პალატის შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, სადავო ნივთის ვიზუალური დათვალიერება სწორედაც ჯდება შემძენის ობიექტურ შესაძლებლობებსა და წინდახედულების ფარგლებში. ამასთან, მართალია, კანონონმდებელი ნორმატიული აქტით არ ავალდებულებს უძრავი ნივთის შემძენს ასეთი მოქმედებების განხორციელებას, თუმცა შემძენის ინტერესებშია უფლებრივად და ნიბთობრივად უნაკლო ნივთის შეძენა. შესაბამისად, ამ ინტერესების დაკმაყოფილებისთვის შემძენს მართებს იმ მინიმალური წინდახედულობის გამოჩენა, რაც თუნდაც ნივთის ვიზუალურ დათვალიერებაში შეიძლება გამოიხატოს“ (საქმე: #ას-524-869-07).

კიდევ ერთ საქმეზე, **2015 წლის 29 ივნისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით** მნიშვნელოვანი შეფასება იქნა წარმოდგენილი, რომელიც შეეხებოდა კრედიტორისა და მოვალის ურთიერთობებში კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების მოვალეობის დარღვევის შედეგად კრედიტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების საკითხს. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც ანუ კონტრაჰენტის პატივისაღები ინტერესების გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალ-

დებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შესაძლებელია პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს.

საკასაციო პალატის განმარტებით, **კეთილსინდისიერების ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში, კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობაზე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის.** კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა (სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის.

საკასაციო პალატის განმარტებით, *სადავო არ არის, რომ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაირღვა, ხოლო ბანკის მოლოდინი ხელშეკრულების გაფორმების მიმართ მდგომარეობდა მის ჯეროვან შესრულებაში, თუმცა საქმის გარემოებათა ერთობლიობაში შეფასებით ბანკის ქმედება ვერ იქნება მიჩნეული კეთილსინდისიერ ქმედებად, რამეთუ ბანკის ინტერესი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულების შესრულებაში მდგომარეობდა და, იმ პირობებში, როდესაც, ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ მას წერილობით მიენოდა შეთავაზება, იმის მიუხედავად, იქნებოდა იგი წარმოდგენილი საბანკო გარანტიის თუ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა ფორმით, ბანკს, როგორც საკრედიტო დანესებულებას, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ევალებოდა გულისხმიერი დამოკიდებულება გამოეჩინა და საბანკო დავალიანების დაფარვის რამოდენიმე ვარიანტიდან ამოერჩია ყველაზე ხელსაყრელი და, ამავდროულად, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი.*

მოცემულ შემთხვევაში, საკრედიტო დანესებულების მართლზომიერი ქცევის განმსაზღვრელი იყო სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის კეთილსინდისიერებისა და მეორე მონაწილის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება და არა მარტოდენ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის უფლება. მით უფრო, რომ იპოთეკის საგნების რეალიზაციით მოთხოვნის დაკმაყოფილების მიმართ კრედიტორის უპირატესი ინტერესი გამოკვეთილი არ იყო, რადგანაც მას შეეძლო რეალიზაციისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი პროცედურა.

რებისა და დამატებითი ხარჯების გვერდის ავლით, უფრო მოკლე დროში, დაეკმაყოფილებინა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირისაგან ფულადი ვალდებულების შესრულებაზე შეთავაზების მიღებით. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები იძლევა ლოგიკური და თანმიმდევრული ვარაუდის საფუძველს, რომ ბანკის მხრიდან უძრავი ნივთების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის, როგორც კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უკიდურესი ფორმის, გამოყენება შეფასდეს უფლების ბოროტად გამოყენებად, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლთან.

განსახილველ შემთხვევაში, ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ს.ს. თიბისი ბანკმა ნიაზ ხალვაშის ქონება იმ სამართლებრივ პირობებში მიიღო, როდესაც წინასწარ განჭვრეტადი იყო ფაქტი – ნიაზ ხალვაში იმყოფებოდა პოლიტიკური ემიგრაციაში, მის მიმართ ხორციელდებოდა პოლიტიკური დევნა და წარმოებული იყო სისხლის სამართლებრივი დევნა, რაც პირდაპირ აფერხებდა მისი, როგორც მოვალის მხრიდან ბანკის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას. ამასთან, ქონებაზე მამუკა სხვიტარიძის მხრიდან განვადებით მიღების ნება იმ პირობებში გამოითქვა (28 სექტემბერი, 2011 წელი), როდესაც ნიაზ ხალვაშის მიმართ დასრულებული არ იყო იძულება და მის მიმართ გამოტანილი იყო უკანონო განაჩენი ბრალზე, გამოცხადებული იქნა ძებნა და პირი მოწყვეტილი იქნა ყოველგვარ ძალისხმევას ეზრუნა საკრედიტო ვალდებულებების დაფარვასა და დაეცვა მფლობელობის შეცვლისგან ქონება (ბიზნესი, შემოსავალი). შესაბამისად, დღეს სადავო ქონებები გასულია მისი ნების საწინააღმდეგო ამ მფლობელობიდან და დაუფლებულია იმ სუბიექტების მიერ, რომლებიც ჯერ კიდევ მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით და გააჩნდათ სრული დოკუმენტური ინფორმაცია ქონების შედავების და მისი ნამდვილი მესაკუთრის სადავო პერიოდშიც და შემდეგ, იურიდიული ინტერესის შესახებ (სისხლის სამართლებრივი პასუხისგებაში მიცემის ეტაპზე სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების დადება, რომელიც დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას არ ემსახურება, მაღალი ალბათობით, ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგს არ წარმოადგენს, რადგან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება გარიგების გაფორმების მაპროვოცირებელი გარემოებაა, რაც ნების გამოვლენის თავისუფლებას იმთავითვე გამორიცხავს. (*Gusinskiy v. Russia application no.70276/01, 19.05.2004*).

ორგანიზაცია შეჯამებისას ყურადღებას დაუთმოს იმ გარემოებასაც, რომ მას შემდეგ, რაც 2012 წლის 5 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირების შესახებ“, ნიაზ ხალვაში აღიარებული იქნა პოლი-

ტიკური ნიშნით დევნილად, 2013 წლის 17 იანვრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, ნიაზ ხალვაში უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და ნიაზ ხალვაში დაბრუნდა საქართველოში, დაკარგული საკუთრების უფლების აღდგენის პროცესში გამოვლენილი ინტერესების წინააღმდეგ, ორგანიზებულად დაიწყო განზრახ არასწორი წარმოდგენების შექმნა და პოლიტიკური მოსაზრებებით დათრგუნვა. როგორც მასობრივი საინფორმაციო საშუალებებში, საზოგადოებრივი აზრის შექმნის მიზნით, ასევე საერთო სასამართლოებში წარდგენილ პროცესუალური დოკუმენტაციის შინაარსით, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მენეჯმენტის მხრიდან გაკეთდება მითითებები იმის შესახებ, რომ ნიაზ ხალვაში მმართველობით ორგანოებთან და სასამართლო სისტემასთან გავლენის ჯგუფებით ცდილობდა ქონებრივი ინტერესების დაკმაყოფილებას და შპს „ტრანსკავკასიის კრისტალისთვის“ სადავო საკუთრების უფლების დაკარგვას. ორგანიზაცია შენიშნავს, რომ ამ აზრის გაბატონების პირობებში, ნიაზ ხალვაშის და არც მისი რომელიმე კანონიერი ინტერესის დამცველის მხრიდან, დროის არც ერთ ეტაპზე, არ მომხდარა ოფიციალური განცხადების გაკეთება, ცილისწამებლური კამპანიის საწინააღმდეგო პოზიციის შეთავაზება საზოგადოებისთვის, რაც, თავის მხრივ, ორგანიზაციის აზრით, წარმოადგენდა არასწორ მიდგომას, რამაც, ცალსახად დააზიანა ნიაზ ხალვაშის ქონებრივი და კანონისმიერი ინტერესები, თუმცა საერთო სასამართლოებისა თუ საგადასახადო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ცალსახად ადასტურებს, რომ დარღვეულია ბიზნესმენ ნიაზ ხალვაშის ინტერესები, ისევე, როგორც დაყადაღებული საბანკო ანგარიშების გამო, შპს „ბიზონის“ ეკონომიკური საქმიანობა, დღესდღეობით, ფაქტობრივად, შეჩერებულია.

კერძოდ, ბიზნესმენ ნიაზ ხალვაშის სამართლებრივი მოთხოვნები, ხშირ შემთხვევაში, პროცესუალური მოწინააღმდეგის მიერ დათრგუნულია 2012 წლის შემდგომი პოლიტიკური ხელისუფლების მხარდაჭერაზე მითითებით და არგუმენტად წარმოდგენილია ნიაზ ხალვაშის ოჯახის წევრის – დის, ფატი ხალვაშის პოლიტიკური საქმიანობა. ასევე, ქიბარ ხალვაშის ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მმართველი კომპანიის წილის დაბრუნების გამო, ხელისუფლებასთან კავშირსა და არსებულ გავლენაზე მითითებით და ადვილად მოხდა სამართლებრივი ინტერესების ნიველირება, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება იმგვარად, რომ თუ ნიაზ ხალვაში, განსახილველ შემთხვევაში, სადავო საკუთრებას და ბიზნესს დაიბრუნებს, სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების ნაცვლად, იქნება პოლიტიკური მხარდაჭერის შედეგი. აღნიშნული მიდგომები წინასწარ შექმნილ და მიზანმიმართულ რიტორიკას

წარმოადგენს. კერძოდ, ფატი ხალვაში⁹⁰ ნამდვილად წარმოადგენს 2012 და 2016 წლების საქართველოს პარლამენტის წევრს, ამჟამად იჭერს აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობას, თუმცა ნიაზ ხალვაშის საქმის არსებითი შესწავლის, მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზისა და შინა-არსის პირობებში, უდავოდ დგინდება, რომ ნიაზ ხალვაში ორგზის შექმნილი და დაკარგული ქონების დაბრუნებას სწორედ **სამართლიანი სასამართლოს პირობებში, კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვით** ცდილობს და **ფატი ხალვაშს მისი თანამდებობრივი სტატუსით და უფლებამოსილებით, არ გააჩნია არავითარი გავლენის მოხდენის პოლიტიკური ბერკეტი, როგორც მართლმსაჯულების სისტემაზე ან ინდივიდუალურ მოსამართლეზე ან აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში შემავალ რომელიმე მმართველობით უწყებაზე მისი გადაწყვეტილების ფორმირების კუთხით.** რაც შეეხება ქიბარ ხალვაშის ფაქტორს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მმართველი კომპანიის წილის დაბრუნებაზე მიღებული საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების კონტროლი განხორციელდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. 2019 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით, ევროსასამართლომ საქმეზე ევროპული კონვენციის არცერთი მუხლის დარღვევა არ დაადგინა, რამაც საერთო სასამართლოებში, ეროვნულ დონეზე, ხელისუფლების მონაწილეობის ფაქტი გამოირიცხა. **ამასთან, არ არსებობს არავითარი სამხილი, რომელიც ქიბარ ხალვაშის მოქმედ ხელისუფლებასთან შესაძლო ურთიერთობის ბოროტად გამოყენების ფაქტზე მიუთითებდეს. ქიბარ ხალვაშის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ქვეშ არსებული კომპანიები მონაწილეობას არ იღებენ სახელმწიფო ტენდერებში. ქიბარ ხალვაში არ მონაწილეობს პოლიტიკურ დებატებში და არ არის აფილირებული მმართველი პოლიტიკური პარტიის საქმიანობის მხარდაჭერასთან.**

როგორც უკვე აღინიშნა, პროცესუალური მოწინააღმდეგის – შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“-ს მენეჯმენტსა და უშუალოდ მამუკა სხვიტარიძის მიერ ნიაზ ხალვაშის მოთხოვნების დისკრედიტაციას განგრძობითი ხასიათის მიეცა საერთო სასამართლოებში მიმდინარე პროცესში, მათ შორის წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებული მოსაზრებებით და უკანასკნელად, ასეთი წერილობითი პოზიცია წარმოდგენილია, როგორც 2026 წლის 17 თებერვალს, ასევე 2025 წლის 18 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „ბიზონის“ მიერ შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მიმართ დავაში. კერძოდ, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“ საქმეზე სხდომის თარიღის განსაზღვრის შეფერხებას სასამართლოს წარმოუჩენს, როგორც „ცნობილი

⁹⁰ <https://www.interpressnews.ge/ka/article/349925-pati-xalvashi-acxadebs-rom-kibar-xalvashma-sakutari-konebis-dabrunebistvis-brzola-2008-cels-daicq/>

ხალვაშეების – ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მესაკუთრე ოჯახის ინტერესებით, რომელიც წარმოადგენს „ბიზონის“ მესაკუთრესაც⁹¹ (სტილი დაცულია). ასევე, მითითება იმის შესახებ, რომ ძმებ ხალვაშეების წარსულში ინტერესების დამცველი, მათ შორის შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ მოთხოვნების წინააღმდეგ ნიაზ ხალვაშის კომპანიის ინტერესების დამცველი ადვოკატი, ბატონი პაატა სალია 2025 წლის აპრილიდან იკავებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანამდებობას, ხოლო 2024 წელს – არჩეულ იქნა საქართველოს XI მოწვევის პარლამენტის წევრად. უდავოდ დგინდება, რომ პოლიტიკური საქმიანობის დაწყების მომენტიდან, პაატა სალია აღარ ახორციელებდა არც ნიაზ ხალვაშისა და არც მისი ოჯახის რომელიმე კომპანიის სამართლებრივ დახმარებას. მეტიც, 2025 წლის 21 ივლისს, როდესაც ნიაზ ხალვაშმა განცხადებით მიმართა „2003–2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიას“, პაატა სალიას უფლებამოსილება დასახელებულ კომისიაში აღარ ჰქონდა და არც საქართველოს პარლამენტში აღარ საქმიანობდა.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მამუკა სხვიტარიძე, პირიქით ცდილობს შექმნას იმგვარი მომენტები, რომელიც გარეგნული გამოხატულებით მოემსახურება ნიაზ ხალვაშის, მისი კომპანიის კანონიერი მოთხოვნების დისკრედიტაციას, არამხოლოდ წერილობითი განცხადებებით, არამედ სხვა მოქმედებებითაც. კერძოდ, ორგანიზაცია ფაქტის სახით მიუთითებს, რომ 2025 წელს, ნიაზ ხალვაშის კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებისა და გაფრთხილების გარეშე, მამუკა სხვიტარიძე დაუკავშირდა ნიაზ ხალვაშის ყოფილ ადვოკატს, პოლიტიკური თანამდებობის პირს – ბატონ პაატა სალიას და მოსთხოვა სასამართლო დავის მორიგებით განხილვის პროცესში დახმარება. სწორედ აღნიშნულ საკითხზე გამობმარებას შეეხებოდა ნიაზ ხალვაშის ინტერესების დამცველის 2025 წლის 25 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი საპასუხო პოზიცია და წერილიც (*„რა სურს მამუკა სხვიტარიძეს, რომელიც აკრიტიკებს სასამართლოს, უწოდებს მართლმსაჯულებას მიკერძოებულს და აგრძელებს ნიაზ ხალვაშის ჩაგვრას – ღია პოზიცია შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ 2025 წლის 18 ნოემბრის წერილზე“*). ამდენად, ორგანიზაცია არ იზიარებს ასეთი მოქმედებათა მართებულობას და მიაჩნია, რომ სამართლებრივი საკითხების გადაჭრის პროცესში პოლიტიკური ფაქტორის ან გავლენის მქონე ჯგუფე-

⁹¹ 2026 წლის 17 თებერვლის შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ წარმომადგენლის, თამარ მეტრეველის წერილი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თეა ბერაიას მიმართ.

ბის ხელოვნურად გაჩენა-შემოყვანა, არ ემსახურება არც მორალურ და არც სამართლებრივ პრინციპებს. ნიაზ ხალვაშის ქონებრივი ინტერესების წინააღმდეგ განზრახ არასწორი წარმოდგენების შექმნა და პოლიტიკური მოსაზრებებით დათრგუნვა კი – უნდა დასრულდეს.

ორგანიზაციას მიაჩნია, რომ სახელმწიფო მისი შესაბამისი კომპეტენტური მმართველობითი რგოლით ყურადღებას დაუთმობს დავის საგანთან მიმართებით ყველა მონაწილე სუბიექტის უფლებრივ მდგომარეობას და სამართლიანობის აღდგენის პროცესში, მომავალი გადანყვეტილებები შესძლებს ნიაზ ხალვაშის უფლებებში აღგენას, ისევე, როგორც მამუკა სხვიტარიძის ქონებრივ რესტიტუციას, ვინაიდან სამართალწარმოების პროცესში დაშვებული შეცდომები არ უნდა გახდეს შემაფერხებელი და უკან დამხვევი მექანიზმი საკუთრების უფლების დაცვის, კეთილსინდისიერი შემძენის უფლებების ხელყოფისა და სამართლიანობის დარღვევის საფუძველი. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ დღევანდელი მონაცემებით და განახლებული მისამართით: მდებარე: ქ. ბათუმი, აკ. შანიძის ქუჩა N16, არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 30022.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი: 6971 კვ.მ, ამჟამად სამ ერთეულად დაყოფილი ქონების: ს/კ 05.35.27.370 ქვეშ (დაზუსტებული ფართობის სახით მითითებულია: 6728.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N01, N02, N03), ს/კ 05.35.27.371 ქვეშ (დაზუსტებული ფართობის სახით მითითებულია: 15005 კვ.მ და შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N1, N2, N3) და ს/კ 05.35.27.372 ქვეშ (დაზუსტებული ფართობის სახით მითითებულია: 8291 კვ.მ და შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N1, N2) არსებული ქონების ნამდვილი მესაკუთრის ბედი კვლავ სადავო საკითხს წარმოადგენს და ცალსახად, სამართლებრივი წარსულის უგულვებელყოფა არ შეიძლება.

8. რეკომენდაციები

1. საქართველოს მთავრობის მიმართ:

მნიშვნელოვანია, მოხდეს შესაბამისი მმართველობითი ღონისძიების განხორციელება, რომელიც მოემსახურება ბიზნესმენ ნიაზ ხალვაშის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ქვეშ არსებული კომპანიის – შპს „ბიზონის“ მიმართ, უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნის პირობებში, არსებული საგადასახადო დავალიანების ანულირებას.

2. საქართველოს პარლამენტის მიმართ:

მნიშვნელოვანია, მოხდეს შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელება, რომელიც მოემსახურება 2012 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში უკანონო მმართველობითი ღონისძიების შედეგად, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირების ან მათი უფლებამოსილების ქვეშ არსებულ საწარმოებზე დღემდე რიცხული საგადასახადო დავალიანების შესახებ ამნისტიას.

3. საქართველოს საერთო სასამართლოების მიმართ:

მნიშვნელოვანია, სასამართლო სისტემამ უზრუნველყოს მხარეთა სრული შეჯიბრებითობა, თანასწორობის დაცვა და პროცესის გამჭვირვალობა ისეთ მონყვლად საქმეებზე, რომელიც გამომდინარეობს პოლიტიკური ნიშნით დევნილი და პოლიტიკური ნიშნით დაკავებული პირების ქონებრივი მოთხოვნები. ამ კუთხით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე არ განიხილოს დავა შპს „ტრანსკავკასიის კრისტალსა“ და შპს „ბიზონს“ შორის, რომელიც განპირობებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. მხარეებს უნდა მიეცეთ ქვეყნის მართლმსაჯულების ბოლო ინსტანციაში რეალური შეჯიბრებითობის განხორციელების შესაძლებლობა.

4. საქართველო სახალხო დამცველის მიმართ:

მნიშვნელოვანია, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლოს და ანალიზი შექმნას იმ ახალი სამართლებრივი რეალობის საკითხზე, რომელიც გამონყეულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით და

შეეხება სააღსრულებლო ნარმოების პროცესში, კეთილსინდისიერი შემძენის უფლებებსა და ამ პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული დღევანდელი გადაწყვეტილებების კონტროლს. ამასთან, მნიშვნელოვანია შეფასდეს სასამართლოს გადაწყვეტილების გავლენა, როგორც შპს „ბიზონის“, ასევე შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ ეკონომიკურ საქმიანობასა და უფლებრივ მდგომარეობაზე.

5. საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ:

მნიშვნელოვანია, დროულად მოხდეს 2003–2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიაში ბიზნესმენ ნიაზ ხალვაშის მიერ წარმოდგენილი განცხადების შესწავლა, მასზედ სამართლებრივი რეაგირება და ნიაზ ხალვაშის, ისევე, როგორც მის უფლებამოსილებაში არსებული შპს „ბიზონის“ დაზარალებულად ცნობა.



ნახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

BUSINESSMAN NIAZ KHALVASHI'S CASE



Legal Research and Recommendations

**NNLE “Young Barristers”
February, 2026
Tbilisi**

The research was conducted with the participation of the team of NNLE “Young Barristers”

Archil Kaikatsishvili – Head of the Organization

Ani Kesareli – Junior Lawyer

Tekla Matchavariani – Junior Lawyer

Melano Surmanidze – Junior Lawyer

Ketevan Tandashvili – Research Lawyer

Mariam Khizanishvili – Financial Manager

© NNLE “Young Barristers”

Detailed information about the organization’s activities, implemented and ongoing research, projects, and news is available at:

Website: www.barristers.ge

FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi

Youtube: <http://www.youtube.com/youngbarristers>

Address: Digmis Masivi, 6th block, Building No. 20, Apartment N4, Tbilisi, Georgia

Contact Number – 599 291202

Email: Pryoungbarristers@gmail.com

NNLE “Young Barristers” I/N 401973094

Date of Establishment: 09 July 2012

Bank: JSC Bank of Georgia

Account Number: GE31BG0000000161544925GEL



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

STRUCTURE OF THE RESEARCH:

| | |
|---|------------|
| 1. Introduction | 113 |
| 2. History of the Plant and Grounds for its Acquisition..... | 121 |
| 3. Loss of Property – Legal Dispute between LLC “Megako” and LLC “Transcaucasian Crystal” | 127 |
| 4. Process of Re-acquisition and Subsequent Loss of Property by Niaz Khalvashi – Legal Dispute between LLC “Bizoni” and LLC “Transcaucasian Crystal” | 134 |
| 5. The Concluded, Pending and Finished cases in the Common Courts of Georgia between LLC “Bizon” and LLC “Transcaucasian Crystal”..... | 145 |
| ➤ Imposition of Seizure on the Bank Accounts and Real Estate of LLC “Bizon” (2020)..... | 145 |
| ➤ Order on the Sale of Seized Property of LLC “Bizon” (2020)..... | 150 |
| ➤ LLC “Transcaucasian Crystal”’s Lawsuit against LLC “Bizon” Subject Matter: Removal of an unlawful disturbance, Compensation for Damages, Ownership Restitution (2017-2022)..... | 151 |
| ➤ Lawsuit of LLC “Transcaucasian Crystal” against LLC “Bizon”, Default Ruling on the Subject: Recovery of Property from Unlawful Possession (2022 – Pending)..... | 155 |
| ➤ Lawsuit of LLC “Transcaucasian Crystal” against LLC “Bizon”, Subject Matter: Compensation for Damages (2023 – Pending) | 158 |
| ➤ Lawsuit of LLC “Basalt Trans” against LLC “Bizon”, Subject Matter: Recovery of Property from Unlawful Possession and Removal of Unlawful Disturbance (2021-2025) | 160 |

| | |
|--|------------|
| ➤ Lawsuit against LLC “Transcaucasian Crystal” and LEPL – National Bureau of Enforcement, Subject Matter: Compensation for Damages, Loss of Profit (2022 – Pending)..... | 163 |
| 6. The Legal status of the Disputed Property by Years..... | 170 |
| 7. Conclusion | 176 |
| 8. Recommendations | 191 |

1. INTRODUCTION¹

The organization publishes another legal report and assessment concerning an alleged violation of business activity and property rights in Georgia and presents the details of a complex case related to a non-agricultural land plot and industrial property located in the city of Batumi, Khelvachauri settlement, Tsereteli Alley, cadastral code 05.35.27.057, with a specified land area of 30,022 sq.m. and buildings with a total area of 6,971 sq.m., where a glass manufacturing plant is situated. The research examines the ongoing legal conflict between the original owner of the factory and the current owner as of the date of publication. The report analyzes issues related to the bona-fide possession, coordinated and/or independent actions taken by the State, a commercial bank, and other interested parties against a business, the content and scope of court decisions, the interaction between the application of law and the principle of justice, and the lawfulness of the results achieved between the parties involved in the legal dispute.

The report presents the full factual and legal chronology of a commercial dispute between businessman **Niaz Khalvashi** (Director of LLC “Bizon”) and businessman **Mamuka Skhvitaridze** (Director of LLC “Transcaucasian Crystal”). Also, special attention is given to the actions of JSC “TBC Bank”, as well as to a company affiliated with family members of Mamuka Khazaradze², who held the position of Chairman of the Supervisory Board of TBC Bank, LLC “Megako” from 1992 to 2019. The report also examines the unlawful actions of governing state authorities prior to 2012, decisions rendered by the common courts of Georgia during the period 2010–2026.

The purpose of this research is to assess and determine, whether unlawful administrative actions were taken against businessman Niaz Khalvashi; the impact of State-initiated criminal proceedings on Niaz Khalvashi’s business operations and professional activities; whether Niaz Khalvashi should qualify as a bona fide, lawful and legitimate acquirer and owner of the disputed immovable and movable property, including the glass factory; whether the disputed property was removed from his possession against his will; what is legal interest of Niaz Khalvashi during the restitution of the disputed property; whether the current legal claims of Niaz Khalvashi are legally and factually substantiated; whether deliberate misrepresentations and politically motivated interference with property rights are pending; State’s position with respect to the restoration of justice and whether the decisions of Common Courts of Georgia adequately serve the interests of both Niaz Khalvashi and Mamuka Skhvitaridze.

¹ *Electronic version of the Research can be found on the organization’s official website: www.barristers.ge*

² On 12 September 2019, Mamuka Khazaradze founded the public movement “Lelo”. In 2020–2021, he served as a Member of the Parliament of Georgia, elected through the party list of the electoral bloc “Lelo for Georgia”.

Businessman Niaz Khalvashi, who has been actively involved in the establishment and operation of various commercial enterprises since 1996, became a victim of unlawful and coercive actions by the authorities in power starting in 2007. These actions were linked to unlawful criminal prosecution initiated by state governing bodies against his family member, the well-known businessman Kibar Khalvashi, and were accompanied by the suspension of business operations, imposition of seizures, confiscation of assets, and their subsequent transfer into state ownership.

In particular, the organization should pay attention to the Public Defender of Georgia's Report for the first half of 2008, "The Situation in Human Rights and Freedoms in Georgia",³ which provides a detailed account of the following facts: The case of Kibar Khalvashi represents a typical example of politically motivated interference in business activities. Prior to his close friend Irakli Okruashvili's transition into political opposition, Kibar Khalvashi was considered one of the most successful businessmen (see Report, p. 28). In September 2007, at a time when certain actions were underway aimed at establishing a new opposition political party—allegedly to be financed by Kibar Khalvashi and led by Irakli Okruashvili—the enterprises owned by this businessman came under special scrutiny by the Revenue Service (see Report, p. 28). On September 25, 2007, former Minister of Defence of Georgia Irakli Okruashvili made a public statement live on Imedi TV. This, along with other significant developments, led to an escalation of the political situation in the country, ultimately forcing Irakli Okruashvili to leave Georgia. Subsequently, in television interviews given from abroad, Irakli Okruashvili stated that the Georgian authorities were persecuting his political associates and supporters, as well as his friends, among whom he most frequently mentioned businessman Kibar Khalvashi (see Report, p. 374). On September 24, 2007, the Financial Police of the Ministry of Finance of Georgia detained Zurab Metreveli, Director of LLC "International Building Company", as well as Niaz Khalvashi, the brother of Kibar Khalvashi. Simultaneously, the Financial Police entered all three companies founded by Kibar Khalvashi—LLC "International Building Company", LLC "Arti Group", and LLC "Priza" (see Report, pp. 374–375).

According to the Public Defender's report, based on Kibar Khalvashi's nephew, Niaz Kurshbadze's explanation, it becomes evident that parallel to the developments surrounding Irakli Okruashvili, pressure began to be exerted on the business activities of his uncle, Kibar Khalvashi. Zurab Metreveli, Director of "International Building Company", Guram Gogua, a shareholder of "Arti", was detained, and a search was declared for one of the partners of LLC "Priza", Vano Ruadze. At the same time, Davit Kezerashvili, Minister of Defence, began exerting pressure on Kibar Khalvashi. Specifically, he met him to his office and demanded the payment of USD 27 million, in exchange for which the Minister promised to terminate the persecution of the Khalvashi

³ <https://ombudsman.ge/res/docs/2019040411373642069.pdf>

family. After a refusal to pay this amount, Data Akhalaia contacted Niaz Kurshubadze, calling him repeatedly and demanding to be put in touch with Kibar Khalvashi. A telephone conversation also took place between Data Akhalaia and Niaz Khalvashi, the brother of Kibar Khalvashi. During this conversation, a senior official of the Constitutional Security Department (CSD) demanded, in exchange for ending the repression, payment of one quarter of the amount previously demanded by Davit Kezerashvili.

